

# Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

8/2024

შედარებითი სამართლის  
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift  
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



8/2024

# შვედარეზიტი სარეტილი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2024

www.lawjournal.ge

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. ლადო სირდაძე  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი	ხატია პაპიძე
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ადვოკატი გორა ოყრეშიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	სულხან გველესიანი
ფრანკ ჰუბფელდი	ნატალი გოგიაშვილი
ხათუნა დიასამიძე	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
დავით მაისურაძე	ოსკარ ფონ კოსელი
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი	რაფაელ კნეერი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია  
ნინო ქავშბაია  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე  
ტილმან სუტორი



# სარჩევი

## სტატიები

- არარეგისტრირებული კავშირი, ფაქტობრივი ოჯახი და წყვილის ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიები 7  
*ქეთევან მესხიშვილი*
- კოვიდ-19-ის სანინააღმდეგო ვაქცინის მწარმოებლების პასუხისმგებლობა ვაქცინის გვერდით ეფექტებზე – გერმანული პერსპექტივა 32  
*გიუნტერ რაინერი*

## ლევან ნანობაშვილის პერსონალური ბლოგი

- ადამიანის ციფრული ანაბეჭდი ინტერნეტში 73

## სასამართლო პრაქტიკა

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, № 2/2073-2019: პატიმრობაში ყოფნის მიუხედავად ალიმენტის გადახდის ვალდებულების დაკისრება (ზარანდია) 76
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, № ას-1919-2018: სასარჩელო მოთხოვნაში ზიანის ზუსტი ოდენობის მითითების აუცილებლობა (ზარანდია) 78



## არარეგისტრირებული კავშირი, ფაქტობრივი ოჯახი და წყვილის ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიები

პროფ. დოქ. ქეთევან მესხიშვილი

თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებას უკავშირებს მეუღლეთათვის საოჯახო სამართლით გავალისწინებულ უფლება-მოვალეობების წარმოშობას. ჩვენს რეალობაში კი მრავლად არიან წყვილები, რომელთაც, ფაქტობრივად, ოჯახი აქვთ შექმნილი, თუმცა, ოჯახის შექმნის მიზნით მათი ნებაყოფლობითი კავშირი რეგისტრირებული არ არის<sup>1</sup>. შესაბამისად, ცალკე საკანონმდებლო მოწესრიგების შემოღებამდე აღნიშნული სამართალურითიერება რეგულირებას საჭიროებს, რის შესაძლებლობასაც იძლევა ნორმათა მართებული, საჭიროების შემთხვევაში კი, ფართო განმარტება, ანდა კანონისა და სამართლის ანალოგია. თუმცა, კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენების თვალსაზრისით, ნიშანდობლივია იმ აკრძალვის მხედველობაში მიღება, რომელიც სპეციალური ურთიერთობე-

ბის მომწესრიგებელი (საგამონაკლისო) ნორმების ანალოგიით გამოყენებას ეხება<sup>2</sup>. სწორედ აღნიშნული დაშვების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში უნდა მოწესრიგდეს არარეგისტრირებული საოჯახო კავშირი, საოჯახო სამართლის, თუ სამართლის სხვა დარგებისა. ამ მიმართებით, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, შესაძლებელია, თუ არა არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შექმნილი კავშირი განვიხილოთ ოჯახად. ასევე უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც წყვილი ოჯახად მიიჩნევა. სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნებისათვის ასევე აუცილებელია გაირკვეს, წყვილის არასაქორწინო საოჯახო კავშირი გაცნობიერებული არჩევანია, თანმდევი სამართლებრივი შედეგების გააზრებით, თუ არაინფორმირებულობის პირობებში მიღებული გადაწყვეტილება. ფაქტი ერთია, პირი, რომელიც დოვლათს ქმნის, თავს არა მარტო

<sup>1</sup> სტატიაში ასეთი ოჯახები მოხსენებულია, როგორც „ქორწინების რეგისტრაციის გარეშე შექმნილი ოჯახი“, „რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივი ოჯახი“, „ფაქტობრივი ოჯახი“, „de facto ოჯახი“. ყველა დასახელებული

სიტყვათწყობა ქორწინების გარეშე წყვილის ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობას ასახავს და ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია.

<sup>2</sup> სამოქალაქო კოდექსის 5 III მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.



აღნიშნული დოვლათიდან გამომდინარე მატერიალური სარგებლის მიმღებად განიხილავს, არამედ მიიჩნევს, რომ მატერიალურ დოვლათზე უფლება მის შექმნაში შეტანილი წვლილის პროპორციულად აქვს. აღნიშნული უფლება დაცვის ღირსი ინტერესის მატარებელია და მისი იგნორირება დოვლათის შექმნაში მონაწილე მეორე პირის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევს.

**სამართლის დანიშნულებაა ნებისმიერი პირის უფლების დაცვა ხელყოფისაგან და თუ ამას ვერ ახერხებს სამართლის ერთი დარგი, შინაარსის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მაგ. საოჯახო სამართალი, უფლებრივი ეკვილიბრიუმი სამართლის სხვა დარგებზე დაყრდნობით უნდა აღდგეს.** მთავარია, რომ სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების არქონის პირობებში არ გამართლდეს ვინმეს უფლებრივი შეზღუდვა, რომელიც ხშირად, თავისი არსით, ე. წ. „ეკონომიკურ ექსპლუატაციას“ უთანაბრდება, ამის მაგალითია არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში წყვილის მიერ ერთობლივად შექმნილი მატერიალური დოვლათის მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლისათვის საკუთრების უფლებით შენარჩუნება, ხოლო მეორე მეუღლის ქონებრივი უფლებების დაცვის გარეშე დატოვება მარტოოდენ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ქორწინება რეგისტრირებული არ იყო. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ „ეს მეორე მეუღლე“, ხშირ შემთხვევაში ქალია, რომელსაც ბავშვების აღზრდით, ოჯახის მოვლით, საოჯახო მეურნეობის გაძლოლით და ა. შ. შეჰქონდა წვლილი ერთობლივ საოჯახო საქმიანობაში, სადაც შექმნილ დოვლათს მეორე მეუღლესთან ერთად თავისად განიხილავდა, თუმცა, შექმნილი ქონება სრულად მეორე მეუღლის სახელზე ირიცხებოდა საკუთრების უფლებით. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მატერიალური დოვლათის შექმნაში ქალის როლი სათანადოდ რომ არ წარმოჩინდება, ერთ-

ერთ ხელშემწყობ ფაქტორად შრომის თანაბარ პირობებში ქალისა და კაცის არათანაბარი ანაზღაურებაც განიხილება<sup>3</sup>.

**ა) რეგისტრირებული ქორწინებისა და რეგისტრაციის გარეშე ქორწინების ეკონომიკური შედეგები ოჯახურ ურთიერთობებში**

ქორწინება კონსტიტუციით დაცული უფლებაა, რომლის დეფინიციასაც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი ითვალისწინებს, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია ქორწინების ნამდვილობის მიზნებისათვის სავალდებულო წინაპირობად მიიჩნევს, რომ აღნიშნული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის უნდა იყოს; თანასწორუფლებიანობის საწყისებს უნდა ეფუძნებოდეს და ოჯახის შექმნის მიზანს ემსახურებოდეს; **საქართველოს კონსტიტუცია ქორწინების რეგისტრაციას ქორწინების ნამდვილობის წინაპირობად არ განიხილავს. აღნიშნულ ვალდებულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესებს<sup>4</sup>**, რომელიც ქორწინებას განმარტავს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას სწორედ ქორწინების რეგისტრაციას უკავშირებს<sup>5</sup>.

ამგვარმა ნორმატიულმა მოცემულობამ, კერძოდ, კანონის დონეზე მეუღლეთა უფლება-

<sup>3</sup> [https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@europe/@ro-geneva/@sro-budapest/documents/publication/wcms\\_842468.pdf](https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@europe/@ro-geneva/@sro-budapest/documents/publication/wcms_842468.pdf).  
<sup>4</sup> სკ-ის 1106-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>5</sup> სკ-ის 1151-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

მოვალეობების წარმოშობის დაკავშირებამ ქორწინების რეგისტრაციასთან, მაშინ როდესაც, კონსტიტუციის მიხედვით, წყვილის, კერძოდ, ქალისა და კაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით მათი ოჯახად მიჩნევისათვის თვითკმარი საფუძველია, კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისა და არარეგისტრირებული ოჯახის რეგისტრირებულ ოჯახთან გათანაბრებისათვის საკმარისი ფაქტობრივი-სამართლებრივი შემადგენლობა არ შექმნა<sup>6</sup>. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სარჩელის ავტორი სადავოდ ხდიდა რა სკ-ის 1106-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო

იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მოსარჩელის მიერ საკუთრებისა და ქორწინების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პრობლემა სადავო ნორმის რეგულირების სფეროს სცდებოდა<sup>7</sup>. ხოლო, რაც შეეხება 1151-ე მუხლის კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლთან, აღნიშნული მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განიხილა<sup>8</sup>, თუმცა, რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილები ერთმანეთის მიმართ სწორ შესადარებელ ობიექტად, ე.წ. „კომპარატორად“ არ მიიჩნია და შესაბამისად, თანასწორ პირთა უთანასწორო მოპყრობა ვერ დაადგინა, ამდენად, სარჩელი თანასწორობის რღვევის კონტექსტში არ დააკმაყოფილა<sup>9</sup>.

<sup>6</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის განჩინება, საქმეზე N2/18/1662, მაია გაიხარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>7</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს დეტალური განმარტების მიხედვით, „კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, მოსარჩელისთვის პრობლეურია მეუღლეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის საფუძველად მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების განსაზღვრა. კერძოდ, სადავო ნორმა ახდენს საკუთრებისა და ქორწინების კონსტიტუციური უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას, რადგან გამოიცხადებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისთვის, თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების გაყოფის შესაძლებლობას. სადავო ნორმის რეგულირება შემოიფარგლება ქორწინების ცნების განმარტებით და იგი ქონებრივ უფლებამოვალეობებს არ განსაზღვრავს. თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ირღვევა მისი საკუთრების უფლება, ვინაიდან მისი ქონების მიკუთვნება უსამართლოდ ხდება მისი არარეგისტრირებული მეუღლისათვის, მან უნდა იდავოს იმ ნორმის კონსტიტუციურობაზე, რომელიც მსგავს შესაძლებლობას განაპირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ საკუთრებისა და ქორწინების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული პრობლემა სცდება სადავო ნორმის რეგულირების სფეროს“.

<sup>8</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე №2/4/1351, ციალა პერტაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>9</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს დეტალური განმარტების მიხედვით, „როგორც უკვე აღინიშნა, თანასწორობის უფლებაში ჩარევას შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს აგრეთვე მაშინ, როდესაც სახეზეა არსებითად უთანასწორო პირთა ჯგუფების მიმართ თანაბარი მოპყრობა. განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე განიმარტა, შესადარებელ ჯგუფებს წარმოადგენენ, ერ-

თი მხრივ, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები, მეორე მხრივ კი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ფაქტობრივი თანაცხოვრების მქონე წყვილები, პარტნიორები. მათ შორის განმასხვავებელ ნიშანს მხოლოდ კანონის შესაბამისად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი წარმოადგენს. ზოგადად, ადამიანებმა, შესაბამის ფაქტობრივ ურთიერთობაში მყოფმა პირებმა, შესაძლოა, უარი თქვან ქორწინების რეგისტრაციაზე მრავალი ფაქტობრივი თუ გარკვეულ შეხედულებებზე დაფუძნებული გარემოების გამო. თუმცა, მიმდინარე საქმის ფარგლებში მნიშვნელოვანია, დადგინდეს, არსებობს თუ არა, რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც დასახელებულ პირებს მიაკუთვნებდა არსებითად უთანასწორო პირთა ჯგუფს. ქორწინების რეგისტრაცია და მის საფუძველზე მეუღლეთა უფლებამოვალეობების წარმოშობა ადამიანებს ერთმანეთისგან არ განასხვავებს პირის რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან კუთვნილების ნიშნით. რეგისტრაციის ფაქტი თავად არის ნიშანი, რომელიც, იმავდროულად, შესაძლებელია იდენტიურად არსებობდეს სხვადასხვა პერსონალური ნიშნით იდენტიფიცირებად ჯგუფებთან მიმართებით. ამ კუთხით, მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტაცია, რომლის საფუძველზეც, გამოიყოფოდა პირთა ის ჯგუფი, რომელსაც პირთან ან მის ამა თუ იმ კუთვნილებასთან დაკავშირებული ნიშნიდან გამომდინარე, შესაძლოა, სახელმწიფოსგან განსხვავებულად მოპყრობის მოთხოვნას წარმოშობდეს. მეტიც, თავად მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მის მიერ იდენტიფიცირებული შესადარებელი ჯგუფები არიან ერთმანეთის არსებითად თანასწორი პირები მემკვიდრეობის უფლების წარმოშობასთან მიმართებით. ამ კუთხით, სადავო ნორმიდან გამომდინარე განსხვავებული შედეგები გამოწვეულია სწორედ ცვალებადი ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე და არა მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირების რაიმე კუთვნილების ნიშნიდან გამომდინარე. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მისი სიტყვასიტყვითი განმარტებით, მეუღლეთა ფაქტობრივ თანაცხოვრებას ოჯახად არ განიხილავს და, მით უფრო, ქორწინების სამართლებრივ შედეგებს არ უკავშირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, **ოჯახის შექმნის მიზანს** ქორწინების ლეგიტიმაციის ერთადერთ და აუცილებელ გზად მიიჩნევს, უფრო მეტიც, **ქორწინებას, ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე**, ფიქციას უწოდებს და, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ასეთ ქორწინებას ბათილად აცხადებს<sup>10</sup>, თუმცა, ოჯახის შექმნის მიზნის მიღწევას ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, ფაქტობრივად, გამორიცხავს, რადგან მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძვლად **მარტოოდენ** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებას ასახელებს<sup>11</sup>.

ამდენად, კანონმდებელი, ერთი მხრივ, **ქორწინების რეგისტრაციის გარეშე შექმნილ ოჯახს არ ცნობს**, აღნიშნული სამართალურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს არც ქორწინების ფარგლებში აქცევს და არც ცალკე არეგულირებს და, მეორე მხრივ, აცხადებს, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, რაშიც როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი უფლება-მოვალეობები იგულისხმება, მარტოოდენ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ **კანონმდებელი არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში წარმოშობილ საოჯახო ურთიერთობების რეგულირებაზე კვალიფიციურ დუმილს ამჯობინებს**.

**თუმცა, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო დებულებების არარსებობა აღნიშნული ურთიერთობების არსებობას არ გამორიცხავს**. უფრო მეტიც, ძალიან

ბევრი ოჯახი იქმნება ისე, რომ მათ სამოქალაქო წესით ქორწინება რეგისტრირებული არ აქვთ. არარეგისტრირებული ქორწინების საფუძველი ჩვენს რეალობაში სხვადასხვაა. **ამ მიმართებით სწორედ ჩვენი რეალობის აღქმა და ანალიზია საჭირო, იმისთვის, რომ კანონმდებლის კვალიფიციური დუმილის პირობებში, კანონის მართებული, მიზნის შესაბამისი განმარტების, ან თუნდაც, კანონისა თუ სამართლის ანალოგიის გზით, არარეგისტრირებულ საოჯახო ურთიერთობებში მყოფი წყვილის უფლებები სამართლიანად იქნას დაცული**. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი ოჯახების უდიდესი უმრავლესობა **არ არის ინფორმირებული** საოჯახო ურთიერთობის რეგისტრაციის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, **მათ არ იციან**, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს სწორედ ასეთი წესით გაფორმებული (რეგისტრირებული) საოჯახო კავშირი წარმოშობს. წყვილები ქორწინების რეგისტრაციას **ფორმალურ, ბიუროკრატიულ პროცედურად აღიქვამენ** და, რიგ შემთხვევებში, საქორწინო ურთიერთობის სახელმწიფოს მხრიდან აღიარების საჭიროებაზე საუბრისას, აღნიშნულ ფორმალობას ურთიერთობისათვის „დამაკნინებლად“ კი მიიჩნევენ. ასევე **ხშირია რელიგიური წესით აღიარებული ქორწინებები**, რასაც წყვილები ქორწინების ლეგიტიმაციისათვის თვითკმარ საფუძვლად თვლიან. მიუხედავად რელიგიური წესით აღიარებული საქორწინო ურთიერთობისა, ისინი მაინც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილად რჩებიან, ამგვარ კავშირს სამოქალაქო სამართალი ქორწინებად არ მიიჩნევს და წყვილზე მეუღლეთა უფლება-მოვალეობების რეგულირების რეჟიმს არ ავრცელებს. ასევე პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქორწინების რეგისტრაციისათვის **დაბრკოლებას ფაქტობრივ ქორწინებაში**

გამოყოფილი შესადარებელი ჯგუფები არ წარმოადგენენ არსებითად უთანასწორო პირებს, რაც გამორიცხავს სადავო ნორმის საფუძველზე დიფერენცირებული მოპყრობის - არსებითად უთანასწორო პირების მიმართ თანაბარი მოპყრობის არსებობას და შესაბამისად, მისი დისკრიმინაციულობის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.“

<sup>10</sup> სკ-ის 1140-ე მუხლი 1140, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>11</sup> სკ-ის 1151-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

**მყოფი პირების ასაკი წარმოადგენდა.** მართალია, კანონი 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების რეგისტრაციას დაუშვებლად მიიჩნევს, თუმცა, რეალური ვითარება აჩვენებს, რომ არარეგისტრირებული ქორწინების პირობებში, 18 წელს მიუღწეველი პირები ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობებში იმყოფებიან. არანაკლებ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც წყვილები, ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე, უბრალოდ ინფორმირებული არ არიან, ან არასწორ ინფორმაციას ფლობენ, მაგალითად, მიიჩნევენ, რომ „სადღაც ბიუროში“ ხელის მოწერა საჭირო არ არის, ან თუ საჭიროა, ამას თანაცხოვრების განმავლობაში ყოველთვის მოასწრებენ. არადა „ვერ ასწრებენ“. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ წყვილი, და უმეტეს შემთხვევაში, ქალი<sup>12</sup>, რომელიც მთელი ცხოვრება საოჯახო მეურნეობას ეწევა, ერთი, ან რიგ შემთხვევაში, უფრო მეტი ათწლეულის შემდეგ აღმოაჩენს, რომ მას არანაირი უფლება არ აქვს ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე, ვინაიდან მისი ქორწინება სამოქალაქო წესით რეგისტრირებული არ იყო. აღნიშნული რეალობის ახსნა წყვილს შორის ერთ-ერთისთვის, და ეს ერთი, უმეტეს შემთხვევაში ქალია, იმ რეალობის მანკიერი გამართლებით ხდება, რომ მას ქონებაზე პრეტენზია ვერ ექნება იმის გამო, რომ მას შემოსავალი არასოდეს ჰქონია, ის ყოველთვის „სახლში იჯდა“. მართალია, ოჯახს და შვილებს უვლიდა, თუმცა, ეკონომიკურად ყოველთვის ქმარზე იყო დამოკიდებული, ან კიდევ, მართალია, „სახლში სულაც არ მჯდარა“, საოჯახო მეურნეობის გაძლოის პარალელურად მუშაობდა კიდევ, თუმცა, მისი შემოსავალი ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ქმრის და ა. შ. მანკიერი, სტერეოტიპული მიდგომის პარალელურად ქალის ქონებრივ უფლებებს არც საოჯახო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები იცავს და თანაცხოვრების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე წყვილის თანასაკუთრების უფლებას არ ად-

გენს, ვინაიდან აღნიშნულ კავშირს, რეგისტრაციის არარსებობის გამო, ქორწინებად არ განიხილავს. ეს არის დამოკიდებულება, რომელიც ქალის უფლებებს ხელყოფს, მას მორალურად ჩაგრავს, მის შრომას, მათ შორის, საოჯახო მეურნეობაში აქტიურ ჩართულობას, ეკონომიკური თვალსაზრისით აკნინებს. ამგვარ დამოკიდებულებას აძლიერებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, ე. წ. „de facto ოჯახის“ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა. როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, თუ ქორწინება რეგისტრირებული არ არის, წყვილი ერთ ოჯახადაც რომ ცხოვრობდეს, ფაქტობრივ ადგილსამყოფელს საერთო სახლად განიხილავდეს, საერთო საოჯახო საქმიანობასა, თუ ერთობლივ საოჯახო მეურნეობას ეწეოდეს, შვილები ჰყავდეს (ან არ ჰყავდეს) და ა. შ., თუ მათი საოჯახო კავშირი რეგისტრირებული არ არის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასეთ კავშირს ქორწინებად არ მიიჩნევს, და შესაბამისად, არც მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს თვლის წარმოშობილად.

ამდენად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის საოჯახო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შექმნილი ოჯახის უფლება-მოვალეობებს არ ცნობს და შესაბამისად, არ აწესრიგებს, ცალკე საკანონმდებლო ჩარჩოა შესაქმნელი აღნიშნული ურთიერთობების, მათ შორის, არამატერიალური და მატერიალური უფლებების დარეგულირების თვალსაზრისით. თუმცა, აქვე ისმის კითხვა, დასაშვებია, თუ არა სამართალურთიერთობა მონესრიგების მიღმა დარჩეს მაშინ, როდესაც ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმები არ არსებობს? აღნიშნულ კითხვას ცალსახად უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან სამოქალაქო სამართლის ნორმა-პრინციპია მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშ-

<sup>12</sup> მითითებული მსჯელობა ეხება ასევე კაცებს, თუმცა, ემპირიული დაკვირვება ცხადყოფს, რომ არარეგისტრირებულ ოჯახებში ქონებრივი უფლებები ქალების შემთხვევაში უფრო ილახება, რასაც ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ მსგავსი კატეგორიის სასამართლო დავის

ფარგლებში მოსარჩევეები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ქალები არიან. დეტალურად იხ. ქვემოთ მიმოხილული სასამართლო პრაქტიკა.

ვებლობა იმ შემთხვევაში, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია<sup>13</sup>. ამ შემთხვევაში, საკითხი უნდა გადაწყდეს ნორმის განმარტების, ანდა კანონის ან სამართლის ანალოგიის გზით, თანაც ისე, რომ ნორმის არარსებობის საფუძვლით არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს ის ფუნდამენტური ბუნებითი უფლებები არ წაერთვას, როგორცაა, ღირსების პატივისცემა, თვითგანვითარების უფლება, საერთო შვილებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლება, საკუთარი შრომით შექმნილ ნაყოფსა და დოვლათზე უფლება და ა. შ.

**ბ) რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ფაქტობრივი ოჯახის, ანუ, ე. წ. „დე ფაქტო“ ოჯახის ცნება და გამონწვევები ქონებრივ უფლებათა დაცვის კონტექსტში**

ქორწინების ნამდვილობისთვის **ოჯახის შექმნის მიზანს** გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, აღნიშნული მიზნის გარეშე, ქალისა და მამაკაცის კავშირი, ქორწინებად სახელდებული და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული, **ფიქციურ ქორწინებად ითვლება და ბათილად მიიჩნევა**. ასევე შეიძლება არსებობდეს **ფიქციური, ფორმალური განქორწინება**, რა დროსაც ოჯახური კავშირი შენარჩუნებულია და წყვილი კვლავ ერთ ოჯახად აგრძელებს ცხოვრებას. ფიქციური განქორწინების სამართლებრივი შედეგი, განქორწინების ფაქტის ბათილობიდან გამომდინარე, **Status Quo** - ს, ანუ რეგისტრირებული ქორწინების აღდგენაა, იმ დაშვებით, რომ განქორწინებას, მისი ფიქციური, არარა ბუნებიდან გამომდინარე, ქორწინების რეგისტრაციის შეწყვეტა არც გამოუწვევია. შესაბამისად, ამ სამართალურთიერთობაზე რეგისტრირებული ქორწინების მიმართ მოქმედი რეჟიმი ვრცელდება, განსხვავე-

ბით არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შექმნილი ოჯახისაგან. **ამდენად, ქორწინება, ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე, ფიქციურაა, ხოლო ოჯახის შექმნა, ქორწინების რეგისტრაციის გარეშე - რეალობა, რადგან ერთ ოჯახად ცხოვრება ფაქტის საკითხია, და არა სამართლებრივი კვალიფიკაციის საგანი**. იგივე მიდგომა განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობა, როგორც ფაქტის საკითხი, მჭიდრო კავშირების რეალურ არსებობაზე დამოკიდებული<sup>14</sup>, შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებში მოაქცია არამხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით „რეგისტრირებული კავშირი“ (რეგისტრირებული ქორწინება), არამედ ე. წ. „არარეგისტრირებული“, *de facto* ოჯახის „ოჯახური ცხოვრება“<sup>15</sup>.

ზემოაღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ ოჯახი შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როდესაც ის ასეთად არ არის აღიარებული საამისოდ უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან ან ასეთი აღიარება ფიქტიურია; არსებობს თუ არა „ოჯახური ცხოვრება“ არსებითად ფაქტის საკითხია, რაც დამოკიდებულია მჭიდრო პირადი კავშირების რეალურ არსებობაზე<sup>16</sup>. ოჯახი შეიძლება არსებობდეს იმ პირობებშიც, როდესაც არ არსებობს მისი რეგისტრაცია და, შესაბამისად, უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა ქორწინების მონობაში. **ამდენად, ოჯახი, ფაქტობრივი მოცემულობაა და არა იურიდიული კვალიფიკაცია**. შესაბამისად, დაუშვებელია ოჯახის არსებობის უარყოფა მარტოდენ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ქორწინება რეგისტრირებული არ არის, თუნდაც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება ამის შესაძლებლობას იძლეოდეს.

<sup>13</sup> სკ-ის 4 | 2 მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>14</sup> *K. and T. v. Finland [GC]*, (Application no. 25702/94), 12.07.2001.

<sup>15</sup> *Johnston and Others v. Ireland*, (Application no. 9697/82), 18.12.1986.

<sup>16</sup> *Paradiso and Campanelli v. Italy*, (Application no. 25358/12), 24.01.2017.

ამდენად, ოჯახი შეიძლება შეიქმნას ქორწინების რეგისტრაციის გზით, ე. წ. „ლეგიტიმური ოჯახი“, ასევე ოჯახად შეიძლება წყვილი ცხოვრობდეს ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, ე.წ. „de facto ოჯახი“. მართოდენ ფაქტი მასზედ, რომ ქორწინება რეგისტრირებული არ არის, წყვილის ოჯახად აღიარების შესაძლებლობას არ გამოორიცხავს, **თუმცა, უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ წინაპირობებს, როგორცაა, გარკვეული დროის განმავლობაში ერთად ცხოვრება, ან ცალ-ცალკე ცხოვრების პირობებში სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება, საერთო სახლის („ჭერის“) ქონა, საერთო ოჯახური საქმეების ერთობლივად გაძღოლა, საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოება, შვილების ყოლა, თუმცა, შვილების არყოლა ოჯახის არსებობას არ გამოორიცხავს**<sup>17</sup>.

ამ მიმართებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი ცნობიერი, სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ გასცდა ფორმალური ურთიერთობის ფარგლებს და მოიცვა ფაქტობრივი ურთიერთობა წყვილს შორის<sup>18</sup>. დღეს ოჯახურ ცხოვრებად არ მიიჩნევა მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, არამედ ასეთად განიხილება ასევე ფაქტობრივი კავშირი<sup>19</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „ოჯახური ცხოვრების ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახებით და, შეიძლება, მოიცვას სხვა ფაქტობრივი ურთიერთობები. ფაქტობრივი თანაცხოვრების „ოჯახურ ცხოვრებად“ კვალიფიკაციის მიზნებისათვის

მხედველობაში ისეთი ფაქტორები მიიღება, როგორცაა, წყვილთა თანაცხოვრება, ურთიერთობის ხანგრძლივობა, საერთო ვალდებულებები გამოხატული ბავშვების ყოლით ან სხვა რაიმე საშუალებით<sup>20</sup>. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ წყვილის 15 წლიანი თანაცხოვრება „ოჯახურ ცხოვრებად“ მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ურთიერთობა ქორწინებას არ ეფუძნებოდა<sup>21</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ოჯახურ ცხოვრებად ჩათვალა ასევე წყვილის 26 წლიანი თანაცხოვრება, რომელთაც 6 საერთო შვილი ჰყავდათ. მათი ოჯახური კავშირი მხოლოდ რელიგიური წესით იყო გაფორმებული, რაც ეროვნული კანონმდებლობით სამოქალაქო წესით რეგისტრირებულ ქორწინებად არ განიხილებოდა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი კავშირი კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის ოჯახს წარმოადგენდა და მასზე მე-8 მუხლი სრულად ვრცელდებოდა<sup>22</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ოჯახური ცხოვრება არ მოიცავს მხოლოდ სოციალურ, მორალურ ან კულტურულ ურთიერთობას, მაგალითად, ბავშვების განათლების სფეროში; ის ასევე ფარავს მატერიალური სახის ინტერესებსაც, როგორცაა, მაგალითად, ურთიერთრჩენის მოვალეობა<sup>23</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფაქტობრივი ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ სამართალიც განიცდის ევოლუციას. შესაბამისად, არარეგისტრირებული ქორწინება, როგორც წყვილის სტაბილური, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი, საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოებაზე ორიენტირებული ურთიერთობა სამართლებრივი დაცვის მიღმა აღარ რჩება, ის ფაქტობრივ ოჯახად მიიჩნევა

<sup>17</sup> Roagna I. Protecting the right to respect for private and family life under the European Convention on Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2012, p.28-29.

<sup>18</sup> Johnston and Others v. Ireland, (Application no. 9697/82), 18.12.1986.

<sup>19</sup> „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/>

piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-dasaxelmwipo-valdebulebebi.pdfგვ.117.

<sup>20</sup> X. Y. and Z v. the United Kingdom, (Application no. 21830/93), 22.04.1997.

<sup>21</sup> Johnston and Others v. Ireland, (Application no. 9697/82), 18.12.1986.

<sup>22</sup> Muñoz Díaz v. Spain (Application no. 49151/07), 8.12.2009.

<sup>23</sup> Serife Yigit v. Turkey, (Application no. 3976/05), 02.11.2010.

და მასზე, როგორც ოჯახურ ცხოვრებაზე, დაცვის ყველა ის გარანტია ვრცელდება, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს. პრეცედენტული სამართლის ამგვარი ევოლუციის კვალდაკვალ, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პირველადი წყაროა, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ყველა იმ არაქონებრივი უფლება-მოვალეობის ანალოგიის წესით გავრცელება ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობაში მყოფ წყვილზე, რომლებიც ოჯახური ურთიერთობებისათვის ორგანულია, იმანენტურია.

რაც შეეხება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის ქონებრივ უფლებებს, მათ შორის, გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრედ ყოფნის უფლებას, ამ მიმართებით გარკვეული სამართლებრივი დასკვნების გასაკეთებლად მნიშვნელოვანია ორი საქმის მიმოხილვა, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 26 ნლიანი თანაცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, რომელთაც 6 საერთო შვილი ჰყავდათ, ოჯახურ ცხოვრებად მიიჩნია, მით უფრო, რომ მათი ოჯახური კავშირი რელიგიური წესით იყო გაფორმებული. თუმცა, სასამართლომ მატერიალურ სამართლებრივი მიზნებისათვის, კერძოდ, სამკვიდროს გაყოფის თვალსაზრისით, რელიგიურ ქორწინებაში მყოფი მეუღლე სამოქალაქო ქორწინებაში მყოფ მეუღლეს არ გაუთანაბრა. ამასთან, განმარტა, რომ რელიგიურ ქორწინებაში მყოფი მეუღლისათვის მემკვიდრის სტატუსის არ მინიჭებით მე-8 მუხლი არ ირღვეოდა. ამ მიმართებით, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო ქორწინების ორგანიზების სიმარტივის გათვალისწინებით, წყვილს, 26 ნლიანი თანაცხოვრების დროს ყოველთვის შეეძლო მიემართა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციის მიზნით. აღნიშნული პროცედურა რაიმე განსაკუთრებული სირთულით არ ხასიათდებოდა და,

როგორც ვალდებულება, წყვილისათვის დაკისრებულ მიძიმე ტვირთად არ განიხილებოდა<sup>24</sup>. აღნიშნული საქმისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბოშათა თემის წევრი, ბოშათა რიტუალების შესაბამისად დაქორწინებული, ქორწინებაში მყოფ „მეუღლეს“ გაუთანაბრა და მემკვიდრეობის მიღების უფლება მიანიჭა. ამ მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ მოცემულობაზე, რომ ბოშათა რიტუალების შესაბამისად შექმნილ ოჯახზე, რომელსაც 6 შვილი ჰყავდა, გაცემული იყო საოჯახო ჩანაწერის წიგნი, მინიჭებული ჰქონდა მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი, შესაბამისად, აღნიშნული ოჯახის წევრებს ჰქონდათ უფლება ვარაუდისა, იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო მათ ერთობლივ თანაცხოვრებას ოჯახად აღიარებდა და კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სამოქალაქო ქორწინებას გაუთანაბრებდა, მათ შორის, მემკვიდრეობით-სამართლებრივი თვალსაზრისითაც<sup>25</sup>.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხანგრძლივი ვადით თანაცხოვრებას, რა დროსაც წყვილი ერთობლივ მეურნეობას უძღვება, ოჯახად აღიარებს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების არეალში აქცევს, მით უფრო, თუ წყვილს საერთო შვილები ჰყავს, თუმცა, ქონებრივი უფლებების მოპოვების თვალსაზრისით რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს გამონაკლის შემთხვევებში უთანაბრებს. ამ მიმართებით იკვლევს, რაიმე დაბრკოლება ხომ არ არსებობდა ქორწინების რეგისტრაციის, ან ანდერძის შედგენის მხრივ, და თუ მიდის დასკვნამდე, რომ ქორწინების რეგისტრაციის ან ანდერძის შედგენის მხრივ სახელმწიფოს წყვილისთვის დაბრკოლებები არ შეუქმნია, და წყვილის გაცნობიერებული არჩევანი იყო არარეგისტრირებული კავშირის დამყარება, ასეთ შემთხვევაში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრედ არ

<sup>24</sup> Serife Yigit v. Turkey, (Application no. 3976/05), 02.11.2010.

<sup>25</sup> Muñoz Díaz v. Spain (Application no. 49151/07), 8.12.2009.

მიიჩნევს, ისევე როგორც ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმს არ ავრცელებს<sup>26</sup>.

მითითებული პრაქტიკა **ცალსახად მიანიშნებს წყვილის არჩევანში ჩარევის მიზანშეუწონლობაზე, თუ მათ გაცნობიერებულად აირჩიეს არარეგისტრირებულ საქორწინო ურთიერთობაში ყოფნა**. შესაბამისად, ისმის კითხვა, თუ წყვილი გაცნობიერებულად იღებს არარეგისტრირებული „დე ფაქტო“ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილებას და შესაბამის ინფორმაციას ფლობს იმ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რაც ფაქტობრივი ოჯახის წევრთა უფლებრივ მდგომარეობას შეეხება, მაშინ რატომ შეიძლება გაუთანაბრდეს არარეგისტრირებული ქორწინება რეგისტრირებულს?! ქორწინების დატვირთვა, როგორც სახელმწიფოსაგან აღიარებული საოჯახო კავშირის დაცვა, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილი დოვლათი, მის შექმნაში თითოეულის მიერ შეტანილი წვლილის კვლევის გარეშე, მეუღლეთა თანასაკუთრებად მიიჩნევა. ეს არის სპეციალური რეგულირება, დამახასიათებელი რეგისტრირებული ქორწინებისთვის, საოჯახო მეურნეობის წარმოების თავისებურების გათვალისწინებით, მეუღლეთა ქონებრივი უფლებების დასაცავად და რომელიმე მეუღლის ეკონომიკური ექსპლუატაციის თავიდან ასაცილებლად. ამდენად, საფიქრალია, ასეთ შემთხვევაში (იგულისხმება, როდესაც წყვილი გაცნობიერებულად იღებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში თანაცხოვრების გადაწყვეტილებას) სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის ანალოგიის წესით გამოყენება წინააღმდეგობაში ხომ არ მოვიდოდა საგამონაკლისო ნორმების ანალოგიით გამოყენების აკრძალვასთან. ამ მიმართებით, მხედველობაშია მისაღები საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დონე, მათი ინფორმირებულობა, ქორწინების რეგისტრაციისა, თუ რეგისტრაციაზე უარის თქმის გაცნობიერებული ნება. ნების გაცნობიერებულ ხასიათს ყურადღება ექცევა იმდენად, რამდენადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მართალია, ქორწინების გარეშე ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობას ოჯახად განიხილავს და მასზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებს სრულად ავრცელებს, თუმცა, როდესაც საქმე ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი მეუღლისათვის, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მსგავსად, მონმის პრივილეგიის<sup>27</sup>, ასევე მემკვიდრის სტატუსის<sup>28</sup> მინიჭებას, ანდა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელებას შეეხო<sup>29</sup>, სასამართლომ თავის შეიკავა იმ მთავარ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ქორწინებას აქვს სახელმწიფოში ღრმა სოციალურ-კულტურული კონოტაცია, შესაბამისად, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს სახელმწიფო განსხვავებული რეჟიმით იცავს, **როდესაც ფაქტობრივი თანაცხოვრება წყვილის თავისუფალი არჩევანია, როდესაც სახელმწიფოს მათ არჩევანზე გავლენა არ მოუხდენია და არც რაიმე ისეთი დაბრკოლება შეუქმნია წყვილთათვის რეგისტრირებულ ქორწინებაში შესასვლელად, რაც დასაქორწინებელი პირებისათვის მძიმე ტვირთად შეიძლება ქცეულიყო**<sup>30</sup>, ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პირების მოთხოვნა, გაუთანაბრდნენ ქორწინებაში მყოფ პირებს ქონებრივი, მათ შორის, მემკვიდრეობითი უფლებების თვალსაზრისით, საფუძველს მოკლებულია.

ამდენად, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის **ქონებრივი და სხვა უფლებების გათანაბრებაზე მსჯელობს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის უფლებებთან,**

ამდენად, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის **ქონებრივი და სხვა უფლებების გათანაბრებაზე მსჯელობს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის უფლებებთან,**

<sup>26</sup> Makarčeva v. Lithuania (Application no.31838/19), 28.09.2021.

<sup>27</sup> Van der Heijden v. Netherlands (Application no. 42857/05), 03.04.2012.

<sup>28</sup> Serife Yigit v. Turkey, (Application no. 3976/05), 02.11.2010.

<sup>29</sup> Makarčeva v. Lithuania (Application no.31838/19), 28.09.2021.

<sup>30</sup> Van der Heijden v. Netherlands (Application no. 42857/05), 03.04.2012.



განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლა წყვილის თავისუფალი არჩევანი იყო, თუ არა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აქცენტირებულად სწორედ არჩევანის თავისუფლებაზე ამახვილებს ყურადღებას და უთითებს, რომ განმცხადებელმა არჩია თავისი ურთიერთობა ფორმალურად არ დაერეგისტრირებინა და ამ მხრივ მისი გაკრიტიკება დაუშვებელია. შესაბამისად, მან უნდა მიიღოს სამართლებრივი შედეგი, რომელიც მისი არჩევანიდან გამომდინარეობს, კერძოდ, რომ მან თავი მოიქცია „დაცული“<sup>31</sup> ოჯახური ურთიერთობის ფარგლებს გარეთ<sup>32</sup>. სწორედ ეს არის საკვანძო საკითხი და არსებითი მნიშვნელობის მქონე ევროპული პრაქტიკის გაზიარების მიზნებისათვის. არარეგისტრირებული წყვილის ქონებრივ უფლებებზე საუბრისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ არჩევანის გაკეთების მნიშვნელობაზე. როდესაც საუბარია არჩევანის გაკეთებაზე, **ნება ნამდვილია, თუ ის ინფორმირებული და ცნობიერი გადაწყვეტილების შედეგია**, სხვაგვარად თუ ვიტყვით, წყვილი უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რასაც სახელმწიფო უნდა აწვდიდეს, ჰქონდეს სათანადო სამოქალაქო განათლება, რასაც ასევე სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს, იმ მიზნით, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში შესვლა და ამის თანმდევი შედეგების გაზიარება გაცნობიერებულად გამოხატული ნებისა და შესაბამისად, თავისუფალი არჩევანის შედეგი იყოს.

პრაქტიკა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ცხადყოფს, რომ საქართველოში ბევრი წყვილია არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რომლებიც წლებია ერთ ოჯახად ცხოვრობენ, საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევიან, საერთო საცხოვრისი აქვთ, ზრდიან შვილებს და ა. შ. **თუმცა, ქორწინების არ დარეგისტრირების თანმდევი შედეგები გაცნობიერებული არ აქვთ, უფრო მეტიც, მათ არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია, რა უფლებრივი განსხვავება სდევს თან**

მეუღლეებისათვის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნას არარეგისტრირებულ ქორწინებასთან შედარებით. ასეთ შემთხვევაში, მათი ქონებრივი უფლებების დაცვის გარანტიების გათანაბრება რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილთან, უპრიანი, სამართლიანი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისი იქნებოდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, საქართველოს სინამდვილეში იშვიათად, თუმცა, რიგ შემთხვევებში, წყვილმა შეიძლება გაცნობიერებულად არ დაარეგისტრიროს ქორწინება, და რეგისტრაციის გარეშე ჰქონდეს ოჯახი, ენეოდეს საერთო საოჯახო მეურნეობას, ქმნიდეს მატერიალურ დოვლათს და ა. შ. **არც ამ შემთხვევაშია მიზანშეწონილი ასეთი ოჯახის წევრების ქონებრივი უფლებების დაცვის სტანდარტს მიღმა დატოვება. არარეგისტრირებული საოჯახო ურთიერთობების სპეციალური ნორმების არარსებობის პირობებში, გამოსაყენებელი სამართალი კი შეიძლება იყოს სამოქალაქო ამხანაგობის მომწესრიგებელი ნორმები, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი წესები და ა. შ.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუალედური დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილი, რომელიც ერთ ოჯახად ცხოვრობს, ურთიერთობა გარკვეული ხანგრძლივობით, სტაბილურობით ხასიათდება, წყვილს აქვს, პირობითად, საერთო „ჭერი“, ერთობლივად უძღვებიან საერთო საოჯახო საქმეებს, ჰყავთ შვილები, ან არ ჰყავთ შვილები, მაგრამ საერთო ცხოვრებისეული მიზნებითა და ღირებულებებით არიან შეკავშირებულნი და, რაც მთავარია, თავს „ერთ ოჯახად“ განიხილავენ, სახეზეა ე. წ. „ფაქტობრივი ოჯახი“ ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, რომელთა არაქონებრივი უფლებები, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის კონტექსტში, საოჯახო სამართლით დაცულ უფლებებს უთანაბრდება, ხოლო რაც შეეხება მათ ქონებრივ უფლებებს, სპეციალური რეგულ-

<sup>31</sup> იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება, ავტ. შენიშვნა.

<sup>32</sup> Van der Heiden v. Netherlands (Application no. 42857/05), 03.04.2012.

ლაციის არარსებობის პირობებში, მათი ქონებრივი უფლებები, ან საოჯახო სამართლით დაცული სტანდარტით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, ანალოგიის გამოყენების გზით, ან სამოქალაქო სამართლის სხვა დარგებში უნდა გამოიყენონ ერთობლივი საქმიანობის დროს ეკონომიკურ უფლებათა შელახვა და, შესაბამისი ფაქტობრივი საფუძვლის, ანდა მოლოდინის გარეშე, ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე. აღნიშნული ალტერნატივიდან რომელიმე სამართლებრივი რეგულაციის გამოყენებისათვის უპირატესობის მინიჭება დიდწილად დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, წყვილმა ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობა (ქორწინება), გაცნობიერებულად, გამიზნულად არ დაარეგისტრირა, თუ ქორწინების არ დაარეგისტრირება რაიმე დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულ კონტექსტში დაბრკოლებად შეიძლება განიხილებოდეს ასაკი, წყვილის მცდარი აღქმა ქორწინების რეგისტრაციის ფორმალურ ხასიათთან დაკავშირებით, რელიგიური ქორწინებისათვის თვითკმარი მნიშვნელობის მინიჭება ქონებრივი უფლებების დაცვის კონტექსტში და ა. შ. მითითებული საკითხი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაშია გადასანწყვეტი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ განვითარებული მსჯელობის პათოსი, რომელიც ხაზგასმით ორიენტირებულია იმაზე, რომ არარეგისტრირებული ოჯახის წევრების უფლებრივი მდგომარეობა გაუთანაბროს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების უფლებრივ გარანტიებს ან, თუ არარეგისტრირებული საოჯახო კავშირი (დე ფაქტო ოჯახი) წყვილის გაცნობიერებული არჩევანია, თანაბარი ძალით იქნეს დაცული სამართლის სხვა დარგების საფუძველზე, არ ეხება წყვილებს, რომლებიც დროებით ცხოვრობენ ერთად, არ ეწევიან

საერთო საოჯახო მეურნეობას, მათი ურთიერთობა, დროისა და სტაბილურობის გათვალისწინებით, არ აღწევს აღნიშნული ურთიერთობის ოჯახად კვალიფიკაციის დონეს<sup>33</sup>. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში<sup>34</sup> მიიჩნია, რომ ქალსა და განმცხადებელს შორის ურთიერთობა, რომელიც მათი შვილის ჩასახვამდე ერთი წლით ადრე დასრულდა, არ წარმოადგენდა *de facto* ოჯახურ ცხოვრებას, მათი კავშირი მხოლოდ სექსუალური ბუნების იყო. მითითებულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ მარტოდენ ფაქტი მასზედ, რომ განმცხადებელი თავის პარტნიორთან და მის ქალიშვილთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობდა, რომლის ბიოლოგიური მამა თავად იყო, არ ქმნიდა ოჯახს, რომელიც დაცულია მე-8 მუხლის<sup>35</sup> მიზნებისთვის.

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ოჯახის წევრების პირადი, თუ ქონებრივი უფლებების დაცვაზე, რაც ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, წყვილის კავშირი აღწევს კი იმ ნიშნულს, როდესაც მათი ურთიერთობა შეიძლება საოჯახო კავშირად, შესაბამისად, „დე ფაქტო ოჯახად“ იქნეს მიჩნეული. წყვილის ურთიერთობის „დე ფაქტო“ ოჯახად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნული კავშირის არსის გასარკვევად სხვადასხვა გარემოებებს იღებს მხედველობაში, მაგალითად, თანაცხოვრების ფაქტს, ურთიერთობის ხანგრძლივობას, საერთო მიზნებსა და ინტერესებს, შვილების ყოლას, თუმცა, სტაბილური კავშირი შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როდესაც წყვილი ერთად არ ცხოვრობს, ან მათ საერთო შვილები არ ჰყავთ. ასეთ შემთხვევაში წყვილის ოჯახური კავშირი სხვა სახის მტკიცებულებებით დგინდება<sup>36,37</sup>.

<sup>33</sup> *Roagna I. Protecting the right to respect for private and family life under the European Convention on Human Rights*, Council of Europe, Strasbourg, 2012, p.28-29.

<sup>34</sup> *Ahrens v. Germany*, (Application no. 45071/09), 24.09.2012.

<sup>35</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაში შესვლის თარიღი: 20/05/1999.

<sup>36</sup> *Kroon and Others v. Netherlands*, (Application no. 18535/91), 27.12.1994.

<sup>37</sup> *Azerkane v. Netherlands*, (Application no. 3138/16), 02.09.2020.

### გ) რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის ქონებრივი უფლებები და მათი დაცვის გარანტიები

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა ქონებრივი უფლებების განსაზღვრის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სკ-ის 1158-ე მუხლის დანაწესი<sup>38</sup>, რომლის მიხედვითაც, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ამდენად, საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ<sup>39</sup> და საერთო, თანაზიარ საკუთრებად<sup>40</sup>. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთ-ერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისი ჯანმრთელობის ან სხვა

მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავლის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება ერთ-ერთი მათგანის მიერაა შეძენილი თუ ორივე მეუღლის მიერ. უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია მეუღლეთა მიერ ამ ქონების შეძენა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში. რეგისტრირებული ქორწინების დროს მეუღლეთა შორის შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის დანესებით კანონმდებელი ხელმძღვანელობს იმ ვარაუდით, რომ, როგორც წესი, ასეთი ქონება იქმნება მეუღლეთა ერთობლივი სახსრებით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძლიერებითა და ერთობლივი შრომით. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლეების საერთო ქონებას) მიეკუთვნება, როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება არ აქვთ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა<sup>41</sup>. აღნიშნული პრეზუმფცია ემსახურება ოჯახის ინტერესების დაცვის მიზანს, კერძოდ, ივარაუდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძლიერების, საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამდენად, დავის შემთხვევაში, რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის<sup>42</sup>.

<sup>38</sup> სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>39</sup> სამოქალაქო კოდექსის 1161-1162 მუხლები, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>40</sup> სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>41</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-7-7-2016; ციტირებული არაერთგზის, მათ შორის, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე № ას-180-169-2017.

<sup>42</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-1426-1346-2017, მათ შორის, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე № ას-180-169-2017.

1164-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ<sup>43</sup>. ამასთან, 1171-ე მუხლის შესაბამისად, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა<sup>44</sup>. 130 მუხლის მიხედვით კი, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან<sup>45</sup>. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამრიგად, 1171-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი განქორწინების რეგისტრაციაა, ვინაიდან, განქორწინებული მეუღლეებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის უფლების არსებობის თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის ქონებრივი დავის არსებობა-არარსებობა ერთ-ერთი კრიტერიუმია, რაც განქორწინების საკითხის გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს<sup>46</sup>. საგულისხმოა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სარჩელის წარმოდგენა, მოპასუხის მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

თუკი დადასტურდება, რომ ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, მაშინ თა-

ნასაკუთრებაში წილთა თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე<sup>47</sup>, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, სამკვიდრო მხოლოდ ქონების 1/2 ნაწილზე იხსნება (სკ-ის 1339-ე მუხლის თანახმად, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის)<sup>48</sup>.

შესაძლებელია ქონება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება იყოს, თუმცა, გარემოებათა გამო მეუღლეთა თანასაკუთრებად ტრანსფორმირდეს. 1163-ე მუხლის თანახმად<sup>49</sup>, ინდივიდუალური საკუთრება გარდაიქმნება თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმ ღონისძიებების მაგალითად, რომელთა შედეგადაც იზრდება ღირებულება, კანონმდებელი ასახელებს: გადაგემარებას, მშენებლობის დასრულებასა და გადაკეთებას. ამ სამაგალითო ჩამონათვალის გაგრძელება შეიძლება შემდეგი ღონისძიებებით: კაპიტალური რემონტი, რეკონსტრუქცია, მნიშვნელოვანი დანადგარებით აღჭურვა და ა. შ. აუცილებელია, რომ ყველა ეს ღონისძიება „მნიშვნელოვნად“ ზრდიდეს ქონების ღირებულებას<sup>50</sup>. ქონების მხოლოდ მიმდინარე რემონტი არ შეიძლება ქონების საერთო საკუთრებად აღიარების საფუძველი გახდეს. ქონების რემონტი ან თანხის დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ქონების თანასაკუთრებად აღიარების საფუძველი, როცა ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა<sup>51</sup>.

<sup>43</sup> სამოქალაქო კოდექსის 1164-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>44</sup> სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>45</sup> სამოქალაქო კოდექსის 130 I მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>46</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-531-505-2013.

<sup>47</sup> სამოქალაქო კოდექსის 173 I - 954 მუხლები, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>48</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1270-1192-2015.

<sup>49</sup> სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>50</sup> იხ. *რუსიაშვილი/ქავშაია/მელაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021 წელი, მუხ.1163, ველი 6), ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-1068-2018.

<sup>51</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმეზე №ას-392-2021, 29.09.2021წ; ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო

რაც შეეხება წილთა თანაბრობას, ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ რეგისტრირებულ ქორწინებაში მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმზე ვრცელდება წილთა თანაბრობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგისტრირებული ქორწინების დროს შექმნილი ქონება მეუღლეთა შორის თანაბრად იყოფა. თანაბრობის პრინციპი დაცვის ღირსი სიკეთეა და მისგან გადახვევა დაუშვებელია საკუთრებით თავისუფლად და შეუზღუდავად სარგებლობის არგუმენტის გამოც. მაგ.: თუკი მეუღლეთა თანასაკუთრებაში რამდენიმე მოძრავი ნივთია, ერთმანეთს შორის მათი გაყოფისას, უმთავრესია, რომ ყველა ამ ნივთზე თანამესაკუთრე მეუღლეთა უფლებები თანაბარწილად განისაზღვროს, რადგან, როგორც აღნიშნა, კანონით ეს ნივთები ორივეს საერთო საკუთრებაა. ასეთი გზით თანასაკუთრების გაყოფა, მეუღლეთა კანონიერი ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებაა. სხვაგვარად, მეუღლეთა, როგორც თითოეული ასეთი ქონების თანამესაკუთრეთა უფლებების დაცვის მიზანი ვერ მიიღწევა, რადგან თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთებიდან რამდენიმე ნივთის გამოყოფისა და ერთ-ერთი მეუღლისათვის მიკუთვნების პირობებში, შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა - რამდენად იქნა დაცული წილთა თანაბრობის პრინციპი, რომლის არსიც თითოეულ მოძრავ ნივთზე თითოეული მეუღლის თანასაკუთრების უფლების არსებობაში მდგომარეობს. ზემოაღნიშნული მსჯელობის საპირწონე ვერ გახდება ფაქტი მასზე, ქონების სხვაგვარად გაყოფით, მხარეები აღნიშნული ქონებით დაუბრკოლებლად შეძლებენ თუ არა სარგებლობას. როგორც ზემოთ განიმარტა, თანასაკუთრებაში არსებული რამდენიმე მოძრავი ნივთის გაყოფისას, გადამწყვეტია, თითოეულ ნივთზე, თანამესაკუთრე მეუღლეთა უფლებების თანაბარწილად განსაზღვრა, რადგან კანონით ეს ნივთები ორივეს საერთო

საკუთრებაა<sup>52</sup>. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მთავარია დადგინდეს არა ის, თუ რამდენად შეძლებს მოსარჩელე, საკუთრებით თავისუფლად სარგებლობას, არამედ ის, გაყოფის შედეგად, დაცული იქნება თუ არა თითოეულ მოძრავ ნივთზე თითოეული მეუღლის თანასაკუთრების უფლება<sup>53</sup>.

წილთა თანაბრობის პრინციპის დაცვით, თანასაკუთრების უფლება ვრცელდება არამხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების დროს შექმნილ ქონებაზე, არამედ აღნიშნული ქონებიდან მიღებულ სარგებელზე, კერძოდ, 1160-ე მუხლის მიხედვით<sup>54</sup>, თანამესაკუთრე მეუღლეს, ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნის უფლება აქვს. აქედან გამომდინარე, კანონშესაბამისია დივიდენდის სახით მიღებული სარგებლის განაწილებისა და თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაქირავებით (იჯარით გაცემის) საფასურის ნაწილის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, მოსარჩელე (რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე) ქორწინების განმავლობაში აღნიშნული ქონების თანამესაკუთრედ ირიცხებოდა, თუ არა<sup>55</sup>. პრივატიზაციით მიღებულ ქონებაზე კი მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრების უფლება ვრცელდება, თუ აღნიშნული უფლება მეუღლემ ქორწინებამდე მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლება მეუღლემ ქორწინების პერიოდში დაირეგისტრირა. ამ მიმართებით ნიშანდობლივია, თუ როდის მოიპოვა მეუღლემ მითითებული უფლება. პრივატიზაციის უფლება ქორწინებამდე მოპოვებულად ითვლება მაშინაც, თუ მეუღლემ მითითებული უფლების აღიარება სასამართლო წესით ქორწინების განმავლობაში შეძლო. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მეუღლეს აღნიშ-

საქმეთა პალატის 2016 წლის 04 მარტის განჩინება, საქმეზე №ას-840-791-2015.

<sup>52</sup> სამოქალაქო კოდექსის 1158 I მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>53</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-427-2020.

<sup>54</sup> სამოქალაქო კოდექსის 1160 III მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>55</sup> იქვე.

ნული ქონება ქორწინებამდე ჰქონდა მოპოვებული, ხოლო სასამართლო წესით მისი არსებობის დადასტურება მოხდა<sup>56</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონით მყარადაა დაცული იმ პირთა ქონებრივი უფლებები, რომლებიც, თავიანთ საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობას ქორწინების რეგისტრაციის გზით აფორმებენ. რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თანაბარი წილის უფლებით. მითითებული კანონისმიერი პრეზუმფცია აიოლებს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მტკიცებას, რომ ქონება მასაც ეკუთვნის, მან ამისათვის მარტოდენ ის ფაქტი უნდა დაადასტუროს, რომ ქონება რეგისტრირებული ქორწინების პერიოდშია შექმნილი. სხვა მხრივ, მას არ უწევს იმის მტკიცება, რომ მატერიალურ დოვლათს საკუთარი სახსრებით თავადაც ქმნიდა, ანდა მის შექმნაში სხვაგვარად შეჰქონდა წვლილი და ა. შ. მითითებული ფაქტები კანონის ძალით ისედაც პრეზუმირდება. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადადის მეორე მხარეზე, რომელმაც ქონებაზე საერთო თანასაკუთრების რეჟიმი სხვადასხვა არგუმენტზე დაყრდნობით შეიძლება გამორიცხოს, როგორცაა, ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების არსებობის შემთხვევები, მაგალითად, ქონება მიღებულია მემკვიდრეობით, ჩუქებით, ინდივიდუალური მოხმარებისა და ა. შ. ასევე მოპასუხემ შეიძლება დაამტკიცოს, რომ მოსარჩელეს საერთო თანაცხოვრების დროს საერთო მატერიალური დოვლათის შექმნაში წვლილი არასაპატიოდ არ შეჰქონდა და ამ გზით გამორიცხოს რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე საერთო თანასაკუთრების უფლება. განსხვავებული მოცემულობა იქმნება მაშინ, თუ წყვილმა საოჯახო თანაცხოვრების დროს, მართალია, მატერიალური დოვლათი შექმნა, თუმცა, ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობა რეგისტრირებულ ქორწინებას არ წარმოადგენს. ასეთ შემთ-

ხვევაში, თუ წყვილის გაცნობიერებული არჩევანი იყო საოჯახო თანაცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ წლები ერთად ცხოვრობდნენ, საერთო საოჯახო მეურნეობას ეწეოდნენ, მატერიალურ დოვლათს ქმნიდნენ და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, თანაცხოვრებაში შექმნილ ქონებაზე საერთო თანასაკუთრების პრეზუმფცია არ ემყარება, თუმცა, არც გათანაბრების უფლება იკარგება. ამ მიმართებით, თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს საერთო მატერიალურ დოვლათში შეტანილი წვლილი, რაც ქონების შესაბამის წილში აისახება. მითითებული გათანაბრების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ამხანაგობა, ასევე უსაფუძვლო გამდიდრება.

#### **დ) ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ოჯახური თანაცხოვრება, როგორ სამოქალაქო სამართლებრივი ამხანაგობა**

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად<sup>57</sup>.

ამხანაგობის საერთო მიზანი, რომლის მიღწევასაც მონაწილეები ისახავენ მიზნად, შეიძლება იყოს იდეალური ან მატერიალური ხასიათის. ტიპური მაგალითებია ადვოკატთა საზოგადოებები და ექიმთა გაერთიანებები. არასაქორწინო თანაცხოვრების შემთხვევაში - თუ შექმნილ უნდა იქნეს განსაკუთრებული ღირებულების საერთო ქონება - შეიძლება სახეზე იყოს ე. წ. ამხანაგობა, რომელიც არ არის მიმართული მესამე პირებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ<sup>58</sup>. საოჯახო სამართლის არსი, რომელიც ქორწინებაში მყოფი წყვილის მატერიალურ, ასევე არამატერიალურ უფლებებს არეგულირებს, საქორწინო ურთიერთობის დასრულების შემდეგ

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.20204.

<sup>58</sup> კროპჭოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014 წ. გვ. 551.

ასევე იძლევა აღნიშნულ ურთიერთობებში ქონებრივი სიკეთის სამართლიანი გადანაწილების სამართლებრივ საფუძველს. მაგ., თუ რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება ერთ-ერთი მეუღლის სახელზე არის რეგისტრირებული, მეორე მეუღლე აღნიშნული ქონების თანამესაკუთრედ ცნობის უფლებას იძენს. საოჯახო სამართალი აღნიშნულ უფლებებზე გარანტიებს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილისათვის არ ქმნის, თუმცა, მოთხოვნები, რომლებიც სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე არ შეიძლება იქნეს უარყოფილი, სპეციალური რეგულირების არარსებობის პირობებში, დაცული უნდა იყოს სწორედ აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით. თუ ერთ-ერთი პარტნიორი თანაცხოვრების განმავლობაში განეული მომსახურებისა, თუ შესრულებული სამუშაოს გამო, ხელს უწყობს თანაცხოვრებაში შექმნილი აქტივების ზრდას, რაც მეორე მეუღლის გამდიდრებას იწვევს, მას შეუძლია მოითხოვოს გათანაბრება, ვინაიდან იგი, თავისი საქმიანობით კეთილსინდისიერად ვარაუდობდა, რომ ერთობლივი სიკეთე იქმნებოდა, საიდანაც თვითონაც უნდა მიეღო სარგებელი. ამგვარი ნდობა, პირველ რიგში, განპირობებულია, ვარაუდით, რომ თანაცხოვრება ცხოვრების ბოლომდე შენარჩუნდებოდა. მაკორექტირებელი გათანაბრებისას კი უმჯობესია იმ სტანდარტის დაცვა, რომლითაც მეუღლეთა ქონებრივი უფლებებია უზრუნველყოფილი. რაც შეეხება საკითხს იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის კომპენსაცია შეიძლება მიეცეს იმ პარტნიორს, რომელმაც გარკვეული სამუშაო გასწავლია ერთიანი ქონებრივი დოვლათის შესაქმნელად, ასეთ შემთხვევაში, არ ანაზღაურდება განეული სამუშაო, არამედ განეული სამუშაოს მიხედვით განისაზღვრება წილი შექმნილ დოვლათში<sup>59</sup>.

ამხანაგობა პირთა პერსონალური გაერთიანებაა, რომლის წევრებსაც საერთო მიზანი აკავშირებთ, ისინი აღნიშნული მიზნის მისაღწევად კავშირდებიან და საერთო დასახული მიზნის მისაღწევად მოქმედებენ. მიზანი შეიძლება იყოს

მატერიალური, ან არამატერიალური, მთავარია, არ იყოს სამეწარმეო, რათა ამხანაგობას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ტრანსფორმირების ვალდებულება არ წარმოეშვას. ასევე გადამწყვეტია, რომ მიზანი იყოს ამხანაგობის ყველა წევრისათვის საერთო, ვინაიდან მიზანია ის საერთო შემაკავშირებელი, რომელიც ამხანაგობის ხელშეკრულებაში ამხანაგობის წევრებს აკავშირებს<sup>60</sup>. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის წევრთა ყველა მოქმედება, რომელსაც ისინი ახორციელებენ, ერთობლივი მიზნის მიღწევას ემსახურება, იქნება ეს საერთო სამეურნეო, დოვლათის დაგროვებაზე ორიენტირებული, თუ რაიმე არამატერიალური სიკეთის შექმნისაკენ მიმართული ამხანაგობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ამხანაგობის ჩამოსაყალიბებლად ფორმალურად ხელშეკრულების გაფორმება სავალდებულო არ არის, ამხანაგობა მიზნის, საქმიანობისა და, რიგ შემთხვევაში, ცხოვრების წესით კონკლუდენტური გაერთიანებითაც იქმნება. უფრო მეტიც, უმეტეს შემთხვევაში, ამხანაგობის წევრები თავიანთ ურთიერთკავშირს რაიმე სამართლებრივ ფორმას საერთოდ არ აძლევენ და სამართლებრივი იდენტიფიკაციისათვის არც რაიმე ზომებს იღებენ. შესაბამისად, პირთა ერთობის ამხანაგობად კვალიფიკაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია ემპირიული დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი ვითარება და არა ამ ვითარების იურიდიული გაფორმება. კანონის სიმარტივეც სწორედ აღნიშნული სამართალურ-ურთიერთობის მარტივი, პრაქტიკული და, ამავდროულად, პროგრესული ბუნებით არის განპირობებული, კერძოდ, კანონი ამხანაგობის შექმნას რიმე დამატებით ფორმალობებს არ უკავშირებს, თუმცა, პირთა კავშირის ამხანაგობად კვალიფიკაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევა იმის გარკვევას, აღნიშნული კავშირი ეფუძნება თუ არა საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნის ერთობლივ მიღწევას, რომლისთვისაც ამხანაგობის წევრები შეთანხმებისამებრ მოქმედებენ. **ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პირების კავშირიც ასეთად შეიძლება**

<sup>59</sup> BGH 12. Zivilsenat, 09.07.2008, XII ZR 179/05 –, BGHZ 177, 193-211.

<sup>60</sup> რობაქიძე ი. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის კომენტარი, gccc.tsu.ge.

**დაკვალიფიცირდეს, თუ მათ საერთო სამეურნეო, მათ შორის, საოჯახო მიზნები აქვთ, რომლის განსახორციელებლადაც ისინი გარკვეულ ქმედებებს ასრულებენ.** მათი მხრიდან განხორციელებული შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური, ან არამატერიალური, მაგ. ერთ-ერთი პარტნიორი ქმნის დოვლათს, მეორე მათგანი ხელს უწყობდეს დოვლათის შექმნაში, ეწეოდეს საოჯახო მეურნეობას, და ა. შ.

ამხანაგობის წევრთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი პერსონალური საზოგადოებების ერთ-ერთი მთავარი და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია<sup>61</sup>. მართალია, მითითებული საკითხი კანონით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის, თუმცა, ამ პრინციპმა ამხანაგობის მრავალ დისპოზიციურ ნორმაში ჰპოვა ასახვა (932 I; 934 I, II; 935 I; 940 II). ამხანაგობის ხელშეკრულება, შესაძლებელია, ამხანაგობის წევრებს განსხვავებულ უფლებებს ანიჭებდეს. თანასწორუფლებიანობის პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის წევრები საერთო მიზნის მისაღწევად ამხანაგობის ხელშეკრულებაში, როგორც თანასწორუფლებიანი წევრები ისე გაერთიანდნენ. შესაბამისად, თანასწორუფლებიანობის პრინციპი ზოგად წესს ადგენს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თვითნებურად, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამხანაგობის წევრთა მიმართ არათანასწორ მოპყრობას კრძალავს. თანასწორუფლებიანობის პრინციპი დისპოზიციური ხასიათისაა. შესაბამისად, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ შეთანხმდნენ განსხვავებულ რეგულირებაზე. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე ამგვარი შეთანხმების ზღვარი 54-ე მუხლია<sup>62</sup>. შესაბამისად, თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია, თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში ამგვარი შეთანხმე-

ბა არსებობს<sup>63</sup>. თანასწორუფლებიანობის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა ამხანაგობის წევრთა ვალდებულება, განახორციელონ ის შენატანი, რომელიც საერთო მიზანს მოემსახურება და რომლის შეტანის შესაძლებლობაც ამხანაგობის წევრს აქვს. ამასთან, შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით. ასევე საგულისხმოა, რომ გრძელვადიანი, საერთო სამეურნეო მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული, ერთობლივ საქმიანობაში განხორციელებული შენატანი მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს. იმავე რეჟიმს ექვემდებარება ისიც, რაც შექმნილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე. თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეშვება შესატანის თანაბრობისა და, შესაბამისად, წილთა თანაბრობის პრეზუმფცია. **ამგვარად, საერთო საოჯახო მეურნეობის მიზნით შექმნილი პირთა კავშირი, ქმნის ე. წ. შიდა ამხანაგობას, ანუ საერთო საოჯახო სამეურნეო კავშირს, რომელთა ერთობლივი მეურნეობა მესამე პირებთან ურთიერთობისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ ე. წ. „შიდა ამხანაგობას” წარმოადგენს.**

ამდენად, არარეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების მიმართ წყვილს სხვადასხვა მოლოდინი და დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს. თუ არარეგისტრირებული ქორწინების მიუხედავად წყვილი ფაქტობრივ საოჯახო მეურნეობას ქმნის, მათ აქვთ მოლოდინი იმისა, რომ ერთობლივი თანაცხოვრების დროს შექმნილი ქონების არამხოლოდ მოსარგებლეები არიან, არამედ საკუთრების უფლებაც გააჩნიათ მის ნაწილზე. წილზე საკუთრების უფლებას ამ ქონების შექმნაში შეტანილი წვლილი განსაზღვრავს<sup>64</sup>.

<sup>61</sup> *Schmidt, Gesellschaftsrecht*, 4. Aufl, S. 462 ff. ნახია, რობაქიძე ი. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის კომენტარი, [gccc.tsu.ge](http://gccc.tsu.ge), გვ.21.

<sup>62</sup> სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>63</sup> რობაქიძე ი. სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის ონლაინ კომენტარი, [gccc.tsu.ge](http://gccc.tsu.ge).

<sup>64</sup> BGH, Versäumnisurteil vom 25. November 2009 – XII ZR 92/06 –, BGHZ 183, 242-258.



არასაქორწინო თანაცხოვრების<sup>65</sup> დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი პარტნიორის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი შენატანის შედეგად გაზრდილი ქონებრივი აქტივი, რომლის ერთპიროვნული მესაკუთრე მეორე პარტნიორია, პირველ პარტნიორს წარმოუშობს გათანაბრების მოთხოვნის უფლებებს არამხოლოდ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობითაც<sup>66</sup>.

სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით გაათანაბრა სასამართლომ არარეგისტრირებული საქორწინო კავშირის ფარგლებში ერთ-ერთი მეუღლის სახსრებით შექმნილი დოვლათი, რომელსაც ის, ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტამდე მუდმივად მეორე მეუღლის სახელზე გზავნიდა, კერძოდ, აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ „მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეთა შორის არსებობდა საქორწინო ურთიერთობა“. აღნიშნული ურთიერთობის ამგვარად შეფასებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა „დე ფაქტო“ ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა<sup>67</sup>.

ამდენად, ოჯახური ურთიერთობის ცნების განმარტებისას სააპელაციო პალატა დაეყრდნო ევროპული სასამართლოს სტანდარტს და დაასკვნა, რომ მხარეები რჩებოდნენ ცოლ-ქმ-

რულ ურთიერთობაში და ეწოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას. შესაბამისად, მოსარჩელე, მოპასუხის მიმართ განხორციელებული შესრულებით, მატერიალურად უზრუნველყოფდა მის ოჯახს. ამდენად, მოსარჩელის ნება მიმართული იყო საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვისაკენ და ემსახურებოდა ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნებს და შესაბამისად, ჰქონდა მოლოდინი და მიზანი იმისა, რომ ოჯახისათვის შექმნილ საერთო დოვლათში თვითონაც ჰქონდა წილი, მით უფრო, რომ აღნიშნული დოვლათი უშუალოდ მისი სახსრებით იყო შექმნილი. შესაბამისად, სასამართლომ ფაქტობრივი საოჯახო თანაცხოვრების პირობებში, ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის სახელზე განხორციელებული ფულადი გზავნილებით შექმნილ უძრავ ქონებაში მიაკუთვნა წილი (1/4), ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით<sup>68</sup>. მიუხედავად იმისა, რომ გათანაბრების სამართლებრივი საფუძველი გადანყვეტილებაში პირდაპირ მითითებული არ არის, მოტივაცია შეესაბამება, როგორც საერთო, საოჯახო მეურნეობაზე დაფუძნებული ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში შექმნილ დოვლათში წილს, ასევე შესაძლებელია, იმავე დასკვნის გამოტანა *condictio ob rem* - ის პრინციპიდან, რომელიც შესრულების მიზნის მიუღწევლობის შემთხვევაში, გადაცემულის უკან დაბრუნებას გულისხმობს, თუ რა თქმა უნდა, მიზანი იმთავითვე შეთანხმებული იყო<sup>69</sup>. განსახილველ შემთხვევაში, მთლიანი შესრულების უკან დაბრუნების ნაცვლად, მხოლოდ მისი ნაწილის უკან დაბრუნება განპირობებულია იმით, რომ შესრულების დანარჩენი ნაწილის უკან დაბრუნებას გამორიცხავს მიმღების ვარაუდი, რომ შესრულება საერთო თანაცხოვრებაში მყოფი მეუღლეების ზნეობრივ მოვალეობას შეესაბამებოდა. იმავე პრინციპს იზი-

<sup>65</sup> იგულისხმება - „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილი, რომელიც ერთ ოჯახად ცხოვრობდა“, ავტ. შენიშვნა.

<sup>66</sup> BGH 12. Zivilsenat, 09.07.2008, XII ZR 179/05 -, BGHZ 177, 193-211.

<sup>67</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 მაისის გადანყვეტილე-

ბა, საქმეზე №2ბ/771-12, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის პირველი ნოემბრის განჩინება, საქმეზე №ას-1202-1131-2012.

<sup>68</sup> იხ. იქვე.

<sup>69</sup> იხ. *ჰაინრიხ შნიტკერი*, ლია შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის კომენტარი, [gccc.tsu.ge](http://gccc.tsu.ge), გვ.2-3.

არებს გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ამბობს, რომ ანაზღაურებას არ ექვემდებარება ყოველდღიურ თანაცხოვრებაში გაღებული ხარჯები, ერთმანეთის მიმართ განხორციელებული შესრულებები, რომელიც საოჯახო თანაცხოვრების ყოველდღიურობის უზრუნველყოფას არ სცილდება<sup>70</sup>, ვინაიდან საყოველთაოდ დამკვიდრებული შეხედულების შესაბამისად ამგვარი ხარჯების გაღების მიმართ ე. წ. „მორალური ვარაუდი“ ეშვება, რომლის უკუმოთხოვნას გამორიცხავს მიმღების ვარაუდი მასზედ, რომ შესრულება შეესაბამებოდა შემსრულებლის ზნეობრივ მოვალეობებს<sup>71</sup>. ამდენად, გაყოფას, ანაზღაურებას არ ემსახურება საერთო საოჯახო მეურნეობის ფარგლებში განეული ნებისმიერი მომსახურება, განხორციელებული შესრულება, არამედ თანაცხოვრების საერთო მიზნის ფარგლებში შექმნილი ქონებრივი სიკეთე, რომლის მიმართ მეუღლეებს არამხოლოდ მფლობელობის, ანდა სარგებლობის მოლოდინი უჩნდებათ, არამედ ვარაუდობენ, რომ შექმნილი დოვლათის ნაწილი, მის შექმნაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, მასაც ეკუთვნის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც საუბარია არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ, თუმცა ერთობლივი საოჯახო მეურნეობის მქონე წყვილის კავშირზე, მათი ქონებრივი უფლებების მაკორექტირებელი გათანაბრების შესაძლებლობას ამხანაგობისა და, სუბსიდიური რეგულირების სახით, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები იძლევა. აღნიშნული დასკვნა ცალსახაა, როდესაც ერთობლივი თანაცხოვრების პირობებში, მნიშვნელოვანი მატერიალური დოვლათი იქმნება უძრავ-მოძრავი ქონების სახით, რა დროსაც ივარაუდება რომ წყვილს აღნიშნულ ქონებაზე თანასაკუთრების უფლება აქვს ქონების შექმნაში შეტანილი წვლილის პროპორციულად. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ერთობლივი საოჯახო მეურნეობა მრავალ ასპექტს გულისხმობს და ერთობლივი დოვლათის შემქმნელად მხოლოდ ის

პირი არ უნდა დასახელდეს, რომლის კუთვნილი სახსრებითაც იქნა ქონება შექმნილი, არამედ ისიც, ვისაც საერთო მეურნეობაში არამატერიალური წვლილი შეჰქონდა ოჯახის მოვლისა და გაძღოლის თვალსაზრისით. შესაბამისად, სამართლიანი იქნება ამხანაგობის წევრების მიმართ თანასწორუფლებიანობის საწყისებზე დაფუძნებული ქონებრივი გათანაბრების შემოღება, მსგავსად რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილისა, ვინაიდან **sui generis** ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი წყვილი, რომელიც ასე თუ ისე ხანგრძლივ, სტაბილურ, ერთობლივ საოჯახო მეურნეობას ეწევა, ისეთივე ოჯახია, როგორც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად შექმნილი, შესაბამისად, სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება რეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შექმნილი ქონებრივი დოვლათის თანაბარი გადანაწილება მეუღლეებზე და ზუსტად იგივე პირობებში შექმნილ დოვლათში მეუღლეთა უფლებრივი გათანაბრების გამორიცხვა, მარტოდენ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ქორწინება რეგისტრირებული არ არის. სულ მცირე, თუ საერთო საოჯახო მეურნეობაზე დაფუძნებული არარეგისტრირებული საქორწინო კავშირი, რეგისტრაციის არარსებობის საფუძვლით, ბათილია (ქორწინება), თუმცა, აღნიშნული კავშირი აკმაყოფილებს სხვა გარეგნულ ნამდვილობისათვის არსებულ მოთხოვნებს (ამხანაგობა), გამოიყენება ეს უკანასკნელი (გარიგების კონვენსია)<sup>72</sup>, მით უფრო, რომ ამხანაგობის წევრების იმანენტურ უფლებებს შორისაა თანასწორუფლებიანობა და მათ მიმართ თანაბარი მოპყრობის ვალდებულების დაცვა.

ამ მიმართებით, საგულისხმოა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2008 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე **№XII ZR 179/05** - სადაც სასამართლომ განმარტა, რომ არარეგისტრირებული თანაცხოვრების დროს პარტნიორთა მიერ საერთო მეურნეობის

<sup>70</sup> BGH 12. Zivilsenat, 09.07.2008, XII ZR 179/05 –, BGHZ 177, 193-211.

<sup>71</sup> იხ. ჰაინრიხ შნიტკერი, ლია შატბერაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976 II „ბ“ მუხლის ონლაინ კომენტარი, [gccc.tsu.ge](http://gccc.tsu.ge), გვ.29-35.

<sup>72</sup> სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.20204.

წარმოება და საერთო მიზნებით მოქმედება შესაძლოა შეფასდეს, როგორც ამხანაგობის ხელშეკრულება, თუკი პარტნიორებმა ეს შეათანხმეს, ან მათი კონკლუდენტური ქცევა ამაზე მეტყველებს. ამასთან, სწორედ იმის გამო, რომ არარეგისტრირებული თანაცხოვრება არსებითად წარმოადგენს კავშირს კანონიერად დაკავშირების სურვილის გარეშე, ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობილად მისაჩნევად, საჭიროა დადგინდეს, იყო თუ არა სახეზე მხარეების იმ საერთო განზრახვით მოქმედება, რომ გარკვეული ქონების, მაგალითად, უძრავი ნივთის შექენით, მათ შეექმნათ საერთო აქტივი, საერთო ქონება, რომლითაც ისინი არა მხოლოდ ერთობლივად სარგებლობენ, არამედ, მათი წარმოდგენის თანახმად, მათ ერთობლივად ეკუთვნით. ამდენად, ამხანაგობის შეთანხმების არსებობაზე შეიძლება მეტყველებდეს ისეთი ინდიკაციები, როგორიცაა, მაგალითად, ურთიერთშეთანხმებით ქმედების დაგეგმვა, მოცულობა, ხანგრძლივობა. საქმის გარემოებათა ერთიანობაში შეფასებისას მხედველობაში მისაღებ გარემოებებს ასევე განეკუთვნება ისეთი ფაქტობრივი ელემენტები, თუ რა ტიპის საერთო ქონებაა სახეზე, მხარეებისაგან განეული დანახარჯები და მათი ფინანსური ურთიერთობა (BGH გადაწყვეტილება, 21 ივლისი 2003 – II ZR 249/01 – FamRZ 2003, 1542, 1543)<sup>73</sup>.

ამდენად, არ არის აუცილებელი არარეგისტრირებული ქორწინება რეგისტრირებულ ქორწინებას გაუთანაბრო და ამ გზით, შეენიანაღმდეგო კანონმდებლის ნებას, რომელმაც მეუღლეთა უფლება-მოვალეობები მარტოოდენ რეგისტრირებულ საქორწინო ურთიერთობაში მყოფი მეუღლეებისათვის გაითვალისწინა, და რეგულირების მიღმა დატოვა ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი წყვილი, რომელსაც ზუსტად ისეთივე ოჯახი აქვს, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილს. ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის ურთიერთობა, რომელიც საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევა, სტაბილური, მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი

ურთიერთობით ხასიათდება, საკუთარი შესაძლებლობის შესაბამისად წვლილი შეაქვს საერთო მეურნეობის წარმოებაში, საერთო საქმიანობის გაძღოლაში, საერთო დოვლათის შექმნაში, ისეთივე წარმატებით იცავს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის მარეგულირებელი ნორმები, ასევე, სუბსიდიურად, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი რეგულაცია, რომ დამატებითი უფლებრივი კორექტივებისათვის სივრცეს აღარ ტოვებს.

ქართული სასამართლო პრაქტიკა არარეგისტრირებულ ქორწინებას, ქონებრივი უფლებების დაცვის კონტექსტში, რეგისტრირებულ ქორწინებას არ უთანაბრებს, მიუხედავად ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი იმგვარად არ უნდა იქნეს აღქმული რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების ქონებრივი უფლებები დაუცველი დარჩეს**. ამ მიმართებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამგვარ ურთიერთობას (წყვილთა არარეგისტრირებულ საქორწინო კავშირს) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო **ოჯახად აფასებს და კონვენციის მე-8 მუხლის<sup>74</sup> დაცვის რეჟიმში აქცევს**, ხოლო რაც შეეხება მათ ქონებრივ უფლებებს, თუ მათზე საოჯახო სამართლის წესები ანალოგიით არ გავრცელდება, მათი ქონებრივი უფლებების დაცვა სამოქალაქო ამხანაგობის, ანდა უსაფუძვლო გამდიდრების რეგულირების ფარგლებშიც თავსებადია, რაც შენატანის (წვლილის) გათვალისწინებით, საერთო მატერიალურ დოვლათში შესაბამის (შენატანის შესატყვის) წილზე დაცვის უფლებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება შენატანს, რომელიც, თავის მხრივ, შესატყვის წილს განსაზღვრავს, შეიძლება განხორციელდეს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური სახით, როგორიცაა, ოჯახის მოვლა, ბავშვების გაზრდა და ა. შ. ამდენად, არარეგისტრირებულ ქორწინებაში, საერთო საოჯახო მეურნეობის ფარგლებში შექმნილი დოვლათი, ამგვარი კავშირის შეწყვეტის შემდეგ, ისევე უნდა გაიყოს, როგორც რეგისტრირებუ-

<sup>73</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 2 აგვისტოს განჩინება, საქმეზე N28/3633-24.

<sup>74</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაში შესვლის თარიღი: 20/05/1999.

ლი ქორწინების განმავლობაში შექმნილი მატერიალური სიკეთე, იმ განსხვავებით, რომ რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების მიმართ საერთო თანასაკუთრების პრეზუმფცია ეშვება, ანუ თუ დადასტურდა, რომ ქონება რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაშია შექმნილი, ქონება იმთავითვე, ყოველგვარი დამატებითი მტკიცების გარეშე, მეუღლეთა თანასაკუთრებად ითვლება, ხოლო რაც შეეხება არარეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებას, ასეთ შემთხვევაში, მტკიცებას საჭიროებს ფაქტი იმის შესახებ, რომ მითითებული შენაძენი საერთო საოჯახო მეურნეობის ფარგლებში განხორციელდა, რა დროსაც, მეორე მეუღლესაც შეჰქონდა მითითებული დოვლათის შექმნაში წვლილი, მაგალითისათვის, საოჯახო მეურნეობის გაძლიერებით, ბავშვების მოვლა პატრონობით, აღზრდით და ა. შ.

ამდენად, თუ ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პირები, თავისი არსით, საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევიან და მათ, ფაქტობრივად, ოჯახი აქვთ შექმნილი, მათი ქონებრივი უფლებები ისეთივე წესით უნდა იყოს დაცული, როგორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ოჯახის წევრებისა, იმ განსხვავებით, რომ **ქორწინების რეგისტრაციის პირობებში შექმნილ ქონებაზე საერთო თანასაკუთრების და, შესაბამისად, წილთა თანაბრობის პრეზუმფცია ვრცელდება, ხოლო არარეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე აღნიშნული პრეზუმფცია არ მოქმედებს.** ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ მითითებული ქონების შექმნაში თავადაც შეიტანა წვლილი, თუნდაც არამატერიალური სახით, კერძოდ, საოჯახო მეურნეობის გაძლიერებით, ბავშვების გაზრდით და ა. შ. **ამ შემთხვევაში, საოჯახო მეურნეობაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით ქონებაზე თანასაკუთრების უფლების აღიარების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს არა საოჯახო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები, არამედ, სამოქალაქო ამხანაგობის, სუბსიდიურად კი, უსაფუძვლო გამდიდრების წესები.** რაღა თქმა უნდა, უპირიანი იქნებოდა, საოჯახო

სამართლის ნორმების ანალოგიის წესით გამოყენება იმ დასაბუთებით, რომ „რეალურ ოჯახს“, თავისი მორალური, კულტურული, ტრადიციული, თუ ეკონომიკური გაგებით არ განსაზღვრავს მარტოდენ რეგისტრაციის ფაქტი, არამედ, ოჯახის დეფინიცია უფრო ფართოა, ვიდრე მისი ფორმალურ-სამართლებრივი აღიარება (რეგისტრაცია), კერძოდ, ოჯახი უფრო სიყვარულზე, პატივისცემაზე, საერთო თანაცხოვრების განზრახვაზე დაფუძნებული ურთიერთობაა, რა დროსაც ოჯახის წევრები ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ერთობლივ საოჯახო მეურნეობას ეწევიან, დოვლათს ქმნიან, შვილებს ზრდიან ან არ ჰყავთ შვილები, თუმცა, სხვა საერთო ხანგრძლივი ცხოვრებისეული მიზნები აერთიანებთ და ა. შ. ამიტომ, არსებობს რარისკი იმისა, რომ საკანონმდებლო წესით შეიძლება დაცულ იქნეს იმ რეგისტრირებული ოჯახის წევრთა უფლებები, რომლებიც რეალურად ოჯახს არ წარმოადგენენ, ხოლო უგულებელყოფილ იქნეს იმ პირთა ქონებრივი უფლებები, რომელთაც რეალური ოჯახის შექმნაში შეჰქონდათ წვლილი განმავლობაში წვლილი, მიმაჩნია, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაზე საოჯახო სამართლის ნორმების ანალოგიის წესით გავრცელება უმჯობესი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ არარეგისტრირებული კავშირი წყვილის გაცნობიერებული არჩევანი არ არის, **თუმცა, სასამართლო პრაქტიკით ასეთის არდაშვების პირობებშიც, ფაქტობრივ თანაცხოვრებაში (არარეგისტრირებულ ქორწინებაში) მყოფი პირების ქონებრივი უფლებები დაცული უნდა იყოს.** ამგვარი დაცვის სტანდარტს კი სამოქალაქო ამხანაგობის, სუბსიდიურად კი, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება იძლევა. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ქონებრივი უფლებების დაცვის მითითებული წესი, მტკიცების ტვირთის გადანაწილების გამო, დაცვის უფრო გართულებულ სტანდარტს სთავაზობს მეუღლეებს, თუმცა, უფლების დაცვის გარეშე არ ტოვებს. მტკიცების ტვირთის განსხვავებულად გადანაწილება კი იმას გულისხმობს, რომ რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, არსებობს ოჯახის პრეზუმფცია, რა დროსაც

შეძენილი ქონება მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებად ითვლება. საერთო თანასაკუთრების პრეზუმფციის აღნიშნული წესიდან განსხვავებული მონესრიგების დასაშვებად მოსარჩელის მტკიცებაა საჭირო, რომ მეორე მეუღლეს საერთო საოჯახო დოვლათის შექმნაში არასაპატიოდ წვლილი არ შეჰქონდა. მაშინ, როდესაც არარეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების და, მით უფრო, წილთა თანაბრობის პრეზუმფცია არ დაიშვება, ასეთ შემთხვევაში, მტკიცებაა საჭირო, რომ მხარეთა შორის არარეგისტრირებული კავშირი ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობაა, რომელიც საერთო საოჯახო მეურნეობას ენევა, რა დროსაც შეძენილ ქონებაზე მეუღლეებს გააჩნიათ საკუთრების უფლებით წილი ამავე მეურნეობის შექმნასა და განვითარებაში შეტანილი წვლილის პროპორციულად. სწორედ ეს განსხვავებაა რეგისტრირებულ ქორწინებაში შეძენილი ქონების გაყოფასა და არარეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის სამართლებრივ მონესრიგებას შორის.

მიუხედავად იმისა, თუ რა მიმართულებით განვითარდება სასამართლო პრაქტიკა სამომავლოდ, კერძოდ, სასამართლო არარეგისტრირებულ საოჯახო ურთიერთობაში ქონებრივი უფლებების მოსაწესრიგებლად, ანალოგიით, საოჯახო სამართლის ნორმებს გამოიყენებს, თუ სამოქალაქო ამხანაგობისა და უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ წესებს, ერთი რამ ცალსახაა, რომ ოჯახად წყვილი შეიძლება ცხოვრობდეს შესაბამისი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, და ასეთი ოჯახი ოჯახია, თუ მის წევრებს ოჯახის კულტურულ-ეკონომიკური გაგებით, პირადი ემოციები, საერთო საოჯახო მიზნები აკავშირებთ, მათი ურთიერთობა ასე თუ ისე მდგრადია, და თანაცხოვრების ხანგრძლივი პერსპექტივით ხასიათდება, შესაბამისად, მათი ქონებრივი უფლებები ისევე დასაცავია, რო-

გორც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილის, იქნება ეს საოჯახო სამართლის ფარგლებში, თუ მის ფარგლებს მიღმა სამოქალაქო ამხანაგობისა და უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესებზე დაყრდნობით.

### ე) ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პრაქტიკა

ამ ეტაპზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ქვედა ინსტანციების დონეზე მოიპოვება საქმეები, სადაც გაზიარებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრება მიჩნეულ იქნა ოჯახად და რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ქონებრივი უფლებების დაცვის ფარგლები გავრცელდა. მაგალითისათვის, ერთ შემთხვევაში<sup>75</sup>, ახალგაზრდა წყვილმა ქორწინება იმის გამო ვერ დაარეგისტრირა, რომ მეუღლეთაგან ერთ-ერთი (ქალი) საქორწინო ასაკს მიღწეული არ იყო. როგორც კი ქალიმა საქორწინო ასაკს მიაღწია, წყვილმა ქორწინება ოფიციალურად გააფორმა (დაარეგისტრირა). ქონება, რომლის გაყოფაზეც ქალი განქორწინების შემდეგ დავობდა, იმ პერიოდში იყო შეძენილი, როდესაც ცოლ-ქმარი ფაქტობრივ საოჯახო ურთიერთობაში იმყოფებოდა, თუმცა, ქორწინება ჯერ კიდევ რეგისტრირებული არ იყო. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად მიიჩნია იმ დასაბუთებით, რომ 1151-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი<sup>76</sup> კანონის მიზნებიდან და არა მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა განმარტებულიყო, შესაბამისად, ქორწინების რეგისტრაციამდე, თუმცა, ფაქტობრივი საოჯახო თანაცხოვრების ფარგლებში შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი გაავრცელა და ქალი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნო<sup>77</sup>. საკასაციო პალატამ

<sup>75</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის განჩინება, საქმეზე №2ბ/2913-15.

<sup>76</sup> სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>77</sup> სააპელაციო სასამართლოს დეტალური განმარტების მიხედვით, „პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, წყვილს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი

მითითებული განჩინება უცვლელად დატოვა, თუმცა, იმგვარი განმარტებით, რომ ქონების ღირებულება რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში მნიშვნელოვანწილად იყო გაზრდილი, რაც 1163-ე მუხლის კონტექსტში<sup>78</sup>, აღნიშნულ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას წარმოშობდა<sup>79</sup>. რაც შეეხება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომას არარეგისტრირებულ ქორწინებაში შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების თაობაზე, ამ მიმართებით პალატამ კატეგორიულად არ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციების პოზიცია და, შესაბამისად, მიუთითა, რომ 1151-ე მუხლი<sup>80</sup> მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებდა მეუღლეთა უფლებამოვალეობების წარმოშობას და მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება მის ნორმატიულ შინაარსს ეწინააღმდეგებოდა<sup>81</sup>.

მიმოხილვის მიზნებისათვის, საინტერესოა კიდევ ერთი საქმე<sup>82</sup>, რომელზეც სააპელაციო სასამართლოსა და საკასაციო სასამართლოს განსახვევებული სამართლებრივი შეფასება ჰქონდა, ფაბულის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ნიშნობის შემდგომი პერიოდი „მეუღლეთა ფაქტობრივ თანაცხოვრებად მიიჩნია“, რადგან დიდი ხანი გრძელდებოდა (2 წელი დაახლოებით), შესაბამისად, ნიშნობის საჩუქარი საქორწინო საჩუქრად ჩათვალია და მეუღლეთა თანასაკუთრება გაავრცელა, შესაბამისად, შუაზე გაყო. აღნიშნული მიდგომა საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიუთითა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებას მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს (1158-ე და 1159-ე მუხლი) და არცერთ შემთხვევაში ნიშნობა (1109-ე მუხლი), რა დროსაც მიღებული საჩუქარი უნდა დაბრუნდეს<sup>83</sup>.

ქორწინების თარიღი - 2005 წლის იანვარი უნდა იქნას მიჩნეული. აღნიშნული ურთიერთობის ამგვარად შეფასებისას სააპელაციო სასამართლო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, „ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე.“ საქმეზე - კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. the Netherlands)<sup>77</sup>, ევროპულმა სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში, მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება იმ დროისათვის ქალის ასაკი იყო“.

<sup>78</sup> სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>79</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება, საქმეზე №ას-7-7-2016.

<sup>80</sup> სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>81</sup> საკასაციო სასამართლოს დეტალური განმარტების მიხედვით, „საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი

სკ-ის 1151-ე მუხლი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლებამოვალეობების წარმოშობას და მეუღლეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. ამ მოსაზრების გამყარებლად არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: Kroon v. the Netherlands გამოყენებული განმარტებაა სამართლებრივად ვარგისი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის მოხმობა შიდაეროვნულ გადაწყვეტილებებში, უფრო მეტ დასაბუთებულობას მატებს გადაწყვეტილებას და ამდენად, მიზანშეწონილია, თუმცა მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობას კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ პრეცედენტული სამართლის არასწორ გამოყენებას. შესაბამისად, ამ წინააღმდეგ, სრულადაა გასაზიარებელი კასატორის პოზიცია“.

<sup>82</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-205-2019.

<sup>83</sup> საკასაციო სასამართლოს დეტალური განმარტების მიხედვით, „გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი და შეფასებული ის ფაქტი, რომ მხარეები ნიშნობის შემდეგ ერთად ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობას ეწეოდნენ, ამ დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რადგანაც მათ ქორწინება კანონით დადგენილი წესით არ დაურეგისტრირებიათ და, აქედან გამომდინარე, არც მეუღლეთა უფლებამოვალეობები წარმოშობილა (სკ-ის 1151-ე მუხლი). დე

განსხვავებული და ძალიან საინტერესო განმარტება გააკეთა საკასაციო პალატამ იმ მოცემულობაში, როდესაც მხარეებს 2016 წლის 20 აპრილს ნიშნობა ჰქონდათ, ხოლო 2016 წლის 5 ნოემბერს ქორწილი გადაიხადეს, ამასთან, წყვილი, ქორწინების რეგისტრაციის გარეშე, 2017 წლის 26 აპრილამდე ერთად ცხოვრობდა და ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწეოდა<sup>84</sup>. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მხარეთა ურთიერთობა არ შეიძლება, მხოლოდ დასაქორწინებელ პირთა წინასწარ თანხმობად (ნიშნობად) ჩათვლილიყო. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ქონება დასაქორწინებელთათვის სწორედ ქორწინების დღის აღსანიშნავად გადაცემული ქონება იყო, რაც ამ ნივთებზე ორივე მათგანის საკუთრების უფლებას ერთდროულად წარმოშობდა.<sup>85</sup>

კიდევ ერთი საქმე, რომელიც კვლევის მიზნებისათვის ყურადღებას იმსახურებს საპროცესო სამართლებრივი დატვირთვისაა, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა იურიდიული ინტერესის არქონის გამო. ფაბულის მიხედვით, მოსარჩელე მოპასუხის მიერ დადებული გარიგებების ბათილად ცნობასა და სადავო ქონების 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობას ითხოვდა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მათ შორის მართალია, რეგისტრირებული ქორწინება არ არსებობდა, თუმცა, სახეზე იყო არარეგისტრირებული ქორწინების

ფარგლებში შექმნილი ოჯახი, შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცებით მას, ოჯახური თანაცხოვრების ფარგლებში შექმნილი ქონებიდან წილი ეკუთვნოდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს დასახელებული სასარჩელო მოთხოვნის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი არ ჰქონდა, ვინაიდან მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ არსებობდა ქორწინება და მათი ურთიერთობა არ იყო რეგისტრირებული, თანაცხოვრების პერიოდში შექმნილ ქონებასთან მიმართებით ვერ იქნებოდა გამოყენებული 1158-ე მუხლის რეგულაცია<sup>86</sup>, რომლის თანახმადაც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ თანაცხოვრების განმავლობაში შექმნილი თითოეული ნივთი/ქონება წარმოადგენდა მათ ინდივიდუალურ საკუთრებას. მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა იურიდიული ინტერესი ხელშეკრულებათა ბათილობის ნაწილში, ვინაიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო გააბათილებდა მოპასუხის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებს, უძრავი ქონებები მოსარჩელის საკუთრებად ვერ აისახებოდა, არამედ ადგილი ექნებოდა ე. წ. რესტიტუციას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობების მხარეებს

ფაქტო „ოჯახური ცხოვრების“ დადგენას სხვა - ასე მაგალითად, მამობის დადგენის, ან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საქმეებზე - შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი დატვირთვა (შდრ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 27 ოქტომბრის #18535/91 გადაწყვეტილება საქმეზე *Kroon and others v. The Netherlands*) და არა ნიშნობასთან დაკავშირებულ დავაში”.

<sup>84</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-1251-2018.

<sup>85</sup> საკასაციო სასამართლოს დეტალური განმარტების მიხედვით, „ქორწილში მისულმა სტუმრებმა ქორწინების გამო ორივე მეუღლეს გადასცეს საჩუქრები, ინდივიდუალურად გადაცემული საჩუქრებიც წყვილისთვის განკუთვნილად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც სტუმრებმა (წყვილის ახლობელ-ნათესავებმა) ქორწინებას დაუკავშირეს. პალატამ ამ მიმართებით ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოიხმო და განმარტა, რომ „ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე“ (*Kroon v. the Netherlands*). სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში”.

<sup>86</sup> სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

შეეხებოდა და რაიმე სახის უფლებას მოსარჩელისათვის არ წარმოშობდა. მითითებულ განმარტებას სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა და პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმის არსებითად განხილვის მითითება მისცა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობის ფარგლებში ქონების გაყოფის საკითხი არსებითი მსჯელობის საგანია და, იმთავითვე, რეგისტრირებული ქორწინების არარსებობის საფუძვლით, სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულ ინტერესს არ უკარგავს. უფრო მეტიც, პალატის განმარტებით, ქორწინების რეგისტრირების ფაქტსა და ქონებაზე უფლებების წარმოშობას შორის არსებული კავშირის ურღვეობა, უკვე არაერთ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით, დაძლეული იქნა სხვადასხვა საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფო პრაქტიკის მიხედვით, რაც დამატებით მეტყველებს მოსარჩელის ინტერესზე, მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა შეფასდეს სწორედ არსებითი განხილვის მეშვეობით<sup>87</sup>.

ამდენად, უახლესი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შეძენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გავრცელების შემთხვევები (გამოვლინებები) არის, თუმცა, მყარად დადგენილი პრაქტიკა ამ ეტაპზე მითითებულ მიდგომას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებას მარტოდენ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს.

### ვ) არარეგისტრირებულ ქორწინებაში შექმნილ მატერიალურ დოვლათზე სამკვიდროს გახსნის სამართლებრივი ასპექტები

ზემოგანვითარებული მსჯელობა შეეხებოდა არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შეძენილ ქონებაზე სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით თანასაკუთრების რეჟიმის წარმოშობას არარეგისტრირებული კავშირის რღვევის დროს, ანუ, როდესაც ფაქტობრივ ოჯახად მცხოვრები წყვილი ერთმანეთს შორდება, თუმცა, მითითებული საკითხი ასევე მნიშვნელოვანია ფაქტობრივი თანაცხოვრების დროს შეძენილ ქონებაზე სამკვიდროს გახსნის კონტექსტშიც, კერძოდ, საკითხი დგას ასე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, იხსნება თუ არა მემკვიდრეობა ფაქტობრივი თანაცხოვრების დროს შეძენილი ქონების იმ ნაწილზე, რომელზეც მოთხოვნის უფლება ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფ პირს შეიძლება ჰქონოდა. მითითებული საკითხი უარყოფითად გადაწყდა უახლესი სასამართლო პრაქტიკით, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს (მათ შორის, მემკვიდრედ ყოფნის უფლებას)<sup>88</sup>, მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს. მითითებულ საქმეში სასამართლომ ზემოაღწერილი საქმეები შეაჯამა<sup>89</sup> და განმარტა, რომ 1151-ე მუხლი მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს და მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებით ამ ნორმის სხვაგვარი განმარტება მის ნორმატიულ შინაარსს ეწინააღმდეგება<sup>90</sup>.

მითითებული გადაწყვეტილება ასევე საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო

<sup>87</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 2 აგვისტოს განჩინება, საქმეზე N23/3633-24.

<sup>88</sup> სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1340-ე, 1342-ე მუხლები, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>89</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-7-7-2016; ასევე, იხ. საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, საქმეზე Nას-205-2019; ასევე, იხ. დ. ბერეკაშვილი, „სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში“, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2020, გვ. 94.

<sup>90</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-1760-2018.



პალატამ 1151-ე მუხლის კონტექსტში<sup>91</sup> არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეების დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტზე იმსჯელა. პალატამ არ გაიზიარა კასატორის მტკიცება, რომ 1151-ე მუხლი და უზენაესი სასამართლოს მხრიდან მისი განმარტება მოსარჩელის, როგორც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიმართ, დისკრიმინაციულია. პალატის განმარტებით, აღნიშნული ნორმა არ ახდენს კასატორის/მოსარჩელის რაიმე ნიშნით დიფერენცირებას. იგი ნებისმიერ ადამიანს/წყვილს უდგენს იდენტურ უფლებრივ რეჟიმს. წყვილებს შეუძლიათ თანაცხოვრება ქორწინებასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების წარმოშობით ან/და მის გარეშეც. მათზეა დამოკიდებული, რა შედეგს დაუკავშირებენ თანაცხოვრების ფაქტს, დაარეგისტრირებენ ქორწინებას თუ არა. ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი უფლებრივი რეჟიმი ნეიტრალურია პირთა ნებისმიერი წრის მიმართ. 1151-ე მუხლი არ გამოყოფს პირთა რაიმე ნიშნით გამორჩეულ ან იდენტიფიცირებად ჯგუფს, რომელსაც იგი განსხვავებულ მოთხოვნებს განუსაზღვრავდა ან რაიმე დამატებით სამართლებრივ ტვირთს დააკისრებდა. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ახდენს მოსარჩელის რაიმე ნიშნით დიფერენცირებას სხვა პირებთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ნეიტრალური რეგულაცია, რომელიც ყველასათვის იდენტურ უფლებრივ რეჟიმს ადგენს, მისი ზოგიერთი ადრესატისათვის შესაძლოა სხვა პირებთან შედარებით, ფაქტობრივად, გაცილებით მძიმე ტვირთს ქმნიდეს. რიგ შემთხვევებში, თავად პირთა შორის არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე, შესაძლოა თანასწორი მოთხოვნის დაწესება უსამართლო, დისკრიმინაციული რეჟიმის შექმნას განაპირობებდეს. სწორედ ამგვარი შემთხვევების თანასწორობის უფლების სფეროში მოქცევას ემსახურება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა, რომლის თანახმად, დისკრიმინაციად მიიჩნევა არსებითად უთანას-

წორო პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის დაწესება სათანადო გამართლების გარეშე<sup>92</sup>. არაპირდაპირ დისკრიმინაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თანასწორობის კონსტიტუციური უფლებისათვის გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნიშნით დიფერენცირებისას. თანასწორობის უფლების შეზღუდვა შესაძლოა იმგვარმა ნეიტრალურმა ნორმამ/რეგულაციამ გამოიწვიოს, რომელიც მყარად იდენტიფიცირებადი ნიშნის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის მიმართ განსხვავებულ შედეგებში ტრანსფორმირდება. ამასთან კონკრეტული ჯგუფის შესადარებელ სუბიექტად მიჩნევისათვის, არაპირდაპირი დისკრიმინაციის დასასაბუთებლად ცვლადი ფაქტობრივი გარემოებების გავლენით ჩამოყალიბებულ პირთა განსხვავებულ მდგომარეობაზე მითითება ვერ გამოდგება. მსგავსი დაცვა შესაძლოა მხოლოდ იმ ჯგუფებს შეეხოს, რომლებიც მკვეთრად გამოყოფილი, პიროვნებასთან მყარად დაკავშირებული ნიშნის ქვეშ ერთიანდებიან და მათი განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩენა, კონკრეტული ჯგუფის მიმართ კუთვნილება, ცვლადი ფაქტობრივი გარემოებებისა თუ პირთა მიერ გაკეთებული სხვადასხვა პერსონალური არჩევანის გამო, ჩამოყალიბებულ მოცემულობას არ წარმოადგენს. წინამდებარე საქმეში შესადარებელ ჯგუფებს, ერთი მხრივ, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები, მეორე მხრივ კი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ფაქტობრივი თანაცხოვრების მქონე წყვილი წარმოადგენს. მათ შორის განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ კანონის შესაბამისად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტია. რეგისტრაციის ფაქტი თავად არის ნიშანი, რომელიც, იმავდროულად, შესაძლებელია იდენტურად არსებობდეს სხვადასხვა პერსონალური ნიშნით იდენტიფიცირებად ჯგუფებთან მიმართებით. თუმცა, ამ თვალსაზრისით, კასატორს რაიმე არგუმენტაცია არ წარმოუდგენია. იგი მიიჩნევს, რომ მის მიერ იდენტიფიცირებული შესადარებელი ჯგუფები მემკვიდრეობის უფლების

<sup>91</sup> სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>92</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-64-70.

წარმოშობასთან მიმართებით ერთმანეთის არსებითად თანასწორი პირები არიან. ამ კუთხით, სადავო ნორმიდან გამომდინარე განსხვავებული შედეგები სწორედ ცვალებადი ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარეობს და არა მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირების რაიმე კუთვნილების ნიშნიდან, რაც საკასაციო სასამართლოს აზრით, ამ ნორმის საფუძველზე დიფერენცირებული მოპყრობის არსებობას გამორიცხავს<sup>93</sup>.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას შეესაბამება. ამ მხრივ მოსარჩელის შემთხვევასთან ყველაზე უფრო მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონეა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე „შერიფე იითი თურქეთის წინააღმდეგ“<sup>94</sup>. ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 1976 წელს განმცხადებელი რელიგიური წესით დაქორწინდა. მეუღლეებს ექვსი შვილი შეეძინათ. მათ ქორწინების რეგისტრაცია გადანვიციტეს, მაგრამ 2002 წლის 10 სექტემბერს ქმარი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა; 2003 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელმა როგორც საკუთარი, ისე შვილის სახელით სარჩელით მიმართა რაიონულ სასამართლოს და ქორწინების ნამდვილობა და შვილის მამად გარდაცვლილის აღიარება მოითხოვა; რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ქორწინების ნამდვილად აღიარებასა და რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანაზე უარი ეთქვა, ბავშვის მამად გარდაცვლილის აღიარების თაობაზე მოთხოვნა კი დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამის შემდეგ, შერიფე იითმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-

მართლოს მეორე სექციის 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილებით მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მომჩივანის მიმართ ევროპული კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლები არ დაურღვევია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განსახილველი საქმე შეადარა საქმეს - „მუნოს დიაზი ესპანეთის წინააღმდეგ“<sup>95</sup> და განმარტა, რომ ამ შემთხვევისგან განსხვავებით, შერიფე იითს ვერ ექნებოდა სახელმწიფოსგან თანაცხოვრების სამართლებრივი შედეგების აღიარების მართლზომიერი მოლოდინი. სასამართლომ ხაზი გაუსვა თურქეთის რესპუბლიკაში სამოქალაქო ქორწინების მარეგულირებელი ნორმების სიცხადესა და ხელმისაწვდომობას და სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება დაადასტურა<sup>96</sup>.

მითითებული საქმე<sup>97</sup> უდავოდ პროგრესული და წინ გადადგმული ნაბიჯია არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ოჯახის წევრების ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ვინაიდან, მართალია, საკასაციო პალატამ არარეგისტრირებულ ქორწინებაში შეძენილ ქონებაზე, მსგავსად რეგისტრირებული ქორწინებისა, თანასაკუთრების რეჟიმი არ გაავრცელა, თუმცა, მოსარჩელის, როგორც 29 წლიან „დე ფაქტო“ ოჯახურ თანაცხოვრებაში მყოფი პირის საკუთრების უფლება მაინც დაიცვა და თანაცხოვრების დროს შეძენილ ქონებაზე მოსარჩელის თანასაკუთრების უფლება სხვა სამართლებრივი საფუძველით, თუმცა, მაინც აღიარა, კერძოდ, პალატამ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის

<sup>93</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1760-2018.

<sup>94</sup> იხ. *Serife Yigit v. Turkey*, (Application no. 3976/05), 02.11.2010.

<sup>95</sup> იხ. *Muñoz Díaz v. Spain* (Application no. 49151/07), 8.12.2009.

<sup>96</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1760-2018.

<sup>97</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1760-2018.

**№107** დადგენილების (შემდგომში - „107-ე დადგენილება“) საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარჩელე მამკვიდრებლის სახელზე სადავო ბინის პრივატიზაციის დროს წარმოადგენდა დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს, რაც მას შესაბამის ბინაზე დამქირავებელთან ერთად თანასაკუთრების უფლებას წარმოუშობდა<sup>98</sup>.

საგულისხმოა, რომ საკასაციო პალატის მითითებული მსჯელობა სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებასთან „პროკოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ“<sup>99</sup>, სადაც ქორწინების რეგისტრაციის გარეშე 10 წლის მანძილზე ერთად მცხოვრები პირებიდან ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის მფლობელობაში არსებული ბინიდან მისი პარტნიორის გამოსახლების გამო სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა დაადგინა. მომჩივანთან მიმართებით კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე მსჯელობისას სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ მუხლის მიზნებისათვის იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის ადგილი ადამიანის „სახლს“ მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით დადგინდეს აქვს თუ არა პირს საკმარისი და განგრძობადი კავშირი აღნიშნულ ადგილთან. ამ მიზნით მხოლოდ სამართლებრივი კავშირის არსებობა

აუცილებელი არ არის. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მომჩივანმა ასეთი კავშირი პარტნიორის „სახლთან“ 1988 წლიდან დაამყარა, როდესაც იგი საცხოვრებლად პარტნიორთან ერთად გადავიდა. სასამართლოს მითითებით, არსებობდა დამაჯერებელი და უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დადასტურებული იყო, მათ შორის, მოწმეთა განცხადებებითა და მომჩივნის მიერ წარდგენილი მიმონერით, რომ მას გააჩნდა საფუძვლიანი და ხანგრძლივი კავშირი მეწყვილის ბინასთან. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ქალიშვილის ბინაში მომჩივნის იურიდიული რეგისტრაციის ფაქტი დაადგინეს, არავის სადავოდ არ გაუხდია, რომ პარტნიორის ბინა მის ერთადერთ ფაქტობრივ საცხოვრებელს წარმოადგენდა. შესაბამისად, პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ ბინიდან მომჩივნის გამოსახლება ამ უკანასკნელის საცხოვრებლის უფლების პატივისცემაში ჩარევად იქნა მიჩნეული<sup>100</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალური სასამართლო პრაქტიკა არარეგისტრირებულ ქორწინებაში შექმნილ მატერიალურ დოვლათს იმ პირის სამკვიდრო მასად არ მიიჩნევს, რომლის სახელზეც აღნიშნული ქონება საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არ იყო. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ვინაიდან 1151-ე მუხლი<sup>101</sup> მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას მარტოოდენ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს, ამიტომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ერთ-

<sup>98</sup> საკასაციო პალატის დეტალური განმარტების მიხედვით, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 01 თებერვლის 107-ე დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობით, შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. იმავე დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. დასახელებული ნორმების

შესაბამისად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს. აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არცერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგიურულ მდგომარეობაში (იხ. სუსგ საქმეებზე: №ას-1173-2018, 14 იანვარი, 2020 წელი; №ას-471-471-2018, 28 თებერვალი, 2019 წელი; №ას-1108-1028-2017, 31 ივლისი, 2018 წელი).

<sup>99</sup> იხ. Prokopovich v. Russia, (Application no.58255/00), 18.11.2004.

<sup>100</sup> იქვე.

<sup>101</sup> სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მეორე მეუღლის სახელზე რეგისტრირებული ქონების ნაწილზე სამკვიდრო არ იხსნება. საკასაციო პალატის განმარტებით, 1336-ე მუხლის<sup>102</sup> შესაბამისად, შვილებთან და მშობლებთან ერთად გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრედ მიიჩნევა მისი მეუღლე, ხოლო 1151-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს<sup>103</sup>.

ნიშანდობლივია, რომ საკასაციო პალატამ მითითებულ საქმეში მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე **სამკვიდრო მასაზე საოჯახო სამართლებრივ კონტექსტში იმსჯელა**. ამ ეტაპზე, სასამართლო პრაქტიკით არ გამოკვეთილა მიდგომა, როგორი იქნებოდა სასამართლოს პოზიცია, თუ მოსარჩელე სამკვიდრო მასაში შემავალი ქონების გაყოფას სამოქალაქო ამხანაგობის ანდა უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის უფლებით დაასაბუთებდა, რაღა თქმა უნდა, სამართლის შესაბამის ნორმებში აღწერილი ფაქტობრივი შემადგენლობის მითითებით. ამ მიმართებით, ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ მხარემ მოთხოვნა, ერთ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, წარადგინოს სასამართლოში, ხოლო სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა სხვა სამართლებრივი საფუძველის ფარგლებში შეაფასოს და დააკმაყოფილოს. „სასამართლომ იცის სამართლისა“ (*Jura novit Curia*) და „მომეცი ფაქტები, მოგცემ სამართლის“ („*Da mihi factum dabo tibi ius*“) პრინციპიდან გამომდინარე, სამართლებრივი საფუძველების კონკურენციის პირობებში მოთხოვნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუ-

ძვლის კონტექსტში შეფასება დასაშვებია, თუმცა, სამართლის შეცვლამ ისეთი ახალი ფაქტების დადგენა არ უნდა განაპირობოს, რაც მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად არ მიუთითა და, ამ მიმართებით, არც მოპასუხეს წარუდგენია შესაგებელი. სასამართლო უფლებამოსილია სასარჩელო მოთხოვნა სხვა (სარჩელში მითითებულისაგან განსხვავებული) სამართლებრივი საფუძველების ფარგლებშიც შეაფასოს, თუმცა, მარტოოდენ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში და ახალი სამართლებრივი საფუძველი არ უნდა ქმნიდეს ნიადაგს ახალი ფაქტების დადგენისათვის, და ამ გზით, მოპასუხის პროცესუალურად არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის. დაუშვებელია, მოთხოვნის სხვა სამართლებრივი საფუძველით შეფასების მიზნებისათვის, სასამართლომ დაადგინოს ფაქტი, რომელიც მოსარჩელეს არ მიუთითებია, და ე. ი. არც მოპასუხეს მისცემია მისი შედავების შესაძლებლობა. მითითებულ მსჯელობას ეთანხმება საკასაციო პალატა და განმარტავს, რომ მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი). საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში იქნა ასახული ხსენებული მიდგომა<sup>104</sup>, თუმცა, შეჯიბრებითობის, ასევე, მე-5 მუხლით<sup>105</sup> გარანტირებული პირთა თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები უნდა იყვნენ ინფორმირებული სასამართლოს მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის განსაზღვრის თაობაზე და მიეცეთ სრული შესაძლებლობა, წარადგინონ საკუთარი პოზიცია<sup>106</sup>.

<sup>102</sup> სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 27.06.2024.

<sup>103</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1760-2018.

<sup>104</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივნისის განჩინება, საქმეზე №ას-1170-1125-2016; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება, საქმეზე №ას-877-825-2010; იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-664-635-2016.

<sup>105</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 14/11/1997 კონსოლიდირებული პუბლიკაცია 07.06.2024.

<sup>106</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1237-1157-2017.

ასე მაგალითად, თუ მოსარჩელე არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შექმნილი მატერიალური დოვლათის თანამესაკუთრედ ცნობას სკ-ის 1151-ე მუხლზე დაყრდნობით ითხოვს და მარტოოდენ უთითებს ფაქტს მასზე, რომ ისინი წლებია ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. თუ სასამართლო სამართლის ანალოგიას არ გამოიყენებს, ზემოაღნიშნული სამართლებრივი დასაბუთებით, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული მწირი ფაქტობრივი მოცემულობის პირობებში, სასამართლოს სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა და ამხანაგობის ან უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით მოსარჩელის ქონების თანამესაკუთრედ ცნობა გაუჭირდება. ამისათვის, მიზანშეწონილია, სარჩელში აღწერილი იყოს ამხანაგობის ანდა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი შემადგენლობის დამადასტურებელი ფაქტობრივი მოცემულობა, კერძოდ, ერთიანი საოჯახო მეურნეობის ქონა, წარმოება, განვითარება, სადაც მოსარჩელეს თავისი საქმით წვლილი შეჰქონდა, დოვლათი ერთობლივად იქმნებოდა იმ მიზნით, რომ მისგან გამომდინარე სიკეთეზე მეურნეობის მონაწილეებს შესაბამისი წილი ჰქონოდათ და ა. შ.

### დასკვნა

საგულისხმოა, რომ ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცალსახად და არაორაზროვნად ფაქტობრივ არარეგისტრირებულ ქორწინებას ოჯახად განიხილავს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის რეგულირების ფარგლებში აქცევს და ოჯახისათვის იმანენტურ დაცვას ავრცელებს, ამიტომ, ლოგიკურია, რომ კონვენციის ამავე მუხლზე დაყრდნობით ამგვარი ოჯახის წევრებზე საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი ყველა ის დებულება გავრცელდეს, რომელიც **არამატერიალურ უფლებრივ რეგულირებას აწესებს**, მაგალითად, თანასწორობის, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების, თვითგამორკვევის, თვითგანვითარების, შვილებთან ურთიერთობის და სხვა კონსტიტუციური გარანტიების ჩათვლით, ხოლო რაც შეეხება **არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი**

**ფაქტობრივი ოჯახის წევრთა ქონებრივ უფლებებს**, როგორც ზემოთ აღინერა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ მიმართებით ფრთხილი და თავშეკავებულია და ფაქტობრივ თანაცხოვრებას რეგისტრირებულ ქორწინებასთან, წყვილის ქონებრივი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მარტოოდენ საგამონაკლისო შემთხვევებში აიგივებს, სხვა შემთხვევებში მიიჩნევს, რომ **არარეგისტრირებული ქორწინება წყვილის გაცნობიერებული არჩევანია**, შესაბამისად, ვინაიდან მათ, ქორწინების ოფიციალურ გაფორმებას არაფორმალურ ქორწინებაში ცხოვრება ამჯობინებს, იმ შედეგებს დათანხმდნენ, რასაც ამ მიმართებით კანონი ითვალისწინებდა. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ქვეყნების კონტექსტის გათვალისწინებით ამ მიმართებითაც უშვებს **გამონაკლისებს. სწორედ „კონტექსტი“ და „არჩევანის თავისუფლება“** ის საკვანძო საკითხები, რომლებიც მხედველობაშია მისაღები მითითებულ სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას, კერძოდ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ინფორმაციული სიმწიფე, ახალგაზრდების განათლება იმ კონტექსტში, თუ რა იციან მათ რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ქორწინების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. **ამ მიმართებით, ნაკლებად სავარაუდოა საქართველოს მაგალითზეც ითქვას, რომ ყველა წყვილმა, რომელიც არარეგისტრირებულ ქორწინებაშია და საერთო საოჯახო მეურნეობას ეწევა, იცის და აცნობიერებს იმ შედეგებს, რაც ქორწინების რეგისტრაციასა, თუ მასზე უარის თქმას მოჰყვება.**

როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, წყვილის ყველა სახის ერთობლივი თანაცხოვრება ოჯახად კვალიფიკაციის დონეს არ აღწევს და შესაბამისად, არც საოჯახო სამართლებრივ კონტექსტში საჭიროებს დაცვას. იმისათვის, რომ წყვილი, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ოჯახად იქნეს მიჩნეული, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ერთად უნდა ცხოვრობდნენ, ან ცალ-ცალკე ცხოვრების პირობებში სტაბილურ ურთიერთობას ინარჩუნებდნენ; საერთო სახლის („ჭერის“) ქონა ასევე

მნიშვნელოვანი ფაქტორია; ოჯახური საქმეების ერთობლივად გაძღოლა, საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოება ასევე ის გარემოებებია, რომლებიც მხედველობაში მიიღება; შვილების ყოლაც, როგორც წესი, ოჯახის ქონის საერთო განზრახვაზე მიუთითებს, თუმცა, შვილების არყოლა ოჯახის არსებობას არ გამორიცხავს; ასევე გაითვალისწინება სხვა ისეთი პირდაპირი მტკიცებულებები, თუ ირიბი ინდიკაციები, რომლებიც წყვილის ერთობლივ სურვილზე მიუთითებს, ითვლებოდნენ ოჯახად, ჰქონდეთ საერთო მიზნები და ღირებულებები და საკუთარი ცხოვრების ერთმანეთთან დაკავშირებით („ერთმანეთისათვის მიძღვნით“) საერთო მატერიალური და არამატერიალური სიკეთის შექმნაზე იყვნენ ორიენტირებულნი. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დასახელებული ფაქტორები კუმულაციური არ არის, თუმცა, მათი უმრავლესობის თანაარსებობა სათანადო („ნოყიერ“) საფუძველს ქმნის წყვილის ოჯახად მიჩნევის მიზნებისათვის.

თუ წყვილის თანაცხოვრება ოჯახის კვალიფიკაციის დონეს არ აღწევს, თითოეული მათგანის უფლება, რაღა თქმა უნდა, დაცულია ცალცალკე პირადი, ქონებრივი, თუ სხვა სახის უფლებების რეგულირების რეჟიმში, ხოლო რაც შეეხება წყვილს, რომლის თანაცხოვრება ოჯახად კვალიფიცირდება, თუმცა, რეგისტრირებული არ არის და ისინი ქორწინებაში მყოფ მეუღლეებად არ განიხილებიან, ასეთ შემთხვევაში, მათი ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძველი სამოქალაქო ამხანაგობის ანდა სუბსიდიურად, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი წესებია.

ორივე შემთხვევაში, იქნება ეს რეგისტრირებული ქორწინება, თუ რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივი ოჯახი, **საკითხი ეხება ოჯახს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საოჯახო ურთიერთობაში წყვილის უფლებათა დაცვის კონტექსტი მაქსიმალურად იყოს მიახლოებული საოჯახო სამართლით რეგულირებულ სამართლებრივ შედეგებთან**, ვინაიდან ფაქტი

ერთია, ორივე შემთხვევაში, წყვილის თანაცხოვრება ოჯახად კვალიფიცირდება, შესაბამისად, **სამართალურიერთობის რეგულირების საფუძვლად საოჯახო სამართლის წესები იქნება გამოყენებული, თუ სამოქალაქო ამხანაგობისა და უსაფუძვლო გამდიდრების**, შედეგობრივი თვალსაზრისით, წყვილი, უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

უფრო მეტიც, თუ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ფაქტობრივი ოჯახი წყვილის **გაცნობიერებული არჩევანი არ არის** და თუ დგინდება, რომ მათი არაინფორმირებულობა რიგი საზოგადო ფაქტორებით არის განპირობებული, როგორცაა, სამოქალაქო განათლებაზე წვდომის ნაკლებობა, ასაკი, რელიგიური მოტივები და ა. შ. **ასეთ დროს, საოჯახო სამართლის ნორმების ანალოგიის წესით გავრცელება უფრო მარტივი, მასშტაბური და უფლებრივი დეკლარირების კონტექსტში სამართლიანი იქნებოდა.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფაქტია, რომ არარეგისტრირებული ქორწინების ფარგლებში შექმნილი ოჯახი სამართლის სპეციალური დებულებებით მოწესრიგებული არ არის, რაც თავისთავად არ გამორიცხავს ფაქტობრივი ოჯახების არსებობას და, მით უფრო, ამგვარ სამართალურიერთობაში უფლებათა დარღვევის ფაქტებს. დარღვეული უფლება კი ყოველთვის საჭიროებს დაცვას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა აღნიშნული უფლების ცალკე, სპეციალური მომწესრიგებელი წესი. შესაბამისად, იქამდე, სანამ არარეგისტრირებული საოჯახო ურთიერთობები სამართლის სპეციალური წესებით მოწესრიგდება, ისეთი გამოსაყენებელი სამართალი უნდა გამოინახოს, რომელიც წყვილის საოჯახო ურთიერთობის ღირსეულ დაცვას შეძლებს, იქნება ეს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, უსაფუძვლო გამდიდრება, თუ რიგ შემთხვევებში, საოჯახო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიის წესით გამოყენება.

## **კოვიდ-19-ის საინააღმდეგო ვაქცინის მწარმოებლების პასუხისმგებლობა ვაქცინის გვერდით ეფექტებზე – გერმანული პერსპექტივა**

*პროფ. დოქ. გიუნტერ რაინერი  
ჰამბურგის ჰელმუტ-შმიდტის უნივერსიტეტი*

### **A. შესავალი**

კოვიდ-19-ის კრიზისი გამოცდად იქცა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. უკანასკნელი შეფასებებით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები – ნიღბის ტარების ვალდებულება, გასვლის აკრძალვა, კონტაქტის შეზღუდვა, დისტანციის დაცვა, საქმიანობის აკრძალვა ზოგიერთ ეკონომიკურ სფეროში, ვაქცინაციის ვალდებულება ჯარისკაცებისთვისა და ჯანდაცვის სექტორის თანამშრომლებისთვის – გადამეტებული იყო. მოქალაქეთა მხრიდან ამ წესების დარღვევა დაუყოვნებლივ ისჯებოდა, ხოლო სასჯელი უჩვეულოდ მკაცრი იყო. სამართლის ჰუმანური მისია მთელ რიგ ასპექტში უგულებელყოფილ იქნა, მაგრამ დღემდე არ მომხდარა მოცემული ზომების რეალური და კრიტიკული შეფასება; პირიქით, კოვიდ-19-ის შესაჩერებლად მიღებული ამ გადამეტებული ზომების მოწინააღმდეგენი და კრიტიკოსები, სამართალდამცავ ორგანოებს, კვლავინდებურად მიზანში ჰყავთ ამოღებული.

მაგრამ, დღეს არც ისინი იმყოფებიან ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვინც უყოყმანოდ დაცვა მთავრობის მიერ დადგენილი წესები და რეკომენდაციები. გერმანიის ფედერალური რე-

სპუბლიკის ყოფილი კანცლერი, ანგელა მერკელი, რომელსაც კონსულტირებას უწევდა ბილგეითსი და მისი ფონდი, ძალიან მალევე მიხვდა, რომ კოვიდ-19 კრიზისის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი ქმედითი საშუალება არსებობდა – რაც შეიძლება მეტი ადამიანის ვაქცინაცია, ორი ახალი, ექსპერიმენტული მექანიზმის (mRNA- ან ვექტორული ტექნოლოგიით) საფუძველზე შექმნილი, ვაქცინებიდან ერთ-ერთით.

2022 წლის მარტში, გერმანიის ბუნდესტაგში კორონავირუსის ვაქცინაციის სავალდებულო ზოგადი წესის შემოღება მარცხით დასრულდა, მაგრამ ფედერალური მთავრობის ვაქცინაციის სარეკლამო კამპანია, რომელსაც თან ახლდა სამთავრობო ექსპერტების, მსხვილი მედია საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ეკლესიებისა და ბიზნესის მხარდაჭერა, ბოლო წლებში უპრეცედენტო აგრესიულობით გამოიჩინოდა. ამ დროს საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა, რომ თავიდანვე არსებობდნენ საკმაოდ კრიტიკულად განწყობილი ექსპერტებიც. კრიტიკოსები მიუთითებდნენ, მწარმოებლების დიდი კოჰორტული კვლევების ნუნზე, რომლებიც აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის (FDA) და მოგვიანებით, ევროპის

მედიკამენტების სააგენტოს (EMA)<sup>1</sup> დამტკიცების პროცედურების საგანი იყო და ისინი აფრთხილებდნენ საზოგადოებას, მათ შორის, ადამიანის ორგანიზმის აუტოიმუნური რეაქციის საფრთხეზე. მიუხედავად მათი მეცნიერული არგუმენტებისა, ამ კრიტიკულ ჯგუფს სახელი გაუტეხეს, დაარქვეს მათ „შეთქმულების თეორეტიკოსები“, „მეცნიერების უარმყოფელები“, „ანტისემიტები“ ან „მემარჯვენე ექსტრემისტები“. ამავდროულად, მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში არასწორად ამტკიცებდა, რომ ვაქცინაციას გვერდითი ეფექტები თითქმის არ ჰქონდა.

ასევე მატულობს შემთხვევები, როდესაც ადამიანები, თუ ისინი ცოცხლები გადარჩნენ, ვაქცინაციის შემდეგ იტანჯებიან ძალიან მძიმე, ხანგრძლივი და რთულად სამკურნალო ჯანმრთელობის პრობლემებით, რომლებიც ხშირად აუტოიმუნური რეაქციებითაა გამოწვეული,<sup>2</sup> და ეს ყველაფერი ვაქცინას უკავშირდება. ამ დროს ხშირად ჩივიან პაციენტები, რომ ექიმები იკავებენ თავს ვაქცინით გამოწვეული ზიანის შესაძლებლობის განხილვისგან და პაციენტებს არც კი იღებენ, თუ ისინი ასეთ ეჭვს გამოთქვამენ. როგორც ჩანს, ექიმები საკმაოდ იშვიათად აწვდიან ინფორმაციას ვაქცინებისა და ბიომედიცინის მედიკამენტების გერმანიის ფედერალურ ინსტიტუტს (Paul-Ehrlich-Institut), რომელიც ჯანდაცვის ფედერალური სამინისტროს სამეცნიერო სტრუქტურაა და ინფექციური დაავადებების პრევენციასა და კონტროლზეა პასუხისმგებელი, ისეთი შემთხვევების

შესახებ, როდესაც არსებობს ეჭვი ვაქცინით გამოწვეულ ზიანზე. როგორც ამ ინსტიტუტის წარმომადგენლებს, 2022 წელს, ფედერალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში ჯარისკაცებისთვის სავალდებულო ვაქცინაციის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესში მოუწიათ აღიარება, რომ ვაქცინით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელ დეპარტამენტს არასაკმარისი პერსონალი ჰყავდა და, როგორც ჩანს, გარდაცვალების ეჭვის შემთხვევაშიც კი, ოჯახის წევრებს მხოლოდ ტელეფონით ესაუბრებოდნენ.<sup>3</sup> სისტემატური გაკვეთა არ იყო გათვალისწინებული, რამაც გამოიწვია ის, რომ გარდაცვლილთა ახლობლები ზოგჯერ საკუთარი ინიციატივით მიმართავდნენ კერძო პათოლოგ-ანატომებს გაკვეთის ჩატარების თაობაზე.<sup>4</sup>

მთავრობასთან დაახლოებული საზოგადოებრივი ტელევიზიაც კი ბოლო დროს არაერთხელ გახდა იძულებული, ცალკეული დრამატული შემთხვევები რეპორტაჟების ფორმით გაეშუქებინა. დაზარალებულები მუდმივად ამტკიცებენ, რომ ექიმების უმეტესობა კატეგორიულად გამორიცხავს ვაქცინით გამოწვეული ზიანის შესაძლებლობას და, თუ ისინი სხვა ახსნას ვერ პოულობენ, პაციენტებს სიამოვნებით ატყობინებენ, რომ საქმე აქვთ ფსიქოსომატურ პრობლემებთან. როგორც ჩანს, გერმანიის ჯანდაცვის უწყებებსაც არ აქვთ ინტერესი, გამოიკვლიონ ვაქცინით გამოწვეული ზიანის რეალური მასშტაბები. ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA) ვებგვერდზე გარდაცვალებული

<sup>1</sup> იხ. მაგ. Michels et al., 38 სუბიექტის გარდაცვალების ფორენზიკული ანალიზი Pfizer/BioNTech BNT162b2 mRNA ვაქცინის კლინიკური ცდის 6-თვიან შუალედურ ანგარიშში, *International Journal of Vaccine Theory, Practice, and Research*, <https://doi.org/10.56098/ijvtr.v3i1.85>, გამოქვეყნდა 2023 წლის 17 ოქტომბერს. ავტორები, რომლებიც DailyClout (<https://dailyclout.io/>) ინიციატივასთან არიან ასოცირებულნი, აანალიზებენ Pfizer-BioNTech-ის ავტორიზაციის კვლევის ფარგლებში 38 გარდაცვალების შემთხვევას და დაჟინებით ამტკიცებენ, რომ სიკვდილის შემთხვევების შეტყობინება ავტორიზაციის ორგანოსთვის დაგვიანებული იყო.

<sup>2</sup> იხ. მაგ. die Metastudie von Hinterseher et al., *Autoimmune skin disorders and SARS-CoV-2 vaccination – a meta-analysis*, *Journal der Deutschen Dermatologischen*

*Gesellschaft*, Vol. 21, Issue 8, Aug. 2023, 827-942, DOI: <https://www.doi.org/10.1111/ddg.15114>.

<sup>3</sup> მოცემული ინფორმაცია ემყარება მოსარჩელე ჯარისკაცის ერთ-ერთი პროცესუალური წარმომადგენლის განცხადებას კანონმდებლის წინააღმდეგ. საქმის ნომერია BVerwG 1 WB 2.22. ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2022 წლის 7 ივლისის განჩინებით უარყო ჯარისკაცის მოთხოვნა კორონავირუსის ვაქცინაციის ხელშეწყობის ბრძანების გაუქმების თაობაზე.

<sup>4</sup> მოცემულ საკითხსა და შედეგებზე ვრცლად იხ. Arne Burkhardt et al., „Vom Stachel im Fleisch – Wie das Corona-Impf-Spikeprotein Schaden anrichtet“, Hamburg 2023.



ბის თითქმის 30,000 და მძიმე გვერდითი ეფექტის 660,000 შემთხვევაა ჩამოთვლილი;<sup>5</sup> იმავდროულად, სავარაუდოდ, არარეგისტრირებული შემთხვევების რიცხვი გაცილებით მაღალია, რადგან ექიმებს არ აქვთ სურვილი სავარაუდოდ გვერდითი ეფექტების შესახებ აცნობონ ზედამხედველ ორგანოებს. გერმანული ჯანმრთელობის დაზღვევის დიდი კომპანიის ანალიზის მონაცემებით, ვაქცინაციის შედეგებთან დაკავშირებით ექიმთან მილიონობით ვიზიტი არის დაფიქსირებული (ქვემოთ D.I.1.დ.ბ.). ამასთან, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ყოველთვის არ გულისხმობს ვაქცინით გამოწვეულ მძიმე ზიანს, თუმცა ამავე დროს, უბრალო აცრის შედეგად განითვლების გამო უმრავლესობა ექიმს არ მიმართავდა.

ვაქცინების ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებსაც მანამდე (ხშირად ვაქცინაციის მიუხედავად) COVID-19 დაუდგინდათ, სწრაფად მიაწერენ ამ დაავადებას (Long-COVID), მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინაციის შედეგად ორგანიზმში გაცილებით მეტი შხამიანი სპაიკ-პროტეინი წარმოიქმნება, ვიდრე COVID-19-ის დროს.<sup>6</sup> სპეციფიკური მკურნალობის ხარჯებს, როგორცაა სისხლის გამწმენდი პროცედურები, ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიები არ ანაზღაურებენ, რადგან "Post Vac", რომელიც ვაქცინის გვერდითი მოვლენების ბუნდოვანი სახელითაა ცნობილი, არ არის ერთიანი სიმპტომებით აღიარებული დიაგნოზი. გერმანიის სამოქალაქო სასამართლოებში ვაქცინის მწარმოებლების წინააღმდეგ უკვე ასობით სარჩელია შეტანილი ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ჯერჯერობით, არც ერთი ყოფილა წარმატებული.<sup>7</sup> რატომ? ამის გასაგებად, განვიხილოთ შესაბამისი გერმანული პასუხისმგებლობის სამართალი.

## B. მედიკამენტებისთვის პასუხისმგებლობის საფუძვლები გერმანული სამართლის მიხედვით

არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების (დელიქტური სამართალი) პასუხისმგებლობის გერმანული სამართალი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსსა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - გსკ) და სხვადასხვა სპეციალურ კანონებში. ამ სპეციალური კანონების ნაწილი ეფუძნება ევროკავშირის სამართლებრივ მოთხოვნებს. კორონავირუსის სპეციფიკური თავისებურებები მოგვიანებით იქნება განხილული.

### I. გსკ-ის დელიქტური სამართალი

გსკ-ის დელიქტური სამართალი (823-ე და შემდეგი პარაგრაფები) ძირითადად ბრალის პრინციპზეა დაფუძნებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობად განსაზღვრულია, რომ ზიანის მიმყენებელი ან განზრახ უნდა მოქმედებდეს ან ზიანის გამოწვევი (წინასწარ პროგნოზირებადი და თავიდან აცილებადი) ქცევა, სულ მცირე გაუფრთხილებლობით, პერსონალურად უნდა შეერაცხებოდეს (ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა).

სისტემატური თვალსაზრისით საპირისპირო პოლუსს წარმოადგენს საფრთხის გამონვევისთვის პასუხისმგებლობა (Gefährdungshaftung), რომელიც არ მოითხოვს ბრალეულობის, და ცალკეულ შემთხვევებში – მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობას და იგი სპეციალურ კანონებშია ნორმატირებული. მართლზომიერი ქმედებით საფრთხის გამონვევისთვის პასუხისმგებლობა (Gefährdungshaftung), როგორც წესი, დაკავშირებულია განსაკუთრებულად საშიში

<sup>5</sup> იხ. EudraVigilance-ის მონაცემთა ბაზაში 2024 წლის 20 მაისის მდგომარეობით მონაცემთა ერთობლიობა <https://impfnebenwirkungen.net/ema/tabellen/>, ბოლოს ნანახია 27.5.2024.

<sup>6</sup> აღნიშნული ე. წ. „Umbuching-ის“ მეთოდოლოგიურ შეცდომებზე იხ. Høeg et al., How methodological pitfalls have created widespread misunderstanding about long COVID, BMJ Evidence-Based Medicine, 2023, DOI: <https://doi.org/10.1136/bmjebm-2023-112338>.

<sup>7</sup> თუმცა, 2024 წლის 8 აპრილს ბამბერგის სააპელაციო

სასამართლომ (საქმის ნომერი 4 U 15/23 e) მწარმოებელი AstraZeneca ნაწილობრივი გადაწყვეტილებით დაავალდებულა, მედიკამენტების შესახებ კანონის 84ა პარაგრაფის შესაბამისად მიეწოდებინა ინფორმაცია ვაქცინის შესახებ მიღებული „ეფექტებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ და ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ვაქცინის მავნე მოქმედებების შეფასებისთვის“, თრომბოზი-თრომბოციტოპენიის სინდრომთან (TTS) დაკავშირებით.

ტექნიკური მოწყობილობების ან დანადგარების ექსპლუატაციასთან, როგორებიცაა, მაგალითად საგზაო ტრანსპორტის კანონის, საჰაერო ტრანსპორტის კანონის, "ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენებისა და მისი საფრთხეებისგან დაცვის შესახებ" კანონისა და "გენეტიკური ინჟინერიის მარეგულირებელი კანონის" პასუხისმგებლობის შესახებ კანონები.

1985 წლის ევროპული პროდუქტისთვის პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივა 85/374/EEG წარმოადგენს პირველი ტიპის საფრთხის გამონწვევისთვის პასუხისმგებლობის (Gefährdungshaftung) მაგალითს, ანუ არამართლზომიერი, ე. ი. სამართლებრივად მიუღებელი ქმედების შედეგისათვის პასუხისმგებლობას. აქ პასუხისმგებლობის ცენტრალური წინაპირობაა „წუნდებული“ პროდუქტის ბაზარზე გამოშვება.<sup>8</sup> გერმანიაში პროდუქტისთვის პასუხისმგებლობის დირექტივა, რომელიც, როგორც ევროკავშირის ყველა დირექტივა, პირდაპირ არ ეხება მოქალაქეებს, კომპანიებსა და სასამართლოებს, არამედ მიმართულია ეროვნული კანონმდებლებისადმი, იმპლემენტირდა 1989 წელს პროდუქტზე პასუხისმგებლობის კანონის (ProdHaftG) სახით გერმანულ კანონმდებლობაში. სპეციალურ სავალდებულო ლიცენზირებას დაქვემდებარებული ნაწილები, მათ შორის ვაქცინები, რომლებიც დირექტივის ფარგლებში ხვდებიან, ამოღებულია პროდუქტზე პასუხისმგებლობის კანონის გამოყენების არეალიდან (გერმანიის) პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ კანონის 15 I პარაგრაფი, რადგან ამისთვის უკვე არსებობს საფრთხის გამონწვევის გამო პასუხისმგებლობის დელიქტის კონცეფციის უფრო ძველი სპეციალური კანონი, 1976 წლით დათარიღებული მედიკამენტების შესახებ კანონი, რომელიც დღემდე მოქმედებს. ჩვენ მას

უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

მიუხედავად ამისა, გსკ-ის ზოგადი დელიქტური სამართალი, ვაქცინების მწარმოებლების პასუხისმგებლობის დაყენებისთვის, უმნიშვნელოვანეს ნორმებს წარმოადგენს. გერმანულ კერძო სამართალში მოქმედებს „კონკურენტული მოთხოვნების“ პრინციპი, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი და იგივე პროცესუალური მოთხოვნა (მაგალითად, ზიანის ანაზღაურება) შეიძლება დამყარებული იყოს რამდენიმე მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე, რომლებიც თანაბრად მოქმედებენ, სანამ აღნიშნული სხვაგვარად არ მოწესრიგდება ან კონტექსტიდან არ გამომდინარეობს, რომ უფრო სპეციალური რეგულირება ზოგადს გამოორიცხავს. პროდუქტზე პასუხისმგებლობის კანონის (ProdHaftG) 15 II პარაგრაფი პირდაპირ ადგენს, რომ მედიკამენტების პასუხისმგებლობის სფეროში „სხვა ნორმების საფუძველზე“ პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

რთულად დასაჯერებელია, თუმცა გსკ-ის მიხედვით ვაქცინების მწარმოებლების პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი ბრალის მტკიცება არ არის ვაქცინებით დაზარალებულებისთვის ყველაზე დიდი პრობლემა. გერმანული მართლმსაჯულება პროდუქტზე პასუხისმგებლობის საკითხთან მიმართებით, უკვე 50 წელზე მეტია, აღიარებს რომ მწარმოებლის ბრალი, მტკიცების ტვირთის ზოგადი პრინციპების საწინააღმდეგოდ, ივარაუდება, თუ შეცდომა წარმოების (ფაბრიკაციის) სფეროში წარმოიშვა. შესაბამისად, მწარმოებლის ვალდებულებაა, თავი დაიცვას და თავად დაამტკიცოს, რომ პროდუქტის არასაკმარისი უსაფრთხოება მისი ბრალით არ არის გამოწვეული.<sup>9</sup>

კორონა-ვაქცინების მწარმოებლების პასუხის-

<sup>8</sup> დირექტივის დაგეგმვლ ახალ ვერსიაში, სავარაუდოდ, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არაფერი შეიცვლება. იხ. European Commission, Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on liability for defective products, COM(2022) 495 final, 28.9.2022.

<sup>9</sup> საფუძველს წარმოადგენს უმაღლესი ფედერალური სამართლოს 1968 წლის 26 ნოემბრის VI ZR 212/66, BGHZ 51, 91 განაჩენი „ქათმის ჭირი“. შესაძლებელია, რომ ბრალეული პასუხისმგებლობა შებრუნებული მტ-

კიცების ტვირთთან ერთად მივიჩნიოთ ბრალეული პასუხისმგებლობისა და საფრთხის გამონწვევისთვის პასუხისმგებლობის ჰიბრიდულ-შუალედურ ფორმად. ამ კონცეფციის კანონმდებლობითი გამოყენების მაგალითებია, ხელმძღვანელი (განსაკუთრებით დამსაქმებელთა) პასუხისმგებლობა სამსახურებრივ დამხმარებზე (გსკ-ის 831-ე პარაგრაფი), ცხოველების მფლობელთა პასუხისმგებლობა (გსკ-ის 833 2 პარაგრაფი) ან პირებზე, რომლებიც სხვა პირებზე არიან პასუხისმგებელნი

სმგებლობის კონტექსტში, ბრალზე დამოკიდებულ პასუხისმგებლობას ძირითადად იმავე ბარიერებთან უნევს გამკლავება, რასთანაც მედიკამენტების შესახებ კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამიტომ, გამონაკლისის გარდა (D.I.2.ა., პროდუქტზე დაკვირვების ვალდებულება), ჩვენ ამ საკითხს აღარ შევხებით.

## II. პასუხისმგებლობა მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფის მიხედვით

დავუბრუნდეთ მედიკამენტების შესახებ კანონს (AMG). პასუხისმგებლობის შემადგენლობა, რომელიც მოქმედებს სავალდებულო ლიცენზირებულ მედიკამენტებზე, შემოკლებით შემდეგნაირად ჟღერს:

„84-ე პარაგრაფი, საფრთხის გამონევეისთვის პასუხისმგებლობა

(1) თუ [...] მედიკამენტის გამოყენების შედეგად, ადამიანი დაიღუპა ან მისი სხეული ან ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად დაზიანდა, ფარმაცევტული კომპანია, რომელმაც მედიკამენტი ბაზარზე გამოიტანა, ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს ამით მიყენებული ზიანი. ანაზღაურების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

1. მედიკამენტს ჩვეულებრივი გამოყენებისას ახასიათებს მავნე ეფექტები, რომლებიც სცილდება სამედიცინო მეცნიერების მიხედვით დასაშვებ დონეს, ან

2. ზიანი წარმოიშვა არასწორი მარკირების, სპეციალური ინფორმაციის ან გამოყენების ინსტრუქციის გამო, რაც არ შეესაბამება სამედიცინო სამეცნიერო ცოდნას.“

მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის საფუძველი უკავშირდება მედიკამენტის სამედიცინო თვისებებს და მოიცავს ორი სახის შეცდომას (defects), რომლებიც ტექნიკურ პროდუქტებში „კონსტრუქციის წუნად“ (კონცეფციის შეცდომა) და „ფაბრიკაციის წუნად“ მოიხსენიება.

პირველ შემთხვევაში, პროდუქტი არასწორად არის კონსტრუირებული, რის შედეგადაც სერიის ყველა შეკვრა ერთსა და იმავე შეცდომაზე მიუთითებს (მაგალითად, ვითარდება დაუშვებელი გვერდითი მოვლენები პროდუქტის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტის გამო); მეორეში, პროდუქტის ან პროცესის კონსტრუქცია, როგორც ასეთი, არაა წუნის მქონე, თუმცა შეცდომა ჩნდება ფაბრიკაციის პროცესში (მაგალითად, ერთ-ერთი ვაქცინის პარტიის დაზიანდება). ამ ორი შეცდომის კატეგორიას შორის მიჯნის გავლება არ არის მარტივი, რადგან პროდუქტის კონსტრუქციას ასევე განეკუთვნება ფაბრიკაციის სტანდარტების განსაზღვრა. თუ მწარმოებელი თავისი მედიკამენტის ფაბრიკაციისთვის ირჩევს არასწორ პროცესს, რომელიც დაზიანდებას იწვევს, იგი უშვებს შეცდომას ფაბრიკაციაში, რომელიც ასევე შეიძლება კონცეფციის შეცდომად შეფასდეს. მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 2 პარაგრაფი ეხება ინფორმაციის შეცდომებს: პროდუქტი თავად საკმარისად უსაფრთხოა, მაგრამ მწარმოებლის მხრიდან ხდება მისი არასწორი გამოყენება ან არასრული ინფორმაციის გამო მედიკამენტი საზიანო ხდება.

რადგანაც ფარმაცევტული ცოდნის დონე მუდმივად ფართოვდება, ჩნდება კითხვა „სამედიცინო სამეცნიერო ცოდნის“ შეფასების შესაფერისი დროის შესახებ, რასაც ეხება როგორც Nr. 1, ასევე Nr. 2 პუნქტები. თავად მედიკამენტის წუნის (Nr. 1) შემთხვევაში, გაბატონებული შეხედულება განსხვავებულ მიდგომებს იცნობს: „საზიანო ზემოქმედებების“ შეფასების დროდ არჩეულია სასამართლო განხილვის დასრულების პერიოდი,<sup>10</sup> რადგან კანონმდებლის ნება იყო, რომ მწარმოებლებს ასევე დაკისრებოდათ პასუხისმგებლობა, მათ შორის თავდაპირველად, არახილული, დაუშვებელი საზიანო ზემოქმედებებისათვისაც.<sup>11</sup> სამედიცინო მეცნიერების განვითარების დონე, რომელიც მნიშვნე-

(მაგალითად, მშობლები), იმ პირების დელიქტებზე პასუხისმგებლობა, რომლებზეც მინდობილები არიან (გსკ-ის 832-ე პარაგრაფი).

<sup>10</sup> Brock in: Kügel, Müller und Hofmann, AMG, 3. Auflage 2022, § 84, Rn. 87; ასევე Landgericht Rottweil, Urteil vom

6.12.2023, 2 O 325/22, juris, Rn. 28, კომპანია ბიონტექის (არარსებული) პასუხისმგებლობის შესახებ; ferner Oberlandesgericht Bamberg, Urteil vom 8.4.2024 – 4 U 15/23 e, juris, Rn. 56, zu AstraZeneca.

<sup>11</sup> შდრ. 1975 წლის 7 იანვრის ფედერალური მთავრობის

ლოვანია კითხვაზე პასუხის გასაცემად, სცილდება თუ არა საზიანო ზემოქმედება დასაშვებ დონეს, უნდა შეფასდეს პროდუქტის ბაზარზე გამოშვების დროის მიხედვით.<sup>12</sup> აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამედიცინო პროგრესის შედეგად უფრო ეფექტური ან ნაკლებად საზიანო მედიკამენტების განვითარებამ არ გამოიწვიოს მწარმოებლების პასუხისმგებლობა ძველი პროდუქტებისთვის.<sup>13</sup> 84 I 2 Nr. 2 პარაგრაფის მიხედვით, მედიკამენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც კონკრეტულად ზიანის მომტანი მედიკამენტი (ანუ კონკრეტული პარტია) ბაზარზე გამოვიდა.<sup>14</sup> შემდეგში განვითარებული „სამედიცინო მეცნიერული ცოდნა“ არ იწვევს თავდაპირველად საკმარისად მიჩნეული ინფორმაციის შემდგომში არასაკმარისად გადაქცევას. აღნიშნულსა და 84 II პარაგრაფში დაფიქსირებულ მტკიცების ტვირთის შეზღუდვაზე მოგვიანებით შევჩერდები (D.II.1.ა.).

მხარეების „პროცესუალური შანსების თანასწორობის“<sup>15</sup> მისაღწევად, 2002 წლის საკანონმდებლო რეფორმის შემდეგ, კანონი (შესაძლო) დაზარალებულებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ეფექტურად განხორციელების მიზნებისათვის უფლებას აძლევს ფარმაცევტული მწარმოებლისა და ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ორგანოებისგან გამოითხოვოს სრული ინფორმაცია. კომერციული საიდუმლოების

დაცვის გათვალისწინებითა და დაცვით, გამოთხოვას ექვემდებარება ინფორმაცია „ფარმაცევტული კომპანიისთვის ცნობილ ზემოქმედებებზე, გვერდით ეფექტებსა და ურთიერთქმედებებზე, ასევე გვერდითი ეფექტებისა და ურთიერთქმედებების შესახებ მისთვის ცნობილ საეჭვო შემთხვევებზე და ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მავნე ზემოქმედებების შეფასებისთვის“ (მედიკამენტების შესახებ კანონის 84ა I 2, II პარაგრაფი).<sup>16</sup>

### C. სპეციალური წესები კორონა ვაქცინაციისთვის

კორონა-ვაქცინების მწარმოებლების პასუხისმგებლობა ცალკეა მოწესრიგებული. ესენია, ერთი მხრივ, შესყიდვის კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და ვაქცინების მწარმოებლებს შორის (1.) და, მეორე მხრივ, სამთავრობო განკარგულება, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც შესყიდვის ხელშეკრულების თანმდევი ან დამატება (2.).

#### I. მწარმოებლების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ევროკომისიის წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულებების მიხედვით

კორონა ვაქცინების შექმნა ევროკავშირის სახელმწიფოებში, მათ შორის გერმანიაში,

კანონპროექტის „მედიკამენტების შესახებ სამართლის ახალი წესრიგის“ საფუძვლებთან დაკავშირებით ბუნდესტაგის საქმის ნომერი 7/3060, გვ. 43, 61, § 80: „პირველ რიგში, პუნქტი 1 [კანონპროექტის 80 I 2-ს, მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის შესაბამისად] გულისხმობს შემთხვევას, როცა მედიკამენტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი შემონმეულია იმ დროისათვის არსებული სამეცნიერო ცოდნის შესაბამისად ფარმაკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიურად და კლინიკურად, მავნე ზემოქმედებები, რომლებიც აღემატება სამედიცინო თვალსაზრისით მისაღებ ზღვარს, ვერ იქნა აღმოჩენილი.“

<sup>12</sup> ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ფედერალური მთავრობის კანონპროექტის საფუძველი - 2. *SchadÄndG*, ბუნდესტაგის საქმის ნომერი 13/10435 1998 წლის 21 აპრილი, გვ. 15: მოსამართლემ უნდა აწონ-დაწონოს, არის თუ არა აღნიშნული წამალი მიმოქცევის მომენტში, ასევე მოგვიანებით

გამოვლენილი გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით, მისაღები“. *Brock in: Kügel/Müller/Hofmann, AMG, 3. Auflage 2022, § 84, Rn. 88; Franzki in: BeckOGK, AMG § 84 Rn. 92 (1.2.2024).*

<sup>13</sup> მსგავსად *Brock in: Kügel, Müller und Hofmann, AMG, 3. Auflage 2022, § 84, Rn. 88.*

<sup>14</sup> *Brock in: Kügel, Müller und Hofmann, AMG, 3. Auflage 2022, § 84, Rn. 107; so auch Landgericht Rottweil, Urteil vom 6.12.2023, 2 O 325/22, juris, Rn. 44, zu „Comirnaty“: „მნიშვნელოვანია მედიკამენტის შესაბამისი პარტიის ბაზარზე გამოტანის დრო.“*

<sup>15</sup> *Bundesgerichtshof, Urteil vom 29.3.2011, VI ZR 117/10, BGHZ 189, 79, juris, Rn. 9.*

<sup>16</sup> ბამბერგის უზენაესმა სასამართლომ თავის უკვე ციტირებულ ნაწილობრივ განაჩენში 2024 წლის 8 აპრილს (4 U 15/23 e) დაავალა *AstraZeneca*-ს მწარმოებელს, მედიკამენტების შესახებ კანონის 84ა პარაგრაფის საფუძველზე ინფორმაცია მიეწოდებინა.

ევროკომისიის მიერ ფართოდ იყო კოორდინირებული. გერმანიის ფედერალური მთავრობა სამართლებრივ საფუძვლად მოიხსენიებს ე. წ. ევროპულ საგანგებო დახმარების ინსტრუმენტს (Emergency Support Instrument – ESI), რომელიც კორონა-კრიზისის ადრეულ ეტაპზე გააქტიურდა.<sup>17</sup> 2020 და 2021 წლებში ევროკომისიამ მთავარ მწარმოებლებთან, მაგალითად, Pfizer/Biontech, Moderna და AstraZeneca-სთან, გააფორმა ე. წ. წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულებები (Advance Purchase Agreements – APA), რომლებიც ბელგიურ სამართალსა და ბელგიურ სასამართლო იურისდიქციას ექვემდებარება (Pfizer-Biontech-APA-ს I.13.1 და I.13.2 პარაგრაფები).<sup>18</sup> სიტყვა „Advance“ (წინასწარი) მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დადების დროს ვაქცინები ჯერ კიდევ არ იყო ბაზარზე და არც ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA-ს) მიერ იყო დამტკიცებული. შესაბამისად, მიწოდებისა და მიღების ვალდებულება ვაქცინის დამტკიცების პირობაზე იყო დამოკიდებული. ოფიციალურად, არც მწარმოებლებს და არც კომისიას ჰქონდათ ინფორმაცია, რომელი მწარმოებელი შეძლებდა ბაზრისთვის გამოსადეგი პროდუქტის შექმნას, ამიტომ ხელშეკრულებებს სპეკულაციური ელემენტი ჰქონდა. ამ გაურკვეველობამ გამოიწვია ის, რომ შეკვეთილი ვაქცინების რაოდენობა მნიშვნელოვნად

აღემატებოდა, მაშინდელი შეხედულებით, საჭირო რაოდენობას,<sup>19</sup> რის გამოც, მოგვიანებით ზედმეტი ვაქცინა განადგურდა, საკმაოდ დიდი მოცულობით.

წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულებებისა (APA) და მათი ფორმირების შესახებ ბევრი შეიძლება ითქვას. ამჯერად მსურს, მხოლოდ, ე. წ. Indemnification (პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების) დებულებებზე გავამახვილო ყურადღება. ამისთვის უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ხელშეკრულებები, რომლებიც მილიარდობით საბიუჯეტო თანხების ხარჯვის საფუძველს წარმოადგენდნენ, ევროკომისიამ მხოლოდ ერთ-ერთი მოქალაქის ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნის საფუძველზე გამოაქვეყნა<sup>20</sup> და რომ ყველაზე საინტერესო დებულებები, მათ შორის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების – Indemnification – დებულებები, გამოქვეყნებისას გამუქებული იყო და დღემდე არ არის ხელმისაწვდომი ევროპარლამენტარებისთვის. ხელშეკრულებებში არსებული გამუქებები კონფიდენციალობის საბაბით იყო გამართლებული. არაოფიციალურ ვებგვერდებზე შესაძლებელია ევროკომისიის მიერ Pfizer-Biontech-თან 2020 წლის 20 ნოემბერს შეთანხმებული თავდაპირველი ხელშეკრულების არაგამუქებული ვერსიის ნახვა,<sup>21</sup> საიდანაც აქ ციტატის სახითაა მოყვანილი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების – Indemnification – დებულება (1 XII 1

<sup>17</sup> ფედერალური მთავრობის პასუხი პარტია AfD-ს ფრაქციის მცირე შეკითხვაზე „კორონა-ვაქცინების შექმნა, მიწოდება და ნაშთი“, Bundestag-Drucksache 20/429 vom 14.1.2022, გვ. 2.

<sup>18</sup> მართალია ამ ხელშეკრულებების მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარული იყო, თუმცა გარკვეული დროით ხელმისაწვდომია ინფორმაციის თავისუფალი მოთხოვნის წყალობით ამ გვერდზე: [https://ec.europa.eu/info/live-work-travel/coronavirus-response/public-health/eu-vaccines-strategy\\_de#documents](https://ec.europa.eu/info/live-work-travel/coronavirus-response/public-health/eu-vaccines-strategy_de#documents). ინტერნეტშიც შესაძლებელია ნაიკითხვოთ გაფორმებული დაუფარავი ვერსიები.

<sup>19</sup> „კომისიისა და წევრი სახელმწიფოების შეთანხმება წევრი სახელმწიფოების სახელით COVID-19 ვაქცინების შესყიდვისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ, კომისიის გადაწყვეტილების CI202014192 საბოლოო 2020 წლის 18 ივნისის დამატებული აბზაცი „შესყიდვის სტრუქტურა და მიზანი“ ეხება შემდეგს: „მხარეები აცნობიერებენ, რომ უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინის შემუშავება ძალიან რთული პროცესია და ასეთი ნაშო-

წყების ჩავარდნის რისკი ძალიან მაღალია. ამიტომ, ვაქცინის შექმნის კანდიდატების რამდენიმე წამყვან მწარმოებელთან წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმების მიზანია, გაიზარდოს წარმატებული ვაქცინის მიღების შანსები“.

<sup>20</sup> „Pfizer-Biontech-ის ხელშეკრულების ოფიციალური „რედაქტირებული“ ვერსია შეგიძლიათ იპოვოთ აქ:“ [https://commission.europa.eu/system/files/2021-03/redacted\\_advance\\_purchase\\_agreement\\_biontech-pfizer\\_0.pdf](https://commission.europa.eu/system/files/2021-03/redacted_advance_purchase_agreement_biontech-pfizer_0.pdf).

<sup>21</sup> ხელშეკრულების დაუფარავი ასლები უკვე დიდი ხანია ინტერნეტში ვრცელდება. უფრო ფართო საზოგადოებისთვის ხელშეკრულების გაფორმებული ვერსია ცნობილი გახდა 2023 წლის ოქტომბერში მისამართზე [https://archive.org/details/contract\\_03/page/48/mode/2up](https://archive.org/details/contract_03/page/48/mode/2up). ეს არის ასლი, რომელიც ბელგიურ ასოციაციას „Notre Bon Droit“ (<https://notrebondroit.be/>) 2021 წლის მარტში გადაეცა. იხ. ასევე <https://tkp.at/wp-content/uploads/2023/10/Contract-EU-Pfizer.pdf>.”

პარაგრაფი):

„[...] each Participating Member State shall indemnify and hold harmless the Contractor, their Affiliates, subcontractors, licensors and sub-licensees, and officers, directors, employees and other agents and representatives of each (together, the “Indemnified Persons”) from and against any and all liabilities incurred, Settlements as per Article 1.XII.6, and reasonable direct external legal costs incurred in the defence of Third Party Claims (including reasonable attorney’s fees and other expenses) relating to harm, damages and losses as defined in Article 1.XII.2 (together, the “Losses”) arising from or relating to the use and deployment of the Vaccines in the Jurisdiction of the Participating Member State in question [...]”.

გერმანიისთვის აღნიშნული ნიშნავს შემდეგს: თუ ვაქცინით დაზარალებულს დაუკმაყოფილდა პროდუქტის მწარმოებლის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, გერმანიის სახელმწიფომ ეს თანხა მწარმოებელს უნდა აუნაზღაუროს. უფრო მეტიც, დებულების თანახმად, გერმანიას უნევს მწარმოებლებისთვის, გონივრულობის ფარგლებში („reasonable“), იურიდიული ხარჯების ანაზღაურებაც. ეს უკვე მოხდა კიდეც, როდესაც „reasonable“ ტერმინი, როგორც ჩანს, ფართოდ და გულუხვად განიშარტა. პროცესებში იაფფასიანი ვაქცინით დაზარალებულ პირთა წინააღმდეგ მწარმოებლის მხარეს დგანან ძვირადღირებული, გადასახადის გადამხდელთა ფულით დაფინანსებული ელიტური იურიდიული კომპანიები, რომლებიც ასევე სახელმწიფო ხარჯზე ატარებენ ძვირადღირებულ სამედიცინო ექსპერტიზებს, რათა აჩვენონ, რომ მომჩივანის ჯანმრთელობის პრობლემებს შესაძლოა ვაქცინის გარდა სხვა მიზეზებიც იწვევდეს.

„Indemnification“ - დებულება შეიცავს ვალდებულებისგან გათავისუფლების შემდეგ გამონაკლისს შემთხვევას:

“Such indemnification will not be available to the Indemnified Persons to the extent that (i) the Losses were caused by the Wilful Misconduct, as defined in Article 1.12.3 [= “any wrongful act, willfully and knowingly committed, with the intent to cause harmful effects”], of such Indemnified Person; or (ii) the Losses were caused by a material breach of Good Manufacturing Practice (as applied at the time of manufacture) before certification of batch release of the Vaccine according to the requirements set out in Title IV of Directive 2001/83/EC, leading to a Quality Defect in the Vaccine at the time of each delivery and resulting in a determination by the competent regulatory authority to recall or suspend the supply of the Vaccine, or in a withdrawal or Suspension of the Authorisation by the European Commission. [...]”

თუმცა, ამ გამონაკლისს ვინაობა გამოყენების სფერო აქვს და სავარაუდოდ, იშვიათად იქნება გამოყენებული. სხეულის განზრახ დაზიანება რთულად დასამტკიცებელია, და, განსაკუთრებით, თუ განვიხილავთ გავლენიან პოლიტიკოსებსა და ფარმაცევტულ ინდუსტრიას შორის არსებულ მჭიდრო კავშირებს, არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმ ვარაუდისათვის, რომ გერმანიის ფედერალური მთავრობა, რომელიც კერძო სამართალში გერმანიის ინტერესებს წარმოადგენს, ოდესმე ასეთ ბრალდებას წაუყენებს. ვაქცინების ავტორიზაციის შეჩერება ან განვება ნაკლებად მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლების ევროპული მედიკამენტების სააგენტოსა (EMA) და ეროვნული მედიკამენტების ზედამხედველობის ორგანოების ქცევას, მაშინაც კი, თუ საწარმოო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი დარღვევები აღმოჩნდება.<sup>22</sup>

<sup>22</sup> სინამდვილეში, კრიტიკულად განწყობილმა სხვადასხვა ექსპერტმა – უმეტესად მედიაში დიდი გამოხმაურების გარეშე – მოითხოვა modRNA ვაქცინებისთვის ავტორიზაციის გაუქმება, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ამ პროდუქტების ფაბრიკაციისთვის ორი მეთოდი არსებობს: ერთი - რთული და სუფთა, რომელიც (სხვათა შორის) გამოიყენებოდა ავტორიზაციის პროცესში და მეორე, უფრო იაფი, რომელიც გამოიყენება მასობ-

რივი ფაბრიკაციისთვის და რომელსაც modRNA ბაქტერიებისგან აწარმოებს, რის შედეგადაც ვაქცინები DNA ბაქტერიებისგან დაბინძურებულია (იხ. ასევე D.I.1.a.). ეჭვი შეიძლება არსებობდეს, რომ ასეთი მეთოდი შეესაბამება კარგი ფაბრიკაციის პრაქტიკის მოთხოვნებს, განსაკუთრებით ექსპერტების შეფასების შემდეგ, რომ არსებობს საფრთხე, რომ უცხო DNA, პლაზმიდებშია ჩაკეტილი და ადამიანის უჯრედების ბირთვში აღწევს.

ვალდებულებისგან გათავისუფლება ლეგიტიმირდება იმ გარემოებით, რომ, ზოგადად ფარმაცევტული მწარმოებლებისთვის და, განსაკუთრებით, ახალი ვაქცინების მწარმოებლებისთვის ძალიან რთულია პასუხისმგებლობის დაზღვევის პოვნა.<sup>23</sup> ამას ემატებოდა პოლიტიკური ნებაც, რაც შეიძლება სწრაფად გამოსულიყო ვაქცინები ბაზარზე, რათა კორონა-პანდემია შეკავებულყო, რის გამოც შესაძლო გრძელვადიანი შედეგების შესახებ კვლევები ჯერ არ იყო ხელმისაწვდომი.<sup>24</sup> მწარმოებლებისთვის არსებობდა, და კვლავაც არსებობს, რისკი რომ შესაძლო გრძელვადიანი ვაქცინის ზიანის გამო, სარგებლისა და რისკის ურთიერთმიმართება რეტროსპექტიულად სხვაგვარად შეფასდეს.<sup>25</sup>

დაზღვევის არარსებობის არგუმენტი, არ არის გასაზიარებელი. თუ ნევრი სახელმწიფოების მიერ მწარმოებლების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მათი დეფაქტო დაზღვევა უნდა ყოფილიყო, სადაზღვევო პრემია ვაქცინების დოზების ფასებში უნდა ჩათვლილიყო. გარემოებები არ მიანიშნებენ იმაზე, რომ ეს

მოხდა. პირიქით, როგორც ევროპის მედიკამენტების სააგენტოდან (EMA-ს) გაჟონილი წამყვანი თანამშრომლების შიდა ელექტრონული საფოსტო შეტყობინებები 2020 წლის შემოდგომაზე იუწყებიან,<sup>26</sup> ევროპის მედიკამენტების სააგენტომ (EMA), ჯერ კიდევ დამტკიცების პროცესში გაიგო, რომ ვაქცინების მასობრივი ფაბრიკაცია უნდა განხორციელებულიყო სხვა, განსაკუთრებულად იაფი მეთოდით, ვიდრე ის, რაც დამტკიცების პროცესის საფუძველს წარმოადგენდა. ამ მეთოდით („process 2“) RNA-მოლეკულების „ინტეგრირი“ მნიშვნელოვნად მცირე იყო, რის შედეგადაც ჯანმრთელობის რისკები წარმოიშვა. პროცესის გაუმჯობესების მოთხოვნის ნაცვლად, უწყებამ, როგორც ჩანს, შესაბამისი ხარისხის სტანდარტის შემცირებით მოახდინა რეაგირება. ამ ფაქტორისა და მწარმოებლების დაუზუსტებელი მილიარდობით მოგების გათვალისწინებით, Pfizer-Biontech-სთან წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულებაში (APA) შეთანხმებული ფასი 17.50€ პირველი 100 მილიონი დოზისთვის და 13.50€ თითო დოზაზე შემდეგი 100 მილიონი დოზისთვის (მუხლი 1 VII)

თუმცა, როგორც ჩანს, უწყებებს განსხვავებული მეთოდების არსებობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ.

<sup>23</sup> ამის შესახებ [versicherungswirtschaft-heute.de](https://www.versicherungswirtschaft-heute.de) 2020 წლის 29 სექტემბრის ჩანაწერში აცხადებს: „იმის გამო, რომ COVID-19 ვაქცინა სწრაფი მეთოდით შემუშავდა, გვერდითი ეფექტების არსებობა უფრო მეტად შესაძლებელია, ვიდრე მრავალწლიანი ავტორიზაციის პროცესის ვაქცინების შემთხვევაში [sic!]. შესაბამისად, პროდუქტზე პასუხისმგებლობის აღება თავისუფალ ბაზარზე რთულად მისაღწევია. აღნიშნული იციან პოლიტიკოსებმა და სურთ ფარმაცევტული მწარმოებლების ამ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება (<https://www.versicherungswirtschaft-heute.de/politik-und-regulierung/2020-09-29/covid-19-impfstoffe-eu-will-haftung-fuer-nebenwirkungen-uebernehmen/>, Beitrag vom 29.9.2020, ბოლოს ნანახია 27.5.2024).

<sup>24</sup> ამასთან დაკავშირებით, [versicherungswirtschaft-heute.d](https://www.versicherungswirtschaft-heute.de) (<https://www.versicherungswirtschaft-heute.de/politik-und-regulierung/2020-09-29/covid-19-impfstoffe-eu-will-haftung-fuer-nebenwirkungen-uebernehmen/>) ასახელებს Reuters-ის ციტატას AstraZeneca-ს დირექტორთა საბჭოს წევრის, Ruud Dobber-ის სიტყვებით: „ეს უნიკალური სიტუაციაა, რომელშიც ჩვენ, როგორც კომპანიას, უბრალოდ არ შეგვიძლია ავიღოთ რისკი იმაზე, რომ ჩვენმა ვაქცინამ შეიძლება ოთხ წელიწადში აჩვენოს მოულოდნელი გვერდითი ეფექტი“.

<sup>25</sup> ამაზე მიუთითებს როტგაილის სამხარეო სასამართლო,

2023 წლის 6 დეკემბრის განაჩენში, 2 O 325/22, juris, Rn. 40: „[...] 2020 და 2021 წლების პოლიტიკური და უმეტესწილად, საზოგადოებრივი კონსენსუსის გამო, საჭირო იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად, ბაზარზე გამოსულიყო ვაქცინები კორონაპანდემიის შესაკავებლად. აღნიშნული მიღწევადი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ხანგრძლივი კვლევების გარეშე, რის გამოც ვაქცინის მწარმოებლების შესაძლო ხანგრძლივ შედეგებზე პასუხისმგებლობის რისკი და სარგებლობისა და რისკის ანალიზის რეტროსპექტიული შეფასება, გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ განვითარებულ მედიკამენტებზე“. საინტერესოა, რომ AstraZeneca-მ 2024 წლის 5 მარტს ევროკომისიას მიმართა Vaxzevria ვაქცინის ავტორიზაციის გაუქმების თხოვნით. იხილეთ 2024 წლის 27 მარტის გაუქმების გადაწყვეტილება, C(2024) 2239 final. სარგებლისა და რისკის ანალიზის მნიშვნელოვან დროით ჰორიზონტზე იხილეთ ზემოთ A.II..

<sup>26</sup> „იხ., მაგ., სონია ელაიას დეტალური ანგარიში 2022 წლის 12 სექტემბრიდან, "What the Leaked EMA Emails & Docs Reveal: Major Concerns with Pfizer C-19 Vaccine Batch Integrity and The Race to Authorize" უამრავი ელექტრონული ფოსტის ამონაწერებით: <https://childrenshealthdefense.eu/eu-affairs/what-the-leaked-ema-emails-docs-reveal-major-concerns-with-pfizer-c-19-vaccine-batch-integrity-and-the-race-to-authorize/> (ბოლოს ნანახია 27.5.2024).

საკმაოდ დიდსულოვნად გამოიყურება.<sup>27</sup>

გარდა ამისა, მაგალითად, **Pfizer-Biontech**-სთან გაფორმებული წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულება (APA) ითვალისწინებს იმასაც, რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ვალდებულება მოქმედებს მაშინაც, თუ მწარმოებლებს პასუხისმგებლობის დაზღვევა აქვთ (2 VI 1). **Moderna**-სთან გაფორმებული წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულება (APA) კი მწარმოებელს ავალდებულებს, რომ გააფორმოს პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, თუ შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა მსგავსი დაზღვევის ვალდებულებას ითვალისწინებს (2. IV. Liability). ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი კვლევების არარსებობას არ შეუშლია ხელი ევროკომისიისთვის 2022 წლის ოქტომბერში **Pfizer-Biontech**-ის ვაქცინის სრულად დამტკიცებისთვის, შესაბამისად, კომისიამ არ ჩათვალა, რომ ხანგრძლივი თანმდევი შედეგების რისკი იყო განსაკუთრებით მაღალი (და შესაბამისად, ბაზარზე არა დაზღვევადი).

ცალსახა არ არის, რამდენად შეესაბამება ევროკავშირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დებულებები ამჟამინდელ ბელგიურ სახელშეკრულებო კანონმდებლობას. ზოგიერთი ბელგიელი ადვოკატი ამ საკითხს პრობლემურად მიიჩნევს (კონფიდენციალურად გადმოცემული იურიდიული დასკვნის მიხედვით). ისი-

ნი ამტკიცებენ, რომ მწარმოებლებს აღარ ექნებათ ეფექტური და უსაფრთხო ვაქცინების მიწოდების სტიმული, და რომ მწარმოებლების მხრიდან მიწოდების ვალდებულება სუბსტანციის გარეშე წარმოიქმნება.<sup>28</sup> ეს არგუმენტი, გერმანული სამართლის მიხედვით, არ იქნებოდა მარტივად გასაზიარებელი. ამ დათქმის გასაკრიტიკებლად, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულება (APA) წარმოადგენს წინასწარ ფორმულირებულ სტანდარტულ პირობებს, რომლებიც დაექვემდებარებოდა უფრო მკაცრ სასამართლო კონტროლს კონტრაქტის პარტნიორების (სახელმწიფოების) სასარგებლოდ (კერძოდ: **Test of reasonableness of contents** გსკ-ის 307-ე პარაგრაფი). ნებისმიერ შემთხვევაში, ბელგიურ სამართალსა და ბელგიურ სასამართლოებში გადამწყვეტი იქნება, თუ როგორ შეაფასებს სასამართლო კორონავირუსის კრიზისის განსაკუთრებულობასა და დროით ჩარჩოებს. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თავად წევრი სახელმწიფოები არა, მაგრამ მათთან დაკავშირებული ევროკომისია, რომელიც ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA-ს) კვალიფიციური რჩევით მოქმედებდა, აკონტროლებდა პროდუქტის ხარისხს დამტკიცების პროცესში, და სწორედ მათი დამტკიცების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია წევრი სახე-

<sup>27</sup> „შეადარეთ ასევე „კომისიისა და წევრი სახელმწიფოებს შორის შეთანხმება წევრი სახელმწიფოების სახელით COVID-19 ვაქცინების შესყიდვისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“, კომისიის 2020 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების C/2020/4192 საბოლოო ვერსიიდან აბზაცი - „წინასწარი შესყიდვის შეთანხმებები და პირობები“: „ვაქცინის შესყიდვის ფასი, ასევე წინასწარ მიცემული დაფინანსების თანხა, გათვალისწინებული იქნება ფაბრიკაციის ხარჯების გამჭირვალედ შეფასებისას (რომელიც შესაძლებელი იქნება დამოუკიდებელი აუდიტის მხარდაჭერით), ასევე უკვე გაცემული რესურსების სხვა საჯარო წყაროებიდან. წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულების (APA) მიხედვით, მწარმოებელს შეუძლია მოითხოვოს საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტით მხარდაჭერილი მტკიცებულება, რომელიც ამ გადახდებით დაფინანსებულ აქტივობებს შეეხება“. აქ აშკარად არ არის ნახსენები პროდუქტის ხარისხი და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ფასის ფორმირების ფაქტორებად.“

<sup>28</sup> იხ. **das Tribunal de première instance francophone de**

**Bruxelles, section civile, Entscheidung vom 18.6.2021, 2021/48/C, S. 55, Tz. 56**, ევროკომისიის წინასწარი ნასყიდობის ხელშეკრულების (APA) 15.1 მუხლი **Astra-Zeneca**-ს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე (მოსარჩევეებს შორის არიან კომისია და 27 წევრი სახელმწიფო ერთ მხარეს და კომპანია მეორე მხარეს): «**Les clauses visant à limiter ou supprimer la responsabilité d'une partie à un contrat sont, en principe, valables et ce, même si elles sont initialement l'émanation d'une partie (voy. Liège, 19 octobre 1993, R.D.C., 1994, p. 702 à propos des contrats d'adhésion). [...]**»; ferner die indirekte Bestätigung S. 64, Tz. 77: "[...] Plus fondamentalement, un examen marginal de l' APA laisse apparaître qu'ASTRAZENECA tire également certains avantages de l'opération contractuelle - notamment en ce qu'elle apparaît assurée du remboursement de l'ensemble de ses coûts et couverte contre le recours d'un tiers qui aurait subi un dommage du fait de l'inoculation du vaccin (voy. les articles 9.1 et 14.1. de l'APA).”



ლმნიფოების მხრიდან ვაქცინის შეძენის ვალდებულება.

**II. ეროვნული კანონმდებლობა მწარმოებელთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ**

საბოლოოდ, წინასწარი შესყიდვის ხელშეკრულებაში (APA) დაფიქსირებული, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ვალდებულების ნამდვილობის საკითხი დღის წესრიგში არც დადგება. ერთი მხრივ, არ არსებობს მთავრობის პოლიტიკური ნება, რომ დებულების მოქმედება ეჭვქვეშ დააყენოს, ხოლო, მეორე მხრივ, და უმთავრესად, გერმანიის სახელმწიფომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ვალდებულებებიდან გამომდინარე რისკი ვაქცინის მსხვერპლებზე გადაიტანა, რითაც მწარმოებლები სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დაიცვა.

გერმანიის მთავრობის მიერ გაცემული დადგენილება, სახელწოდებით "სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილება" (MedBVSV), ათავისუფლებს კოვიდ-19 ვაქცინის მწარმოებლებს კორონა-კრიზისის პერიოდში რიგი უსაფრთხოების მოთხოვნებისგან, რაც გათვალისწინებულია მედიკამენტების შესახებ კანონში (AMG) (სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების 3 I პარაგრაფი (MedBVSV)).<sup>29</sup> აღნიშნულს განეკუთვნებიან:

- მედიკამენტების (განსაკუთრებით, ვაქცინების) ვადის გასვლის შემდეგ ბაზარზე განთავსების აკრძალვა (მედიკამენტების შესახებ კანონის 8 III პარაგრაფი),
- ვალდებულება რომ პრეპარატზე მინიმალური ინფორმაცია იყოს მარკირებული, პაკეტის დანართი იყოს შექმნილი და მოიცავდეს გამოყენების ინსტრუქციას, გვერდით მოვლენებსა და სამედიცინო პერსონალისთვის დამატებით "პროფესიულ

ინფორმაციას" (მედიკამენტების შესახებ კანონის მე-10, მე-11, მე-11ა პარაგრაფები).

- ვალდებულება, რომ ყოველი პარტია სახელმწიფო შემონმებას უნდა დაექვემდებაროს და აკრძალული იყოს ბაზარზე განთავსება შესაბამისი ცენტრალური ფედერალური ორგანოს (PEI) მიერ მისი გადამოწმების გარეშე (მედიკამენტების შესახებ კანონის 32 I პარაგრაფი),
- ვალდებულება, რომ მწარმოებლებს უნდა ჰქონდეთ დაზღვევა, რათა შესაძლო ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებზე რეაგირება არ გაუჭირდეთ (მედიკამენტების შესახებ კანონის 94-ე პარაგრაფი).

დადგენილების მიზანი, რომელმაც 2023 წლის 31 დეკემბერს ძალა დაკარგა, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში მთავრობის მიერ "შესაძლოდ სწრაფი" და "ცენტრალური" სამედიცინო მოთხოვნილების პროდუქტების, მათ შორის მედიკამენტების (ვაქცინების) მოპოვება იყო.<sup>30</sup> ბევრ გამონაკლისთან ერთად, დადგენილება მწარმოებლების პასუხისმგებლობას ზღუდავდა მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევებში, რაც განასხვავებდა გსკ-სგან, რომლის ბრალეული პასუხისმგებლობაც მარტივ გაუფრთხილებლობასაც მოიცავს, ასევე მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფისგან, რომელიც მწარმოებლებს, საფრთხის გამოწვევისთვის, პასუხისმგებლობას აკისრებს, თუ ვაქცინები, როგორც პანდემიის დროს მოხდა, მთავრობის მიერ იქნებოდა გავრცელებული და ზიანი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სწორედ იმით იქნებოდა გამოწვეული, რომ კომპანიებმა ისარგებლეს უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით სპეციალური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შემთხვევებით (სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების 3 IV პარაგრაფი (MedBVSV)).

მთავრობა დადგენილების გამოცემისას ვა-

<sup>29</sup> სამედიცინო საჭიროებების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის 2020 წლის 25 მაისის განკარგულება SARS-CoV-2 კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიის დროს" (Ordinance to ensure the supply of medical supplies to the population during the epidemic caused

by the SARS-CoV-2 coronavirus).

<sup>30</sup> იხ. გერმანიის ფედერალური ჯანდაცვის სამინისტრო, <https://www.bundesgesundheitsministerium.de/service/gesetze-undverordnungen/guv-19-lp/medbvsv>, ბოლოს ნანახია 27.5.2024.

რაუდობდა, რომ ამით მწარმოებლების "ფუნდამენტური პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება" მოხერხდებოდა.<sup>31</sup> ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ მწარმოებლებს, მიუხედავად კოვიდ-19 ვაქცინების ხანგრძლივი კვლევების არარსებობის გამო არსებული განსაკუთრებული საფრთხის მდგომარეობისა, პასუხისმგებლობა დაზღვეული არ ჰქონდათ. რეგულაციის ტექსტი არ უზრუნველყოფს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ასეთი ფართო გამოყენების შესაძლებლობას.<sup>32</sup> მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლები პარტიის გარკვეული შემომწმების<sup>33</sup> პასუხისმგებლობისგან შესაძლოა გათავისუფლდნენ, თუმცა ეს არ გულისხმობს, მაგალითად, მოდიფიცირებული RNA ტექნოლოგიის მიზეზით გამონეული ავტოიმუნური რეაქციების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. საბოლოო ჯამში, იმ შემთხვევებში, როდესაც ვაქცინაცია ტარდება პაკეტის დანართისა და სპეციალური ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში, დაზარალებულის ინფორმირება შესაძლო რისკების შესახებ ისეთ დონეზე მაინც უნდა მომხდარიყო, რომ მას შეეძლებოდა თავი შეეკავებინა აცრის გაკეთებისგან. საბოლოოდ, უნდა დაველოდოთ (სასამართლოს მხრიდან) კანონმდებლობის ინტერპრეტაციას.<sup>34</sup> ვაქცინისგან დაზარალებულებისთვის მთავარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობისგან მწარმოებლების გათავისუფლების ნორმა, არამედ თავად პასუხისმგებლობის სამართალიც.

## D. შერჩეული პრობლემები გერმანული

<sup>31</sup> გერმანიის ფედერალური ჯანდაცვის სამინისტროს 2020 წლის 6 აპრილის ტექსტის ჩარჩო სამედიცინო მოთხოვნების უზრუნველყოფის დადგენილებასთან მიმართებით გვ. 12.

<sup>32</sup> ასევე Heiden, „Haftung und Entschädigung bei Corona-Impfungen“, Neue Juristische Wochenschrift 2022, 3737, 3741: „პასუხისმგებლობის სრული გამორიცხვა“ არ არის რეგლამენტის ტექსტით გათვალისწინებული. სხვა მოსაზრება აქვს ვოიტს, რომელიც მან გააჟღერა მის ზეპირსიტყვიერ „მარბურგის ფარმაციის სამართლის საუბრები“-ს 25-ე მოხსენებაში, ტაგუნგსბერისტში, PharmR 2022, 469, 470, არაგასაზიარებელი საფუძვლით, რომ COVID-19 ვაქცინები „მედიკამენტების შესახებ კანონისგან გადახვევით იყო დაშვებული“.

<sup>33</sup> ფედერალური მთავრობის ინფორმაციით, რომელიც

## სამართლის მიხედვით

მედიკამენტების პასუხისმგებლობის გერმანული სამართალი კოვიდ-19-ის ვაქცინით დაზარალებულებისთვის განსაკუთრებით ორ საკითხში ქმნის სირთულეებს, რომელთაც აქ უფრო დეტალურად განვიხილავ: თავად პროდუქტის წუნის ცნება (I.) და მიზეზობრივი კავშირის მტკიცება (II.).

### I. პროდუქტის წუნის ცნება

სამართლებრივი შეფასების ნაწილში შენიშვნები მაქვს, როგორც ვაქცინების ფიზიკური მდგომარეობის (კონცეფციის ან ფაბრიკაციის წუნი), ასევე მისი გამოყენების შესახებ მომხმარებლის ინფორმირების ნაკლებობის (ინფორმაციის წუნი) კუთხით.

#### 1. კონცეფციის ან ფაბრიკაციის წუნი

როგორც უკვე აღინიშნა, მედიკამენტი ან ვაქცინა წუნდებულია, თუ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას მას აქვს მავნე ზემოქმედება, რომელიც აღემატება მედიცინის მეცნიერების ცოდნის მიხედვით დასაშვებ ნორმას (მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფი), სადაც მავნე ზემოქმედება შეიძლება კონსტრუქციის ან ფაბრიკაციის წუნით იყოს გამოწვეული.

#### ა) საერთო სარგებლისა და რისკის შეპირისპირების პრინციპი

მიწოდდა პარტია „გერმანიის ალტერნატივის“ (AfD) ფრაქციას, (ყოველ შემთხვევაში „Comirnaty“ ვაქცინის შემთხვევაში) პარტიის შემომწმება მწარმოებლისთვის იყო მინდობილი. გერმანიის შემომწმებელი ორგანო კმაყოფილდება იმით, რომ ამ ტესტირების შედეგები შეესაბამება „დადგენილ სპეციფიკაციებს“. (Bundestag-Drucksache 20/9033 vom 31.10.2023, „Kontaminationen des COVID-19-Impfstoffs Comirnaty mit Desoxyribo-nukleinsäure“, S. 2).

<sup>34</sup> მჭიდრო განმარტების სასარგებლოდ Oberlandesgericht Bamberg, Hinweisbeschluss vom 14.8.2023 – 4 U 15/23e, juris, Rn. 9: სამედიცინო მოთხოვნების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 IV პარაგრაფის შემთხვევაში საკითხი „არ ეხება ზოგადი პასუხისმგებლობის შეზღუდვას.“

მთავარი კითხვაა, თუ რა მავნე ზემოქმედება არის „დასაშვები“. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ზოგადი მოსაზრებით, საჭიროა სარგებლისა და რისკის შეპირისპირება.<sup>35</sup> ამისთვის საკმარისია, მედიკამენტის გამოყენების ყველა პოტენციური შემთხვევის ერთობლივი შეფასება,<sup>36</sup> მსგავსად იმისა, როგორც ამას ნამლის კონტროლის სამსახური აკეთებს ნებართვის გაცემის გადაწყვეტილების მიღების დროს.

თითოეული შემთხვევის კონკრეტული შედეგების შეფასება ხდება მხოლოდ ინფორმაციის ვალდებულებების დონეზე (ქვემოთ 2.). ერთობლივი შეფასების პერსონალური ფარგლები შეესაბამება „ფარმაცევტული კომპანიის მიერ ინდიკაციური მონაცემებით დადგენილ სამიზნე პაციენტების რაოდენობას“.<sup>37</sup> პროფესიულად, შეფასება ხდება „სამედიცინო სამეცნიერო ცოდნის“ საფუძველზე.<sup>38</sup> რამდენადაც ლიტერატურასა და სამართალში „დარწმუნებული“ სამეცნიერო ცოდნა მოითხოვება,<sup>39</sup> სამეცნიერო ცოდნის დონესთან მიმართებით აუცილებლად გავალისწინებული უნდა იყოს ის გაურკვევლობებიც და რისკებიც, რომლებსაც გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამიტომ, მაგალითად, როგორც კოვიდ-19-ის ვაქცინების შემთხვევაში, როცა ჯერ კიდევ არაფერი არ არის ცნობილი გრძელვადიან შედეგებზე, გრძელვადიანი ზიანის შესაძლებლობა არ უნდა იყოს სრულიად უგულებელყოფილი. იგივე ეხება შესაძლო ზიანს ორსულებისა და ნაყოფისთვის, რომელიც კოვიდ-19-ის ვაქცინების ლიცენზირების კვლევებში არ იყო შესწავლილი. თუ საერთო სარგებელი ყველა სხვა ჯგუფისათვის გადანონის მოცემულ რისკებს, მედიკამენტი არ ითვლება ნუნდებულად, თუმცა მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს შესაძლო ზიანის შესახებ.

მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის მიხედვით ჩატარებული საერთო სარგებლისა და რისკის ანალიზი, რომელიც „ზიანის დასაშვებადობის“ მახასიათებელს მოიცავს, მიემართება ნამლის ნებართვის ორგანოების კანონით განსაზღვრულ სტანდარტს. მედიკამენტების შესახებ კანონის 25 II 1 Nr. 5 პარაგრაფის მიხედვით, შესაბამისი ფედერალური ზემდგომი ორგანო „ნებართვას არ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ [...] 5. სარგებლისა და რისკის თანაფარდობა არახელსაყრელია [...]“. მედიკამენტების შესახებ კანონის 4 Nr. 28 პარაგრაფის მიხედვით, სარგებლისა და რისკის თანაფარდობა მოიცავს „მედიკამენტის დადებითი თერაპიული ეფექტების შეფასებას 27a პუნქტთან დაკავშირებულ რისკებთან.“

საერთო შეფასებით, მედიკამენტების პასუხისმგებლობის კანონის რეგულირების კონცეფცია განსხვავდება ტექნიკური პროდუქტებისა (და საკვებისთვის) მოქმედი ზოგადი პროდუქტის პასუხისმგებლობის კანონისგან, რომელთა მიზანიც ასევე მომხმარებლის დაცვაა. იქ პროდუქტის ნუნი განისაზღვრება მომხმარებლის უსაფრთხოების საფუძვლიანი მოლოდინების მიხედვით (შდრ. პროდუქტზე პასუხისმგებლობის კანონის 3 I პარაგრაფი). რისკები, რომლებიც პროდუქტის ტექნიკური ფუნქციის აუცილებელი (გვერდითი) შედეგია (მაგალითად, ხორცის საჭრელი დანით გამოწვეული დაზიანების რისკი), მოსალოდნელ შედეგს განეკუთვნება. ამის საპირისპიროდ, დაუშვებელია პაციენტის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ან იმ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც, მეცნიერებისა და ტექნიკის მოცემული მდგომარეობით, არ გამომდინარეობს იმ აუცილებელი (ლეგიტიმურ) ფუნქციისგან, რომლისთვისაც ეს პროდუქტი ბაზარზეა ჩაშვებული. პროდუქტის

<sup>35</sup> მაგ. *Franzki* in: *Beckscher Online-Großkommentar (BeckOGK)*, AMG § 84 Rn. 83 (1.2.2024).

<sup>36</sup> იხ. *Landgericht Rottweil, Urteil vom 6.12.2023, 2 O 325/22, juris, Rn. 29*. კერძოდ, *Pfizer/Biontech*-ის კოვიდ-19 ვაქცინა „*Comirnaty*“-ს შესახებ: „სარგებლობისა და რისკის შეპირისპირება აბსტრაქტულ-ზოგად ხასიათს ატარებს, რაც ნიშნავს, რომ ის უნდა ჩატარდეს მედიკამენტის მთელი სამიზნე ჯგუფის მიხედვით და არ უნდა დაეყრდნოს კონკრეტული პაციენტის ინდივიდუალურ გარემოებებს“, სამართლებრივი პრაქტიკიდან და ლი-

ტერატურიდან შესაბამისი მითითებებით; ასევე „*Comirnaty*“-ს შესახებ იხ. *Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 41*.

<sup>37</sup> *Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 41, zum Corona-Impfstoff „Comirnaty“*.

<sup>38</sup> მაგ. *Franzki* in: *BeckOGK*, AMG § 84 Rn. 90 (1.2.2024).

<sup>39</sup> მაგ. *Brock* in: *Kügel, Müller und Hofmann, AMG, 3. Auflage 2022, § 84, Rn. 85*. მას მოჰყვა - *das Landgericht Rottweil, Urteil vom 6.12.2023, 2 O 325/22, juris, Rn. 29, zum „Comirnaty“-Impfstoff von Pfizer/Biontech*.

მოსალოდნელი უსაფრთხოების დონე არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის სარგებლობაზე და ვერ გამოდგება პროდუქტის რისკების კომპენსირებისთვის.

რა არის ნუნის ცნების კონცეპტუალური განსხვავების მიზეზები? მედიკამენტებზე ზედამხედველობითი ლიცენზირების საჭიროება, რომელსაც ემატება პროდუქტის პასუხისმგებლობისთვის პრევენციული სახელმწიფო კონტროლი, გვხვდება ასევე ზოგიერთი ტიპის ტექნიკურ პროდუქტებთან მიმართებით, მაგალითად, გზისა და საჰაერო ტრანსპორტის სპეციალურ კანონებშიც. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პროდუქტებთან მიმართებით, როგორც ყველა სხვა ტექნიკურ პროდუქტთან პასუხისმგებლობის საკითხში, (საერთო) სარგებლისა და რისკის შეპირისპირების სისტემა არ გამოიყენება.

ასევე მოკლედ უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური პროდუქტებით გამოწვეული სხეულის დაზიანებები, ხშირად გამოწვეულია ადამიანის სხეულზე გარე მექანიკური ზემოქმედებით (მაგალითად, შეჯახების დროს უსაფრთხოების ქაბრიან ან ეარბაგის გამო), მაშინ როცა მედიკამენტები მოქმედებენ შიგნიდან და ბიოლოგიურ-მედიცინის ზემოქმედების კომპლექსურობიდან გამომდინარე, მათი შესაძლო ზიანის პროგნოზირება განსაკუთრებით რთულია. გარდა ამისა, ტექნიკურ პროდუქტებს შეუძლიათ სხეულში შეღწევა, მაგალითად, ელექტრომაგნიტური ველებით ან გამოსხივებით, ან მონამვლით. აღსანიშნავია, რომ საკვები პროდუქტები, რომლებიც მედიკამენტების მსგავსად შიგნიდან მოქმედებენ, ემორჩილებიან იგივე წესებს, რომლებსაც ტექნიკური პროდუქტები.

განსხვავება, სავარაუდოდ, მდგომარეობს იმაში, რომ საერთო სარგებლისა და რისკის შეპირისპირება მოითხოვს ობიექტურ განხილვას, რისთვისაც მედიკამენტები განსაკუთრებით შესაფერისია. მედიკამენტებს, განსხვავებით ტექნიკური პროდუქტებისგან, აქვთ მხოლოდ ერთი ფუნქცია – ჯანმრთელობის დაცვა ან აღდგენა და ფიზიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება. შესაბამისად, ჯანდაცვის სფეროში პროდუქტების სარგებელი უფრო მარტივად (კონკრეტულად) განისაზღვრება, ვიდრე სხვა

სფეროებში, სადაც სხვადასხვა ინტერესები მოქმედებს. ეს შესაძლებელს ხდის გამოყენებულ იქნეს სარგებლისა და რისკის ზეგავლენის შეფასება.

ტექნიკურ პროდუქტებთან დაკავშირებით ვითარება განსხვავებულია. მათი გამოყენების მიზნები და ფუნქციები მრავალფეროვანი და უსაზღვროა. თუმცა მწარმოებლებმა (რამდენადაც ეს შესაძლებელია) თავიდან უნდა აიცილონ ის რისკები, რომლებიც არ არის მათი ფუნქციით გამოწვეული. თუმცა, ლიბერალურ საზოგადოებაში, სამართლებრივ წესრიგს, ძირითადად, არ აქვს უფლება მათი სარგებლიანობა, რომელიც მომხმარებელმა შეიძლება განსხვავებულად აღიქვას, ობიექტურად შეაფასოს და მოახდინოს მისი შენონვა ფუნქციით გამოწვეულ, გარდაუვალი ზიანის რისკებთან. ეს არასწორი იქნებოდა, რადგან პროდუქტის ფუნქციები, რისთვისაც ისინი იწარმოება, ძირითადად, თავისუფლად ასარჩევია და სარგებლისა და რისკის სელექტიური შეფასება არა მხოლოდ მწარმოებელს, არამედ თითოეულ მომხმარებელს, მათი ინდივიდუალური სარგებლისა და რისკის პრეფერენციებით აბალანსებს. მწარმოებლის მხრიდან პროდუქტის ფუნქციით გამოწვეულ, გარდაუვალ რისკებთან მიმართებით ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები და პროდუქტის უსაფრთხოება, როგორც კონკურენციის კრიტერიუმი და გაყიდვის არგუმენტი, საკმარისი უნდა იყოს მომხმარებელთა დაცვისთვის. შესაბამისად, ფუფუნების საგნებთან მიმართებით, როგორცაა მაგალითად, ბრჭყვიალა ნივთები (მაგ., ქაიტსერფინგის ქოლგა), მიუხედავად მათი შედარებით ნაკლები გამოყენებადობისა, მათი უსაფრთხოების დონე არ შეიძლება იყოს იმაზე დაბალი, ვიდრე პირველადი მოხმარების პროდუქტის (მაგალითად, სარეცხი მანქანა).

საბოლოოდ, ტექნიკური პროდუქტებისა და მედიკამენტების მიმართ განსხვავებული მიდგომა დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. სარგებლისა და რისკის შეპირისპირება ჯანმრთელობის სფეროში შეიძლება უფრო ადვილად ობიექტივიზირებადი იყოს, ვიდრე სხვა პროდუქტებში, რადგან სასწორის ორივე მხარეს ჯანმრთელობაა. თუმცა, არსებობს ტექნიკური

პროდუქტები, რომელთა სარგებელიცა და რისკიც ერთი და იმავე სამართლებრივ სიკეთეებს უკავშირდება (მაგალითად, საკუთრება ცეცხლმაქრებთან მიმართებით), ამიტომაც მათი ობიექტური შეფასება შესაძლებელია (აღნიშნულის დადებითი მხარეების მტკიცება არ მოხდება). მეორე მხრივ, მედიკამენტებთან მიმართებითაც შეიძლება გაჩნდეს კითხვები მათ სარგებლობასთან დაკავშირებით, და მათი უპირატესობის შეფასებაც გარკვეულწილად სუბიექტურ პრეფერენციებზე იყოს დამოკიდებული. მაგალითად, კოვიდ-19-ის ვაქცინების შემთხვევაში, ერთი ადამიანისთვის, შეიძლება, დროებით დაავადების გადაცემის რისკისგან მისი ჯანმრთელობის დაცვა გვერდითი ეფექტების რისკთან შედარებით უფრო ღირებული იყოს, ხოლო მეორესთვის – არა.<sup>40</sup> ამ კონცეფციებს შორის კიდევ ერთი პარალელი არსებობს: პროდუქტზე პასუხისმგებლობის კანონის მოქმედების სფეროში თავისთავად არსებობს სახიფათო მასობრივი პროდუქტები, როგორებიცაა ავტომობილები და თამბაქოს პროდუქტები, რომლებიც სტატისტიკურად დაკავშირებულნი არიან განჭვრეტად, უზარმაზარ, ინდივიდუალურ და საერთო ეკონომიკურ ზიანთან. მსხვერპლის თვალსაზრისით, ასეთი პროდუქტები შეიძლება ნუნდებულად შეფასდეს. სასამართლო პრაქტიკა ამას უარყოფს – საბოლოოდ, ალბათ სწორადაც, მაგრამ ნაკლებ გამჭვირვალედ – „სოციალური ადეკვატურობის“ რისკის არგუმენტი.<sup>41</sup> აღნიშნული სხვა არაფერია, გარდა ღირებულებითი გადაწყვეტილებისა, სადაც (საერთო) სარგებლისა და რისკის შეპირისპირების ნიშნები იკვეთება. ამის საპირისპიროდ, მედიკამენტების პასუხისმგებლობის სარგებლისა და რისკის შეპირის-

სპირებაც საბოლოოდ „სოციალური ადეკვატურობის“ ცნებას უკავშირდება.<sup>42</sup> ამ მოსაზრებას აქ აღარ განვავრცობთ.

## ბ) კონცეფციისა და ფაბრიკაციის ნუნის გამიჯვნა

მეორე შენიშვნა ეხება კონცეფციისა და ფაბრიკაციის ნუნის გამიჯვნას მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის ფარგლებში. კონცეფციის ნუნთან დაკავშირებით შენონვადი საერთო შეფასება, ბუნებრივია, მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს, როდესაც საქმე ეხება ყველა პროდუქტის ერთნაირ ნაირსახეობას. ფაბრიკაციის ნუნი, რომლებიც, ფაბრიკაციის პროცესიდან წარმოშობილ, ხარისხიდან გადახრას წარმოადგენენ ინდივიდუალური შემთხვევებისთვისაა დამახასიათებელი („გამონაკლისები“) და სამართლებრივ მნიშვნელობას იღებს მაშინ, თუ პროდუქტის კონსტრუქცია, როგორც ასეთი, არ არის ნუნდებული, და შესაბამისად, ძნელად შეიძლება მოხდეს მთელი პროდუქტის საერთო შეფასება მხოლოდ ამ ერთი შეცდომის გამო. ასეთ ნუნთან მიმართებით საკითხი შეიძლება მხოლოდ იმას ეხებოდეს, (დასაშვები კვალიფიცირებული) პროდუქტის ნორმიდან გადახვევა ჯერ კიდევ შეესაბამება თუ არა დასაშვებ ნორმას. ძირითადად ეს კითხვა უარყოფილია, როდესაც გადახვევა ინვევს ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანებას, რაც ჩვეულებრივ, ფაბრიკაციის პროცესის სტანდარტების მიხედვით არ უნდა ყოფილიყო. ეს ეხება, მაგალითად, იმას, რომ გარკვეული ვაქცინის პარტიებში უფრო მეტი შეტყობინებები იყო ვაქცინასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ.<sup>43</sup>

<sup>40</sup> გამოცდილება, რომ ვაქცინაციისკენ ნახალისებულ ადამიანთა დიდი ნაწილისთვის, არავაქცინირებული პირების მიმართ კანონმდებლის მიერ შექმნილი ზენოლის ფონზე, სარგებლობისა და რისკის შეპირისპირებას კიდევ სხვა, ჯანმრთელობის დაცვაზე ბევრად უფრო შორსმიავალი განზომილება ჰქონდა, სხვა საკითხს წარმოადგენდა.

<sup>41</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით *Goehl*, in: *BeckOGK, ProdHaftG § 3, Rn. 34 (1.9.2023)*.

<sup>42</sup> პირდაპირ მაგალითისთვის: *Landgericht Hannover, Ur-*

*teil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 41*: „ჩამნაცვლებლად შეფასებულია ისეთი დაზიანებები, რომლებიც სარგებლისა და რისკის შეპირისპირების მიხედვით შეიძლება სოციალურად ადეკვატურად ჩაითვალოს“.

<sup>43</sup> იხ. მაგ., გერმანული იურიდიული ფირმა *Rogert & Ulbrich*-ის ტვიტები X-ზე (ყოფილი *Twitter*), რომელიც სპეციალიზებულია ვაქცინაციის მსხვერპლთა წარმომადგენლობაზე და მათი თქმით, ასობით საქმეს უძღვებიან. იქ ისინი ყურადღებას ამახვილებენ თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოჩენილი ვაქცინის პარტიების შესახებ. მაგალითად:

სხვაგვარად გამოიყურება საქმე, როდესაც ფაბრიკაციის პროცესი თვითონვე წუნდება. ანუ თავიდანვე არსებობს გარკვეული, არაგამტყუნებადი ალბათობა, რომ მედიკამენტებს აქვთ არასასურველი, ანუ მავნე თვისებები. კოვიდ-19 ვაქცინების შემთხვევაში ამის მაგალითია ის რომ, მასობრივი ფაბრიკაციისთვის გამოყენებული ფაბრიკაციის პროცესი („პროცესი 2“, იხილეთ ზემოთ C.I.) არ არის იდენტური ხარისხობრივად უკეთეს, გაცილებით რთულ და ძვირადღირებულ ფაბრიკაციის პროცესთან, რომელიც ლიცენზიის კვლევების საფუძველს წარმოადგენდა („პროცესი 1“). აღნიშნულის შესახებ ევროპის მედიკამენტების სააგენტოსთვის (EMA) ცნობილი იყო პირობითი ლიცენზიის გაცემის გადაწყვეტილების მიღებამდე და ანგარიშში, რომელიც 2020 წლის 19 ნოემბერს, ანუ ლიცენზიის გაცემამდე რამდენიმე კვირით ადრე გამოქვეყნდა, ისინი „მნიშვნელოვან ნინალმდეგობებს“ შეიცავდნენ. რეალურად, მეორე პროცესით („პროცესი 2“) წარმოებული

ვაქცინები შეიცავენ ბაქტერიული დნმ-ის ნაწილაკების მინარევებს, რომელთა მასშტაბი და საფრთხის ხარისხი, რა თქმა უნდა, სადავოა.<sup>44</sup> ასეთ შემთხვევაში, ფაბრიკაციის პროცესის რისკები ლოგიკურად, პროდუქტის სარგებლისა და რისკის შეპირისპირებაში უნდა იყოს გათვალისწინებული. კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ფაბრიკაციის ორი პროცესის არჩევანთან გვაქვს საქმე, უნდა ვიკითხოთ, უფრო უსაფრთხო ფაბრიკაციის პროცესთან („პროცესი 1“) შედარებით მასობრივ პროცესთან („პროცესი 2“) დაკავშირებულ გაზრდილ რისკებს აქვს თუ არა შესაბამისი საერთო სარგებელი, მაგალითად, ვაქცინის სწრაფი ხელმისაწვდომობის სახით. mRNA-ვაქცინების მწარმოებლების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობა ჯერ არ ყოფილა.

### გ) სარგებლისა და რისკის შეპირისპირების პერსონალური განხილვის სფერო

<https://x.com/AnwaltUlbrich/status/1705141876804739362> („Thema heute: "Top10 - der schwerwiegendsten Moderna #Impfungen mit #Spikevax in der Kanzlei Rogert & Ulbrich"“) (übersetzt: „Today's topic: "Top10 - the most serious Moderna #vaccinations with #Spikevax at the law firm Rogert & Ulbrich"“). ამასთან დაკავშირებით, ალექსანდერ ვალაშის ინტერვიუ ვირუსოლოგ და იმუნოლოგ ულრიკე კემერთან, 2023 წლის 28 ნოემბერი, <https://www.epochtimes.de/gesellschaft/anwaelte-enthuelen-die-45-gefaehrlichsten-mrna-impfstoffchargenprof-kaemmerer-was-geimpfte-beachten-sollten-a4496179.html>. ასევე იხილეთ ქიმიის პროფესორების იორგ მატინიკის (ლაიპციგი), გერალდ დაიკერის (ბოხუმი), ანდრეას შნეფის (ტიუბინგენი), ტობიას უნრუჰის (ერლანგენი) და მარტინ ვინკლერის (ციურხი) წერილი, რომელიც გაგზავნილია Biontech-ის მწარმოებლის ზედამხედველობის პასუხისმგებელ ორგანოსთვის (რაინლანდ-პფალცის ფედერალური მინის სოციალური, ახალგაზრდობისა და უზრუნველყოფის სახელმწიფო სამსახური) 2023 წლის 5 ივლისს, სათაურით: „Unterschiedliches Nebenwirkungsprofil bei Chargen des Arzneimittels Comirnaty von BioNTech Manufacturing GmbH“ ([https://impfen-werwill.de/application/files/5016/8873/9638/Brief\\_AufsichtKobl.pdf](https://impfen-werwill.de/application/files/5016/8873/9638/Brief_AufsichtKobl.pdf)); siehe schließlich die (etwas unübersichtliche) Impfstoffchargen-Dokumentation auf der Seite <https://howbadismybatch.com/>.

monovalent and bivalent Pfizer/BioNTech and Moderna mRNA COVID-19 vaccines from Ontario, Canada: Exploratory dose response relationship with serious adverse events, preprint 2023, <https://osf.io/preprints/osf/mjc97>. Die Entdeckungen von Speicher, McKernan et al. wurden in Deutschland bestätigt von Brigitte König. Hierzu Brigitte König and Jürgen O. Kirchner, Methodological Considerations Regarding the Quantification of DNA Impurities in the COVID-19 mRNA Vaccine Comirnaty, *Methods Protoc.* 2024, 7(3), 41, <https://doi.org/10.3390/mps7030041>; siehe auch Cullen und Stahl, „Verunreinigung der COVID-19-modRNA-Impfstoffe mit Plasmid-DNA“, *Tichys Einblick*, Beitrag vom 8.3.2024, m.w.N., <https://www.tichys-einblick.de/gastbeitrag/verunreinigung-der-covid-19-modrnaimpfstoffe-mit-plasmid-dna/>; ferner das Interview der Epoch Times Deutschland mit Jürgen Otto Kirchner vom 24.10.2023, „EMA-Bericht enthält ‚schwere Einwände‘ zu BioNTech-Impfstoff“, <https://www.epochtimes.de/politik/deutschland/interview-mit-dr-kirchner-ema-bericht-enthaelt-schwereeinwaende-zu-biontech-impfstoff-a4445871.html>; dazu auch Tinari, The EMA covid-19 data leak, and what it tells us about mRNA instability, 10 March 2021, *BMJ* 2021;372:n627, <http://dx.doi.org/10.1136/bmj.n627>. Kritisch gegenüber den Vorwürfen hingegen das (auch von der Regierung finanzierte) „Faktencheck“-Portal Correctiv (<https://correctiv.org/faktencheck/2024/02/29/angebliche-belege-zu-dna-verunreinigungen-in-mrnaimpfstoffen-gegen-covid-19-wissenschaftlich-nicht-haltbar/>).

<sup>44</sup> ib. Speicher, McKernan et al., DNA fragments detected in

მომდევნო საკითხი, რომელიც ვაქცინისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევებში მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის გამოყენებასთან არის დაკავშირებული, შეეხება იმ გარემოებას, რომ ხდება ვაქცინის ყველა პოტენციური მიმღების საერთო შეფასება. თუმცა, კოვიდ-19-ით წარმოქმნილი საფრთხის ხარისხი ადამიანებისთვის, უდავოდ, მეტწილად დამოკიდებულია მათ ასაკზე. ახალგაზრდები, რომლებსაც არ ჰქონდათ თანმდევი დაავადებები, თითქმის არ იყვნენ საფრთხის ქვეშ. ამის საპირწონედ, სერიოზული გვერდითი მოვლენების რაოდენობა, განსაკუთრებით მიოკარდიტის სახით, ახალგაზრდა ზრდასრულებში აშკარად მაღალი იყო. ასეთ არაერთგვაროვან მიმღებთა ჯგუფში უფრო შესაბამისი იქნებოდა სხვადასხვა სარგებლისა და რისკის შეპირისპირების დანერგვა, გვერდითი მოვლენების სტატისტიკაში აღიარებული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რატომ უნდა მოუწიოთ ვაქცინით დაზარალებულ ახალგაზრდებს ან ბავშვებს სიცოცხლეში პასუხისმგებლობის აღება იმისთვის, რომ ვაქცინა გადაარჩინს განსაკუთრებით ხანდაზმულ ადამიანთა სიცოცხლეს და, შესაბამისად, მთლიანობაში იგი სარგებლიანია? ჯგუფების დამატებითი დიფერენციაციები წინასწარი მდგომარეობებისა და რისკების მიხედვით, შესაძლოა, მიზანშეწონილი და სასარგებლო იყოს, მაგალითად, ორსულებში ან გარკვეული თანმდევი დაავადებების მქონე პირებში. ეტაპობრივად გაფართოებული, უკვე პატარა ბავშვებზეც გავრცელებული ვაქცინაციის რეკომენდაციებით, მუდმივმა ვაქცინაციის კომისიამ

(STIKO), მთავრობის მიერ შექმნილმა და, შესაბამისად, დამოკიდებულმა (თუმცა, ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის მინისტრის მიერ თითქმის მთლიანად შეცვლილმა) ექსპერტთა ჯგუფმა, ასეთ მოსაზრებებს საფუძველი გამოაცალა. სამოქალაქო სასამართლოები მტკიცედ ეყრდნობიან მუდმივი ვაქცინაციის კომისიის (STIKO-ს) რეკომენდაციებს,<sup>45</sup> რაც ფორმალური თვალსაზრისით უსამართლოდ არ გამოიყურება. რობერტ კოხის ინსტიტუტი, რომელიც ექვემდებარება ფედერალურ ჯანდაცვის სამინისტროს და წარმოადგენს „გადამდები დაავადებების პრევენციის, აგრეთვე ინფექციების ადრეული გამოვლენისა და გავრცელების პრევენციის ეროვნულ უწყებას“ (ინფექციური დაავადებების პრევენციის კანონის 4 I 1 პარაგრაფი), მას „მედიცინის სტანდარტად“ მიიჩნევს.<sup>46</sup>

#### დ) ლიცენზიის ორგანოს მითითება სარგებლისა და რისკის შეპირისპირებაზე

##### აა) სამართლებრივი შეფასება

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სამოქალაქო სასამართლოები ვაქცინასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებში უგამონაკლისოდ თავს არიდებენ სარგებლისა და რისკის ანალიზს (და ამისათვის საჭირო მტკიცებულებების მიღებას, მათ შორის ექსპერტების დასკვნებს). როდესაც ასეთი შეფასება საჭირო, ისინი მის ნაცვლად მოიხმობენ ევროპის მედიკამენტების სააგენტოს ადმინისტრაციულ სარგებლისა და რისკის შეპირისპირებას,<sup>47</sup> ისე, რომ ევროპული კანონმდებლობა აღნიშნულს სულაც არ ავალდებულებს.<sup>48</sup> მხოლოდ ისეთ

<sup>45</sup> Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 44.

<sup>46</sup> ციტირებულია: Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 44.

<sup>47</sup> განსახვავებული მოსაზრებები ამ საკითხზე მხოლოდ მიუნხენგლადბახის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ, 2023 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით (1 O 25/23, juris). ამ საქმეში სასამართლოს არ მოუწია მტკიცებულების მოპოვების პროცესში მიელო მონაწილეობა. საქმეში მოსარჩელემ წარმატებით უჩივლა თავის სამართლებრივი დაცვის დაზღვევას,

რათა დაედგინა დაზღვევის ვალდებულება მწარმოებლის წინააღმდეგ კომპენსაციის საქმის დაფინანსებაზე. მიუნხენგლადბახის რაიონული სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ განხილვის საგნად ქცეული ვაქცინა სხვა ხელმისაწვდომ ვაქცინებთან შედარებით „(აშკარად) მომატებულ გართულებათა რისკს“ აჩვენებს, მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის შესაბამისად „პასუხისმგებლობის პროცესში დასკვნითი შეფასება“ ექსპერტის ჩართვის გარეშე შეუძლებელი იქნება.

<sup>48</sup> იხ. (კონსოლიდირებული) რეგულაციის (EG) 726/2004,

ახალ აღმოჩენილ გარემოებებს აძლევს დამოუკიდებელ შეფასებას, რომელთა გათვალისწინებაც ადმინისტრაციულ ორგანოს თავის დროზე არ შეეძლო.

ბამბერგის სააპელაციო სასამართლო, რომელსაც უნდა განეხილა თრომბოციტოპენიის სინდრომის რისკი AstraZeneca-ს კოვიდ-19 ვაქცინის შედეგად, ამტკიცებს, რომ მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 1, 2 Nr. 1 პარაგრაფის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამოირიცხება, თუ გასაჩივრებული გვერდითი მოვლენა უკვე ცნობილი იყო მედიკამენტის ლიცენზიის გაცემის დროს და მან ლიცენზიის გაცემას ხელი არ შეუშალა.<sup>49</sup> თრომბოციტოპენიის სინდრომის შემთხვევაში ეს ასე იყო.<sup>50</sup> მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს ჰანოვერის სამოქალაქო სასამართლო: პასუხისმგებლობის ნორმის დაცვის მიზანი „საბოლოოდ პასუხისმგებლობას ადგენს იმ შემთხვევებზე, როდესაც მავნე და გაუმართლებელი მოვლენები ლიცენზიის პრო-

ცესში უკვე ცნობილი იქნებოდა და მედიკამენტების შესახებ კანონის 25 II Nr. 5 პარაგრაფის მიხედვით ლიცენზიის გაცემას გამოირიცხავდა“.<sup>51</sup> იმ „მავნე“ მედიკამენტების ზემოქმედებას, რომლებიც მედიკამენტის ლიცენზიის განხილვის ფარგლებში დასაშვები იქნებოდა, არ შეუძლიათ მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის გამონვევა.<sup>52</sup>

ფრთხილი მიდგომით გამოირჩევა როტვეილის საქალაქო სასამართლო, რომელიც ითვალისწინებს ნებართვის გამცემი ორგანოს შეცდომის შესაძლებლობას.<sup>53</sup> მედიკამენტების მავნე ზემოქმედებებს, რომლებიც ფართომასშტაბიანი სამკურნალო საშუალებების ნებართვის შემონმების ფარგლებში „სწორად იქნა შეფასებული, როგორც დასაშვები“, შეუძლიათ „მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიწვიოს პასუხისმგებლობა მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის მიხედვით, თუ მავნე ზემო-

მე-15 მუხლი, "ადამიანისთვის სასარგებლო მედიკამენტების დამტკიცებისა და ზედამხედველობის პროცედურების დადგენის შესახებ და ევროპული მედიკამენტების სააგენტოს შექმნის შესახებ" (მედიკამენტების სააგენტოს რეგულაცია): „ნებართვის გაცემა არ ეხება მწარმოებლის ან განთავსებაზე ნებართვის მფლობელი პირის სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც გამომდინარეობს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობიდან“.

<sup>49</sup> იხ. Oberlandesgericht Bamberg, Hinweisbeschluss vom 14.8.2023, 4 U 15/23 e, juris, Rn. 15, unter Berufung auf Bundesgerichtshof, Urteil vom 12.5.2015, VI ZR 328/11, BGHZ 205, 270, Rn. 28); ასევე იგივე, Urteil vom 8.4.2024, 4 U 15/23 e, juris, Rn. 45, დამატებითი მტკიცებულებები ლიტერატურიდან (<https://www.gesetze-bayern.de/Content/Document/Y-300-Z-BECKRS-B-2024-N-7784>). ზედამხედველობის სამართალთან მიმართებით პასუხისმგებლობის სამართლის აქცესორულობა შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი გზით იქნეს აღქმული იმ მუხლის მითითებულ გადანყვეტილებაში, რომელიც ციტირებულია ფედერალური სასამართლოს მიერ. ლიტერატურიდან იხ. *Franzki*, in: BeckOGK, 1.2.2024, AMG § 84 Rn. 67, m.w.N.: „ნამლების მავნე ზემოქმედებები, რომლებიც ნამლის რეგისტრაციის ფართო შემონმების ფარგლებში დასაშვებად შეფასდა, არ შეუძლია გამოიწვიოს პასუხისმგებლობა მედიკამენტების შესახებ კანონის 84 Abs. 1 S. 2 Nr. 1 მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მავნე ზემოქმედებების სიმძიმე ან სისხრივ რეგისტრაციის

დროსთან შედარებით შეიცვალა“. აგრეთვე იხილეთ ჰამბურგის თავისუფალი და ჰანსეს ქალაქის სენატის პასუხი დეპუტატების თომას რაიხისა და დოქტორ ალექსანდერ ვოლფის (AfD პარტიის ფრაქცია) 2021 წლის 11 აგვისტოს წერილობით დასმულ მცირე შეკითხვაზე („ფარმაცევტულ კომპანიებთან კონტრაქტები - ვინ არის პასუხისმგებელი ვაქცინაციის ზიანზე?“), *Drucksache 22/5402 vom 27.8.2021, Neufassung*, გვ. 1: „PEI [პაულ-ერლიხის ინსტიტუტი]-ს მიერ ვაქცინების კანონით რეგულირებული ნებართვის გაცემის ვალდებულება გულისხმობს, რომ ამ სფეროში სამედიცინო მეცნიერების მიმდინარე ცოდნის სრული შესაბამისობა ივარაუდება. გერმანიაში ვაქცინების უსაფრთხოების ზედამხედველობას პაულ-ერლიხის ინსტიტუტი (PEI) ახორციელებს [...]“.

<sup>50</sup> Oberlandesgericht Bamberg, Hinweisbeschluss vom 14.8.2023, 4 U 15/23 e, juris, Rn. 16.

<sup>51</sup> Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 41; მსგავსად მანამდე Oberlandesgericht Karlsruhe, Urteil vom 8.10.2008, 7 U 200/07, juris, Rn. 9, zum Rheuma-Medikament VIOXX: „მეცნიერებრივი თვალსაზრისით დაუშვებელ ეფექტად“ უნდა შეფასდეს ის, რაც რეგისტრაციის უარყოფის საფუძველი გახდა მედიკამენტების შესახებ კანონის 25 II Nr. 5 პარაგრაფის მიხედვით ან გახდებოდა, თუ რეგისტრაციის პროცესში უკვე ცნობილი იქნებოდა.“

<sup>52</sup> Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 41.

<sup>53</sup> Landgericht Rottweil, Urteil vom 6.12.2023, 2 O 325/22, juris, zum „Comirnaty“-Impfstoff von Pfizer/Biontech.



ქმედებების სიმძიმე ან სიხშირე ნებართვის გაცემის დროსთან შედარებით შეიცვალა“.<sup>54</sup> შესაბამისად, სასამართლო უარყოფს ნებართვის გაცემის ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების მბოჭავობას, „თუ საფუძვლიანად იქნება განმარტებული, იმ დროისთვის ცნობილი რომელი გარემოებები არ იქნა გათვალისწინებული ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებაში“. როტვეილის საქალაქო სასამართლოს აზრით, ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებას აქვს მხოლოდ ინდიკატორის ხასიათი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს.<sup>55</sup>

ასეთი შუალედური მიდგომა გონივრულად გამოიყურება, რადგან ნებართვის გამცემმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სამედიცინო-ფარმაცოლოგიური ექსპერტების ცოდნის საფუძველზე. ნებართვის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მყარი ბოჭვა პრობლემურია, რადგან ორგანომ შეიძლება შეცდომა დაუშვას და ამავე დროს, დაზარალებულებს არ აქვთ სრული წვდომა ნებართვის დოკუმენტებზე და, უმთავრესად, არ აქვთ ნებართვის გადაწყვეტილების გასაჩივრების იურიდიული საშუალებები. ეს კანონმდებელმაც კარგად იცის. *ერთი მხრივ*, მედიკამენტების შესახებ კანონი თავადვე განსაზღვრავს, რომ ნებართვის გაცემის ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის გადაწყვეტილებებთან მიმართებით ფარმაცევტული კომპანიების სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება“ (მედიკამენტების შესახებ კანონის 25 X პარაგრაფი).<sup>56</sup> შესაბამისად, გაუგე-

ბარია, რატომ უნდა მოხდეს საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა, თუ ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება, როგორც ეს მოხდა კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების შემთხვევაში, მიიღება ევროკავშირის დონეზე. *მეორე მხრივ*, მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფით მონესრიგებული პასუხისმგებლობის ნორმა ეხმიანება მედიკამენტების შესახებ კანონის მე-5 პარაგრაფს, რომელიც კრძალავს „საფრთხისშემცველი სამკურნალო საშუალებების“ გავრცელებასა და გამოყენებას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამკურნალო საშუალებები, რომელთა მავნე ეფექტები „სამედიცინო მეცნიერების მიხედვით მისაღებ დონეს სცდება“, ასევე „საფრთხისშემცველი“ არიან (მედიკამენტების შესახებ კანონის 5 II პარაგრაფი). ამის შედეგად, სამკურნალო საშუალებების ნებართვა უნდა გაუქმდეს (მედიკამენტების შესახებ კანონის 30 I 1 პარაგრაფი), თუ „შემდგომში ცნობილი ხდება“, რომ „სარგებელისა და რისკის თანაფარდობა არასახარბიელოა“ (მედიკამენტების შესახებ კანონის 25 II Nr. 5 პარაგრაფი), ანუ საშიშია.<sup>57</sup> ევროპული კანონმდებლობა ითვალისწინებს, ნებადართული სამკურნალო საშუალების შემდგომი გავრცელების აკრძალვის შესაძლებლობას, რომლის მავნებლობა ან არაეფექტურობა დადასტურებულია Nr. 726/2004 ბრძანების 22-ე, მე-20 I და „ადამიანის სამკურნალო საშუალებების ერთიანი კოდექსის შექმნის შესახებ“ 2001/83/EG IX და X RL პარაგრაფებით.<sup>58</sup> ნებართვის ზედამხედველობით გაცემის პროცესი არც გერმანული და არც ევროპუ-

<sup>54</sup> Landgericht Rottweil, Urteil vom 6.12.2023, 2 O 325/22, juris, Rn. 28 [გამოყოფა დამატებულია]. სასამართლო ეყრდნობა ფრანკის, BeckOGK-ში, 2023 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, არსებულ მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფს, Rn. 67, რომელიც აღნიშნულ შეზღუდვას საერთოდ არ ახდენს.

<sup>55</sup> იხ. das Landgericht Mönchengladbach, Urteil vom 28.9.2023, 1 O 25/23 (ზევით Fn. 47) გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა დაზარალებულის სამართლებრივი დაცვისთვის ასანაზღაურებელი თანხის შესახებ სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობას, juris-ში, Rn. 91: ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA-ს) პროდუქტის საინფორმაციო ფურცლიდან ჩანს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ან მსგავსი ფიზიკური

და ფსიქიკური გვერდითი მოვლენები ევროპული რეგისტრაციის ორგანოსთვის ცნობილია. ეს წარმოადგენს „მხოლოდ ერთ მტკიცებულებას“ მავნე ზემოქმედების დასაშვებობის (მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის მნიშვნელობით) შესახებ.

<sup>56</sup> იხ. Dr. Pfohl, in: Erbs und Kohlhaas, AMG § 25, Rn. 2, Stand: September 2023, zu 25 X პარაგრაფი: „ეს ნიშნავს, რომ ფარმაცევტული საწარმო, პრინციპში, ვერ შეძლებს თავის დაცვას იმ არგუმენტით, რომ წამლის ზიანი გამოწვეულია რეგისტრირებული პრეპარატით“.

<sup>57</sup> იხ. ასევე Dr. Pfohl, in: Erbs und Kohlhaas, AMG § 5, Rn. 3, Stand: September 2023 თუ წამლები „შემამფოთებელია“, რეგისტრაცია უნდა გაუქმდეს. (§ 30 Abs. 1 i. V. m. § 25 Abs. 2 Nr. 5)“.

<sup>58</sup> Dr. Pfohl, in: Erbs und Kohlhaas, AMG § 25, Rn. 16,

ლი კანონმდებლის თვალსაზრისით არ არის საკრალური და სწორედ ამიტომ, ის ვერ ააცილებს მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობას.<sup>59</sup>

მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის შემადგენლობა ნაწილობრივ უმოქმედო იქნება, რადგან მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ნორმა ცალსახად ვრცელდება მხოლოდ იმ მედიკამენტებზე, რომლებიც „დასაბუთების ვალდებულებას“ ექვემდებარებიან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი სამართლებრივი აქტით გათავისუფლებულნი არიან დასაბუთებისგან. ეს უკანასკნელი ეხება მხოლოდ ე. წ. სტანდარტულ დასაბუთებებს (მედიკამენტების შესახებ კანონის 36 I პარაგრაფი) სრულიად უსაფრთხო მედიკამენტებისთვის.<sup>60</sup> მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფის მნიშვნელობა შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, როდესაც, სასამართლოს მოსაზრებით, მედიკამენტის დამტკიცების შემდეგ ახალი ცოდნის საფუძველზე, წამლის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე სარგებელი. კანონმდებელს მსგავსი შეზღუდვა რომ ნდომებოდა,

აღნიშნული უფრო მკაფიოდ უნდა დაეფიქსირებინა კიდევ.

გერმანიაში დღემდე არ არის ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც ფარმაცევტულ კომპანიას მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 No. 1 პარაგრაფის საფუძველზე დამტკიცებული წამლის მავნე შედეგები შეეცხებოდა. სასამართლოებმა, როგორც ჩანს, ოფიციალური ნებართვის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისთვის ძალიან მაღალი სტანდარტები დააწესეს. საერთო არგუმენტი, რომელსაც სასამართლოები იყენებენ მოსარჩელეთა მტკიცებულებების გასაქარწყლებლად, არის ის, რომ მოსარჩელეთა ბრალდებები არ არის საკმარისად „დასაბუთებული“.<sup>61</sup> გამოქვეყნებული გადაწყვეტილებებიდან ძნელია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად რა მტკიცებულებები წარმოადგინეს ადვოკატებმა წარუმატებელ სასამართლო საქმეებში სარგებლისა და რისკის შეპირისპირებასთან დაკავშირებით და რითი დაასაბუთეს თავიანთი პოზიცია.<sup>62</sup> მაგრამ არსებობს რამდენიმე არგუმენტი, რომლებიც შესაძლოა მეტყველებდნენ მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

Stand: September 2023.

<sup>59</sup> ისეთი ტექნიკური პროდუქტების, როგორებიცაა საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი, დასაშვებობის შემთხვევაში, ანალოგიურად ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა მავნე ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც რეგისტრაციის ორგანოსა და (შესაძლოა კერძო) ექსპერტებისთვის მისაღები იყო მათი გადაწყვეტილების ფარგლებში, ჩაითვალოს პროდუქტის დეფექტად პროდუქტის პასუხისმგებლობის კანონის შესაბამისად. ეს შესაძლებლობა არ უნდა გამოირიცხოს. შდრ. პროდუქტის პასუხისმგებლობის კანონის 1 II Nr. 4 პარაგრაფის რეგულაცია: ამ პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობა გამოირიცხულია, თუ „დეფექტი წარმოიშვა იმ საფუძველზე, რომ პროდუქტი იმ დროისათვის, როდესაც მწარმოებელმა ის ბაზარზე გამოუშვა, შეესაბამებოდა იმპერატიულ სამართლებრივ ნორმებს“. რეგისტრაციის ორგანოს მიერ ტექნიკური სიახლის უბრალო დაშვება არ უნდა იყოს საკმარისი.

<sup>60</sup> *Franzki in: BeckOGK, AMG § 84 Rn. 26 (1.2.2024)*: „პასუხისმგებლობისგან ამგვარი გათავისუფლება შესაძლებელია იმ წამლების შემთხვევაში, რომლებიც არ იწვევენ ადამიანის ჯანმრთელობისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ საფრთხეს, რადგან დადგენილია, რომ მან დააკმაყოფილა ხარისხის, ეფექტურობისა და უვნებლობის საჭირო მოთხოვნები“.

<sup>61</sup> იხ. *Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O*

*76/23, juris, Rn. 45*: მოსარჩელის საპირისპირო არგუმენტი, მწარმოებლის მიერ წარმოდგენილი და ზოგადად ცნობილი ვრცელი მეცნიერული მიგნებების გათვალისწინებით, მისი ვაქცინის *Corminaty*-ს სარგებლისა და რისკის ურთიერთობის შესახებ, „მინიმალურადაც კი არ არის საკმარისად დასაბუთებული“; მსგავსი პუნქტი 49: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექიმის სტატია „არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მტკიცებულებად მითითებისთვის“.

<sup>62</sup> მაგ., ჰანოვერის რაიონული სასამართლო (*Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 23 und 24*), იუნყება, რომ მოსარჩელემ გააკრიტიკა „პოლიტიკისა და მწარმოებლის“ მიერ გაჟღერებული პოზიცია, თითქოსდა ვაქცინა „მინიმუმ მძიმე შემთხვევისგან იცავს“, რასაც „არავითარი სამეცნიერო საფუძველი“ არ გააჩნია. ასევე, ის აღნიშნავს, რომ „გვერდითი მოვლენები და ვაქცინაციის შედეგად გამოწვეული ზიანი მაღალი ინტენსივობით არის დაფიქსირებული, თუმცა, ის ნაწილობრივ უგულებელყოფილია, რადგან ის უბრალოდ არ არის და არც იქნება რეგისტრირებული“. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსარჩელის განცხადება მხოლოდ ამგვარი ზოგადი გამოთქმებით შემოფარგლულიყო. სინამდვილეში, სასამართლო სხვა ადგილას (*Rn. 45*) აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექიმის კრიტიკული საინფორმაციო ფურცელი, რომელსაც „სპეციფიკური პროფესიული ცოდნა“ გააჩნია, „სერიოზულად არ უნდა იქნეს აღქმული“.

კრიტიკულად განწყობილი ექსპერტების განცხადებით, არსებობს მნიშვნელოვანი ეჭვები სამთავრობო გადანყვეტილებების სისწორეზე, 2020/2021 წლებში პირობითი ნებართვებისა და 2022 წლის შემოდგომაზე რეგულარული ნებართვების გაცემის თაობაზე. კერძოდ, AstraZeneca-ს ვაქცინის შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს, რომ თავად გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ, პოლ-ერლიხის ინსტიტუტის 2021 წლის 15 მარტის რეკომენდაციის საფუძველზე, შეაჩერა ამ პროდუქტის გამოყენება.<sup>63</sup>

ასევე არსებობს ეჭვები, რომ ეროვნული ფარმაცევტული კონტროლის ორგანოებმა სათანადო სიზუსტით არ შეასრულეს კანონით დაკისრებული მოვალეობები „გვერდითი ეფექტების გამოვლენის, შეფასების, გაგებისა და პრევენციის“ (ფარმაკოვიგილანცია) ფარგლებში.<sup>64</sup>

**ბ) ეჭვები ლიცენზირებისა და ზედამხედველობის ორგანოების სიფრთხილესთან დაკავშირებით**

რაც შეეხება კოვიდ-19 ვაქცინების პირობითი ნებართვების გაცემის გადანყვეტილებებს, რომლებიც ევროკომისიამ ევროპის მედიკამე-

ნტების სააგენტოს (EMA) რეკომენდაციის საფუძველზე, 2021/2021 წლის ბოლოს, საკმაოდ დიდი პოლიტიკური ზენოლის ქვეშ მიიღო, როგორც უკვე აღინიშნა, იტყობინებოდა მრავალი დარღვევის შესახებ. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნებართვის გაცემის კვლევებში გამოყენებული mRNA ვაქცინა სხვა, უფრო სუფთა მეთოდით იყო დამზადებული, ვიდრე კომერციულად გავრცელებული ვაქცინა, და რომ საკონტროლო ჯგუფი ადრეულ ეტაპზე დაიშალა. ასევე მოხსენებული იყო, რომ ნებართვის გაცემის კვლევების მონაცემები მიზანმიმართულად უკან გაიწვიეს.<sup>65</sup> უპირობო ნებართვა (ხუთწლიანი მოქმედებით) მოგვიანებით გაიცა, მიუხედავად იმისა, რომ პირობითი ნებართვის პირობები არ იყო შესრულებული.<sup>66</sup> მიუხედავად ახალი, სადავო ცნობებისა, ვაქცინების შეზღუდული სარგებლიანობის, კოვიდ-19-ის გადაჭარბებული საშიშროების, ასევე ვაქცინით დაზარალებულთა შემთხვევების შედარებით დიდი რაოდენობისა, ყველა ეს ფაქტი სასამართლო პრაქტიკაში დღემდე უგულებელყოფილია.

მაგალითად, COVID-19-ით დაავადების გამო „მილიონობით გარდაცვლილის“<sup>67</sup> ნარატივი არ

<sup>63</sup> იხ. ფედერალური მთავრობა, 2024 წლის 17 მარტის ინტერნეტ-განცხადება <https://www.bundesregierung.de/bregde/themen/coronavirus/bundesregierung-setzt-astrazeneca-impfungen-aus-1878074>, ბოლოს ნანახია 27.5.2024. ამასთან, მუდმივი ვაქცინაციის კომისიამ (STIKO) მხოლოდ 2021 წლის 4 მარტს გასცა AstraZeneca ვაქცინის რეკომენდაცია (მუდმივი ვაქცინაციის კომისიის - STIKO-ს 2021 წლის 4 მარტის პრესრელიზი COVID-19 ვაქცინაციასთან დაკავშირებით, კონკრეტულად AstraZeneca-ს ვაქცინით.), <https://www.rki.de/DE/Content/Kommissionen/STIKO/Empfehlungen/AstraZeneca-Impfstoff.html>. ბოლოს ნანახია 27.5.2024.

<sup>64</sup> აღნიშნულს განსაზღვრავს პაულ-ერლიხის ინსტიტუტი, ციტირებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისგან (WHO), <https://www.pei.de/DE/arzneimittelsicherheit/pharmakovigilanz/pharmakovigilanz-node.html>, (ბოლოს ნანახია 27.5.2024).

<sup>65</sup> კერძოდ, დაუსაბუთებელი გადანყვეტილებების შესახებ იხ. Röhrig, Die Corona-Verschöpfung, München 2023, Teil 3 („Die Zulassungsentscheidung“).

<sup>66</sup> იხ. Cullen et al, Das Zulassungsdesaster: Lobbyarbeit und Rechtsbruch im Fall der mRNA-Präparate, Berliner Zeitung vom 10.2.2023, [https://archive.org/download/das-zulassungsdesaster-lobbyarbeit-undrechtsbruch-im-fall-der-mrnapräparate/Das%20Zulassungsdesaster\\_%20Lobbyarbeit%20und%20Rechtsbruch%20im%20Fall%20der%20mRNA-Pr%C3%A4parate.pdf](https://archive.org/download/das-zulassungsdesaster-lobbyarbeit-undrechtsbruch-im-fall-der-mrnapräparate/Das%20Zulassungsdesaster_%20Lobbyarbeit%20und%20Rechtsbruch%20im%20Fall%20der%20mRNA-Pr%C3%A4parate.pdf).

<sup>67</sup> იხ. Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, juris, Rn. 41; ასევე იხ. ევროკავშირის კომისიის მიერ ციტირებული უოტსონისა და სხვების კვლევა.. (Global impact of the first year of COVID-19 vaccination: a mathematical modelling study, DOI: [https://doi.org/10.1016/S1473-3099\(22\)00320-6](https://doi.org/10.1016/S1473-3099(22)00320-6)), რომელიც ოფიციალური სიკვდილიანობის მონაცემების პროგნოზირების საფუძველზე ამტკიცებს, რომ ვაქცინაციით მსოფლიო მასშტაბით 14 მილიონზე მეტი სიცოცხლე იქნა გადარჩენილი. კვლევა, სხვა წყაროებთან ერთად, დაფინანსდა გლობალური ვაქცინაციის კამპანიის მთავარი მონაწილეების მიერ, მათ შორის WHO-ს, Gavi, the Vaccine Alliance-ის და Bill & Melinda Gates Foundation-ის მიერ.

დადასტურდა გერმანიაში ოფიციალური ვადაცვალეების სტატისტიკაში,<sup>68</sup> რომელიც პირიქით, მნიშვნელოვნად მომატებული იყო მხოლოდ კოვიდ-ვაქცინაციების მასობრივი დაწყების შემდეგ.<sup>69</sup> ასევე, გერმანიაში ოფიციალური სტატისტიკა კოვიდ-გარდაცვლილთა შესახებ არ არის საკმარისად ინფორმაციული, რადგან არ ასხვავებს იმ პირებს, რომლებიც კოვიდით გარდაიცვალნენ და მათ, რომლებიც სხვა მიზეზით (მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად) გარდაიცვალნენ, მაგრამ ჰქონდათ დადებითი PCR ტესტი.

ამჟამად აღიარებულია, რომ ვირუსის ომიკრონის შტამის საშიშროება, რომელიც 2021/2022 წლის ბოლოს გავრცელდა, ჩვეულებრივი გრიპის საშიშროებას უთანაბრდებოდა. ასევე, პოლიტიკოსებისა და მედიის მიერ გავრცელებული განცხადება, რომ „კლინიკებში სანოლეებისა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობა“ სწრაფად ამოიწურა<sup>70</sup>, უფრო დეტალური განხილვისას არასწორი ან გადაჭარბებული

აღმოჩნდა.<sup>71</sup> მსგავსი რეგიონალური პრობლემები ადრეც ყოფილა, ჩვეულებრივი გრიპის ეპიდემიების დროს. ასევე, პოლიტიკური მიზნებით ინსპირირებულმა არასწორმა სტიმულებმა კოვიდ-კრიზისის დროს კლინიკების შესაძლებლობების შემცირება გამოიწვია.<sup>72</sup> ამასთან, ცხადი გახდა, რომ ვაქცინები ადამიანს არც ინფიცირებისგან და არც ვირუსის გადაცემისგან არ იცავდა და არც ამისთვის იყო შექმნილი, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები დიდი ხნის განმავლობაში სანინაალმდეგოს ამტკიცებდნენ. 2022 წლის 11 ოქტომბერს, COVID-19 პანდემიის შესწავლისა და სამომავლო რეკომენდაციების სპეციალურ კომიტეტში, Pfizer-ის დირექტორმა ჯანინ სმოლმა დაადასტურა, რომ COVID-19-ის ვაქცინა ბაზარზე გამოშვებამდე არ იყო ტესტირებული, იმის დასადაგენად, იცავდა თუ არა იგი ადამიანს ვირუსის გადაცემისგან.<sup>73</sup>

მეორე მხრივ, კოვიდ-ვაქცინებთან დაკავში-

<sup>68</sup> ფედერალური სტატისტიკის ოფისი, 2021 წლის 9 დეკემბრის პრესრელიზში №563 აცხადებს, „კორონა-პანდემიამ გამოიწვია 27.ATISნობა გერმანიაში“. („Corona pandemic leads to excess mortality in Germany“), [https://www.destatis.de/DE/Presse/Pressemitteilungen/2021/12/PD21\\_563\\_12.html](https://www.destatis.de/DE/Presse/Pressemitteilungen/2021/12/PD21_563_12.html), ბოლოს ნანახია 27.5.2024; ამასთან დაკავშირებით ბარზის კრიტიკული მოსაზრება „როგორ გააყალბა ფედერალურმა სტატისტიკის ოფისმა სიკვდილიანობის გადაჭარბებული მონაცემები“. („How the Federal Statistical Office has falsified the figures on excess mortality“), 13.12.2023, <https://multipolar-magazin.de/artikel/destatis-uebersterblichkeit>, ბოლოს ნანახია 27.5.2024.

<sup>69</sup> *Kuhbandner C. und Reitzner M.* (May 23, 2023), Estimation of Excess Mortality in Germany During 2020-2022. *Cureus* 15(5): e39371. DOI: <https://doi.org/10.7759/cureus.39371> ავტორები აღნიშნავენ: „2021 და 2022 წლებში გადაჭარბებული სიკვდილიანობა ძირითადად გამოწვეული იყო 15-დან 79 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში. სიკვდილიანობის რაოდენობის ზრდა დაიწყო მხოლოდ 2021 წლის აპრილიდან. მსგავსი სიკვდილიანობის მოდელი დაფიქსირდა ახალშობილ ბავშვებში, რომელთა რაოდენობა გაიზარდა, დაახლოებით 9.4%-ით, მეორე კვარტალში და 19.4%-ით მეოთხე კვარტალში, წინა წლებთან შედარებით“; აგრეთვე იხილეთ ავტორების დამატებითი კვლევა, „გერმანიის ფედერალურ მიწებში COVID-19 პანდემიის პერიოდში გადაჭარბებული სიკვდილიანობის დიფერენციალუ-

რი ზრდა (Preprint)“ [https://www.researchgate.net/publication/378124684\\_Differential\\_Increases\\_in\\_Excess\\_Mortality\\_in\\_the\\_German\\_Federal\\_States\\_During\\_the\\_COVID-19\\_Pandemic](https://www.researchgate.net/publication/378124684_Differential_Increases_in_Excess_Mortality_in_the_German_Federal_States_During_the_COVID-19_Pandemic). Ferner jüngst Mostert et al., Excess mortality across countries in the Western World since the COVID-19 pandemic: 'Our World in Data' estimates of January 2020 to December 2022, *BMJ Public Health* 2024;2:e000282. DOI: <https://doi.org/10.1136/bmjph-2023-000282>.

<sup>70</sup> აღნიშნულს იტყობინება Landgericht Hannover, Urteil vom 4.12.2023, 2 O 76/23, Rn. 41.

<sup>71</sup> ამასთან დაკავშირებით, მაგ., მონაცემთა ანალიტიკოსის, *ტომ ლაუსენის* დასკვნები, რომლებიც გაკეთდა 2022 წლის 21 მარტს გერმანიის ბუნდესტაგის ჯანმრთელობის კომიტეტის მოსმენაზე. *Drucksache* 20(14)17(17), [https://www.bundestag.de/resource/blob/885482/2398e1a1d69d9f6ee07aca7d663a0c20/20\\_14\\_0017-17\\_ESVTim-Lausen\\_Impfpflicht.pdf](https://www.bundestag.de/resource/blob/885482/2398e1a1d69d9f6ee07aca7d663a0c20/20_14_0017-17_ESVTim-Lausen_Impfpflicht.pdf); ასევე, ფედერალური მთავრობის 2023 წლის 31 ოქტომბრის პასუხი AfD პარტიის ფრაქციის მოზრდილ შეკითხვაზე, *Bundestag-Drucksache* 20/9036, S. 38.

<sup>72</sup> აქვე მაგ.. Röhrig, *Die Corona-Verschöpfung, München* 2023, Teil III, Abschnitt 5.5, dort bei Fn. 161: „2020 წლის მაისში პირდაპირ ხელმისაწვდომი ინტენსიური თერაპიის სანოლეების საერთო რაოდენობა დაახლოებით 34,000-დან 2021 წლის მაისს 24,000-ზე ნაკლები გახდა“.

<sup>73</sup> ასე იუნყება, მაგალითად, 2022 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული დეპუტატ ბერნჰარდ ციმნიოკის წერი-

რებული ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების შესახებ ბოლო წლებში სულ უფრო მეტი მაგალითი გახდა ცნობილი. როგორც უკვე აღინიშნა, ვაქცინაციის დაწყებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად მომატებული სიკვდილიანობის შემთხვევები დაფიქსირდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მათ შორის მკვდრადშობილებში. ამას ემატება ისიც, რომ გერმანიაში ბოლო ორი წლის განმავლობაში, ვაქცინაციის კამპანიის დაწყებიდან დაახლოებით ცხრა თვეში, დაბადების მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა და 2009 წლის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.<sup>74</sup> აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, კორონავირუსის პანდემიისა და 30 წლამდე ასაკის ქალთა მოსახლეობის შემცირების მიუხედავად, დაბადების მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით უფრო მაღალი იყო.<sup>75</sup>

2022 წლის 21 თებერვალს ანდრეას შოფბეკმა, გერმანიის ერთ-ერთი დიდი სადაზღვევო კომპანიის მაშინდელმა აღმასრულებელმა დირექტორმა, ფარმაკოვიგილაციაზე პასუხისმგებელი პოლ-ერლიხის ინსტიტუტისადმი საგანგაშო წერილში, სათაურით „კოდირებული ვაქცი-

ნის გვერდითი მოვლენების შესახებ ძლიერი გაფრთხილების სიგნალი COVID-19-ის ვაქცინაციის შემდეგ“ აღნიშნა, რომ არსებული მონაცემების საფუძველზე, ვაქცინაციის შემდეგ უკვე 216,000-ზე მეტი შემთხვევა მოითხოვდა მკურნალობას.<sup>76</sup> სხვა სტატისტიკებიც აჩვენებს, რომ კოვიდ-ვაქცინების გვერდითი მოვლენების რაოდენობა სხვა ვაქცინებთან შედარებით რამდენჯერმე მეტია. აღნიშნული გარემოებები უნდა განაპირობებდეს ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან ვაქცინების უსაფრთხოების ნარატივის ეჭვქვეშ დაყენებასა და დეტალური კვლევების ჩატარებას, თუმცა შესაბამისი ძალისხმევა ნაკლებად ჩანს.<sup>77</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში, ჯანმრთელობის პრობლემების სიმრავლე განიხილება, როგორც წინამორბედი COVID-19-ის დაავადებისა და მის ფარგლებში წარმოქმნილი ტოქსიკური სპაიკ-პროტეინების („Long COVID“) შედეგი. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ mRNA ვაქცინაცია შესაძლებელია, მინიმუმ, განხილულ იქნეს, როგორც გამომწვევი მიზეზი, რომელიც ორგანიზმის უჯრედებს აიძულებს, თავად წარმოქმნან სპაიკ-პროტეინები, რაც, როგორც ჩანს, ბევრად

ლობითი შეკითხვა P-003358/2022 მიმართული ევროკომისიისადმი, სადაც მას სურდა გაეგო, იცოდა თუ არა ევროპის მედიკამენტების სააგენტომ (EMA-მ) და, შესაბამისად, კომისიამ, რომ Pfizer/Biontech-მა თავისი ვაქცინა ბაზარზე გამოსვლამდე არ დატესტა იმის გასარკვევად, ვაქცინა უშლიდა თუ არა ხელს ვირუსის გადაცემას ([https://www.europarl.europa.eu/doceo/document/P-9-2022-003358\\_DE.html](https://www.europarl.europa.eu/doceo/document/P-9-2022-003358_DE.html)).

თავის პასუხში, 2022 წლის 25 ნოემბერს, კომისარმა სტელა კირიაკიდესმა, სხვათა შორის, განაცხადა: „ევროპის წამლის სააგენტომ (EMA) უკვე 2020 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ „Comirnaty“-ის გავლენა ვირუსის გადაცემაზე დაუყოვნებლივ ვერ დადგინდებოდა. მაღალი რანგის ევროკავშირის ექსპერტებმა 2021 წლის იანვარში „ჟურნალ The Lancet“-ში აღნიშნეს, ასევე ეს ინფორმაცია შეყვანილია პირველადი შეფასების ანგარიშში“.

<sup>74</sup> ასე იუნყება სახელმწიფო ფედერალური მოსახლეობის კვლევის ინსტიტუტი (BiB) 2024 წლის 20 მარტის პრეს-რელიზში, <https://www.bib.bund.de/DE/Presse/Mitteilungen/2024/2024-03-20-Geburtenrate-faellt-auf-den-tiefsten-Standseit-2009.html>.

<sup>75</sup> Schilling, *Geburtenrückgang und Impfung: mögliche Zusammenhänge*, 12.7.2023, <https://multipolarmagazin.de/artikel/geburtenrueckgang-und-impfung>.

<sup>76</sup> იხ. <https://web.archive.org/web/20220227211605/https://bkk-provita.de/wpcontent/uploads/2022/02/Paul-Ehrlich-Institut-Pressinformation-Impfnebenwirkungen-nach-Corona-Impfung-1.pdf>. ანდრეას შოფბეკი აღმასრულებელი დირექტორის პოზიციიდან მალევე გათავისუფლდა. ამასთან დაკავშირებით, დაზღვევის „საბოლოო განცხადება“ <https://bkk-provita.de/aktuelles/abschlussendstellungnahme/>. წერილში მოცემული მონაცემების მიმართ კრიტიკული იყო ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო სამხედრო მოსამსახურეების ვაქცინაციის ვალდებულებასთან დაკავშირებით (Beschluss vom 7.7.2022, BVerwG 1 WB 2.22, Rn. 179-181): მონაცემთა ანალიზის ბაზა არ არის გამჭვირვალე, შეფასება კი არ არის გასაზიარებელი.

<sup>77</sup> იხილეთ უკვე ნახსენები ქიმიის ზუთი პროფესორის წერილი (ზემოთ, Fn. 42) პაულ ერლიხის ინსტიტუტისადმი, 2024 წლის 12 თებერვალს, სათაურით „Zweite Anfrage bezüglich neuer wissenschaftlicher Erkenntnisse (Garcia-Fossa & de Jesus) zu möglicher Schädigung der modRNA-Technologie“: „[...] modRNA-ზე დაფუძნებული ვაქცინების გვერდითი მოვლენების რაოდენობა ბევრად მაღალია, ვიდრე აქამდე რომელიმე ვაქცინასთან დაფიქსირებული. თქვენი დუმილი ჩვენს დამშვიდებას არ უწყობს ხელს და ნამდვილად არ შეესაბამება თქვენს კანონიერ მოვალეობას [...]“.

უფრო დიდ მასშტაბში ხდება, ვიდრე COVID-19 ინფექციის დროს. მწარმოებლების მტკიცება, რომ ვაქცინის mRNA-პროტეინები რამდენიმე დღეში ქრება, უკვე უარყოფილია. ცალკეულ შემთხვევებში, ვაქცინაციის შემდეგ "ალმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც სხეულში მრავალი თვის განმავლობაში იყო. კიდევ ერთი კრიტიკული საკითხია ის, რომ ეს ნივთიერება და სპაიკ-პროტეინები, როგორც თავდაპირველად აცხადებდნენ, მხოლოდ ინექციის ადგილზე არ რჩება, არამედ, როგორც აუტოპსიებმა აჩვენა, მთელ სხეულში, მათ შორის ტვინშიც ვრცელდება.<sup>78</sup>

ასევე არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებმა ფარმაკოვიგილაციის პროცესში შეცდომები დაუშვეს, რაც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მათ საერთოდ არ აინტერესებდათ ვაქცინების შესახებ სიმართლის დადგენა. მაგალითად, 2022 წელს მხოლოდ მცირე რაოდენობის საავადმყოფოებმა შეასრულეს კანონიერი ვალდებულება, აღნიშნათ კოვიდ-19 პაციენტების ვაქცინაციის სტატუსი და გადაეგზავნათ ეს მონაცემები რობერტ კოხის ინსტიტუტისთვის, რის გამოც შეუძლებელი გახდა ვაქცინის ეფექტურობის შეფასება ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის მიხედვით.<sup>79</sup> დაზარალებულები, რომლებიც საზოგადოებას მიმართავდნენ, ხშირად ამბობდნენ, რომ ექიმები, ვისთანაც ისინი მიდიოდნენ, კატეგორიულად უარყოფდნენ ვაქცინით გამოწვეული დაზიანების შესაძლებლობას, არ იღებდნენ მათ ან ცდილობდნენ, მათი ჩვილები ფსიქოსომატურად მიეჩნიათ.<sup>80</sup> შესაბამისად, ექიმების

მხრიდან პოლ-ელრიხის ინსტიტუტისთვის ვაქცინით გამოწვეული ზიანის შესახებ ეჭვებზე შეტყობინებები ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ასევე ცნობილი გახდა, რომ პოლ-ელრიხის ინსტიტუტში ის განყოფილება, რომელიც ეჭვების შესახებ შეტყობინებების მიღებაზე იყო პასუხისმგებელი, არ იყო საკმარისი პერსონალით დაკომპლექტებული და რომ პაციენტები ხშირად არ იღებდნენ პასუხს თავიანთ შეტყობინებებზე ვაქცინით გამოწვეული დაზიანებების შესახებ.

ზემოთ დასახელებულმა ქიმიის პროფესორებმა მრავალჯერ და დასაბუთებულად მიმართეს პოლ-ელრიხის ინსტიტუტს უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხის გამო, ბოლო ჯერზე, ახალ სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით,<sup>81</sup> რომლითაც დგინდებოდა სავარაუდო კარცეროგენული მოქმედებები ლიპიდურ ნანონაწილაკებზე, რომლებიც გარს აკრავს mRNA-მოლეკულებს, თუმცა, მათ არც ერთხელ მიუღიათ პასუხი. მსგავსი წერილები, რომლებზეც პოლ-ელრიხის ინსტიტუტის მხრიდან არ ყოფილა რეაგირება, 2022 წლის 16 მარტსა და 24 მარტს მისწერა არნე ბურკჰარდტიმა, ნარსულში აღიარებულმა უნივერსიტეტის პროფესორმა, რომელიც 2023 წელს გარდაიცვალა.<sup>82</sup> ამ წერილებში პათოლოგი აღწერს კვლევის შედეგებს, რომელიც მისმა კვლევითმა ჯგუფმა ჩაატარა 40 პაციენტის აუტოპსიის ფარგლებში, რომლებიც ვაქცინაციის შემდეგ გარდაიცვალნენ, და ასევე ცოცხალი პაციენტების ჰისტოლოგიური ნიმუშების კვლევების შედეგებს. ის ამტკიცებს, რომ „ვაქცინით გამოწვეული სპაიკ-პროტეინების წარმოქმნა

<sup>78</sup> იხ. მაგ. Hulscher et al, Autopsy findings in cases of fatal COVID-19 vaccine-induced myocarditis, ESC Heart Failure (2024), DOI: <https://doi.org/10.1002/ehf2.14680>. The authors "performed a systematic review of all published autopsy reports involving COVID-19 vaccination-induced myocarditis through 3 July 2023".

<sup>79</sup> აღნიშნულის შესახებ იტყობინება მონაცემთა ანალიტიკოსი ტომ ლაუსენი ჟურნალისტთან და ექიმ პოლ ბრანდენბურგთან საუბარში, 2024 წლის მარტში, <https://www.youtube.com/watch?v=VeyP2IGxjdc>.

<sup>80</sup> იხ. მაგ. საჯარო მაუნყებლის, სამხრეთ-დასავლეთ რადიოს ინტერვიუ დაზარალებულ კაბარეს არტისტ კრისტინე პრაიონთან, 2024 წლის 23 აპრილს. („Christine Prayon hat Impfschaden: Kampf um Hilfe bei Post-Vac“), <https://www.swr.de/swr1/swr1leute/kabarettistin->

<christine-prayon-impfschaden-nach-corona-impfungpost-vac-syndrom-100.html>.

<sup>81</sup> Fernanda Garcia-Fossa and Marcelo Bispo de Jesus, Cationic solid lipid nanoparticles (SLN) complexed with plasmid DNA enhance prostate cancer cells (PC-3) migration, NANOTOXICOLOGY, published 1.2.204m <https://doi.org/10.1080/17435390.2024.2307616>: Danach können kationische Lipid-Nanopartikel die Migration von Prostatakrebszellen (PC-3) und damit die Krebsentstehung fördern.

<sup>82</sup> სიტყვასიტყვით გამოქვეყნდა <https://fassadenkratzer.wordpress.com/2022/04/01/pathologen-setzen-in-brandbriefen-dem-paul-ehrlich-institut-kurze-frist-das-impfen-unverzuglich-zu-stoppen/>.

ადამიანის სხეულში არ ხდება მხოლოდ ინექციის ადგილზე კუნთში, არამედ შესაძლებელია წარმოიქმნას ყველა უჯრედსა და ორგანოში, ზოგიერთ შემთხვევაში, ტვინშიც.“ ამასთან, „ასევე დადასტურებულია, რომ ვაქცინების ნივთიერებას შეუძლია სისხლ-ტვინის ბარიერის გადალახვა.“ სპაიკ-პროტეინის ექსპრესია იწვევს „მძიმე ანთებით რეაქციებს დაზარალებულ ორგანოებში, რამაც პაციენტი შეიძლება სიკვდილამდე მიიყვანოს.“ პენსიონერი პროფესორის კერძო ინსტიტუტში ჩატარებული კვლევები რეაქციაა იმ ფაქტზე, რომ ხელისუფლებამ უარი თქვა სისტემატურ აუტოპსიაზე იმ პირებისთვის, რომლებიც ვაქცინაციის შემდეგ მოკლე დროში გარდაიცვალნენ, რის გამოც ზოგიერთი ახლობელი პროფესორის კერძო ინსტიტუტს მიმართავდა.<sup>83</sup>

არ არის საჭირო, კოვიდ-ვაქცინების ეფექტურობასა და საიმედოობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული და სხვა შემამოფოთებელი საკითხები უფრო დეტალურად განვიხილოთ. რამდენად სამართლიანია ეს შეშფოთებები, აქ არ უნდა გაირკვეს. დისკუსია კომპლექსურია, და თითქმის ყველა კრიტიკულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ერთი მეცნიერის მხრიდან გამოთქმული შეხედულებების საპასუხოდ, სხვა მეცნიერები ან, უფრო ხშირად, საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებული „ფაქტების შემმოწმებლები“ ცდილობენ კრიტიკის უარყოფას ან, მინიმუმ, მეცნიერების დაკნინებას. რაც აუცილებლად უნდა ითქვას, არის შემდეგი – არსებობს საკმარისი საფუძველი, რომლითაც ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA-ს) პოზიტიური სარგებლისა და რისკის ანალიზის მტკიცებულების ეფექტი, მინიმუმ, ნებართვის გაცემის

შემდეგ, ახალი მიგნებების საფუძველზე, ეჭვქვეშ უნდა დადგეს. ეს სამოქალაქო სასამართლოებისთვის ნიშნავს, რომ მათ უნდა ამტკიცონ ვაქცინის მავნე ზემოქმედების „გასამართლებლად“ მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 1 პარაგრაფის მიხედვით, თუკი პასუხისმგებლობის დაკისრების დანარჩენი წინაპირობები, განსაკუთრებით ვაქცინის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის ზიანის მიზეზობრიობა, დადგენილია. აქამდე აღნიშნული არ მომხდარა.

## 2. ინფორმაციის წუნ

ინფორმაციის წუნის ბრალდება საშუალებას აძლევს ვაქცინით დაზარალებულს, გადალახოს სარგებლისა და რისკის ანალიზის საერთო განხილვის ბარიერი მწარმოებლის მიმართ პრეტენზიის წამოსაყენებლად. მისი ინდივიდუალური (კაუზალური), ვაქცინით გამოწვეული ზიანი, რელევანტურია, თუ დაზარალებული დაამტკიცებს, რომ სათანადო ინფორმირების შემთხვევაში, ის არ აიცრებოდა. მწარმოებლის მხრიდან ინფორმირება წუნდება, თუ მარკირება, სპეციალური ინფორმაცია ან გამოყენების ინსტრუქცია „არ შეესაბამება სამედიცინო მეცნიერების ცოდნის დონეს“ (მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 2 პარაგრაფი). ამასთან დაკავშირებით მაქვს ორი შენიშვნა.

### ა) მწარმოებლის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციის წუნზე?

სხვა მედიკამენტებისგან განსხვავებით და გაცილებით ინტენსიურად, ვიდრე წინა ვაქცი-

<sup>83</sup> იხ. აგრეთვე das posthum erschiene Buch „Vom Stachel im Fleisch – Wie das Corona-, Impf- Spikeprotein Schaden anrichtet“ (hrsg. von A. Burkhardt, W. Lang und N. Schwarz, Hamburg 2023) მისი ქსოვილის ნაჭრების ანალიზის შედეგად, რომელიც ჩატარდა საერთო ჯამში 85-ზე მეტი გარდაცვლილისა და 75-ზე მეტი ცოცხალი კორონავირუსით აცრილის მიმართ, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ mRNA ვაქცინის სპაიკ-ცილების მიერ დადასტურებულ და შესაძლო ზემოქმედებებზე: იმუნური სისტემის დასუსტება და სუპრესია, სისხლძარღვების დახშობა, ორგანოებისა და სისხლძარღვების ან-

თებები, აუტოიმუნური რეაქციები, ასევე შესაძლებელია მკვდარობილობა, კიბო და დროზე ადრე დაბერება, რომელიც გამოწვეულია პათოლოგიისთვის ხილული ელასტიკური ბოჭკოების განადგურებით. passend dazu Gibo et al. 2024, Increased Age-Adjusted Cancer Mortality After the Third mRNA-Lipid Nanoparticle Vaccine Dose During the COVID-19 Pandemic in Japan, DOI: <https://doi.org/10.7759/cureus.57860>. ავტორები იტყობინებიან კიბოს შემთხვევების მნიშვნელოვან ზრდაზე იაპონიაში კორონავირუსის mRNA ვაქცინის მესამე დოზის მიღების შემდეგ.

ნაციის კამპანიებისას, მაგალითად ლორის გრიპის შემთხვევაში, კოვიდ-ვაქცინებისას მოხდა მწარმოებლის ინფორმაციისა და ჯანდაცვის უწყებების და სხვა ხელისუფლების წარმომადგენლების (მათ შორის ფედერალური მთავრობისა და მისი ჯანდაცვის მინისტრის) მხრიდან გავრცელებული ინფორმაციის აღრევა. ოფიციალური ინფორმაცია დომინანტური იყო არა მხოლოდ სახელმწიფო ვაქცინაციის რეკლამის გამო. ერთი მხრივ, უკვე ნახსენებმა კოვიდ-შეზღუდვების დადგენილებამ მწარმოებლები ცალსახად გაათავისუფლა შეფუთვის დანართის შექმნის ვალდებულებისგან, იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინები სახელმწიფოს მიერ იყო შექმნილი და გაყიდული (სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 I პარაგრაფი მედიკამენტების შესახებ კანონის მე-10, მე-11 და მე-11ა პარაგრაფებთან ურთიერთკავშირში); მეორე მხრივ, უწყებებმა შექმნეს და განაახლეს საკუთარი საინფორმაციო ფურცლები ვაქცინების შესახებ. ისინი რეგულარულად ეყრდნობოდნენ რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) ნიმუშს.<sup>84</sup>

რობერტ კოხის ინსტიტუტი (RKI) არის ფედერალური ჯანდაცვის სამინისტროს საქმიანობის სფეროში შემავალი ფედერალური ინსტიტუტი და, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, „გამოყენებითი და ღონისძიებებზე ორიენტირებული ბიომედიცინის კვლევების“ მეშვეობით პასუხისმგებელია დაავადებების, განსაკუთრებით ინფექციური დაავადებების, „აღმოჩენაზე, პრევენციასა და მათთან ბრძოლაზე“.<sup>85</sup> ვაქცინაციაზე პასუხისმგებელი ექიმები, თუ საერთოდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ინფორმა-

ციის მიწოდებასთან დაკავშირებით, უმეტესწილად შემოიფარგლებოდნენ ხოლმე იმ ფურცლების წარდგენით, რომლებიც შეიცავდა, ერთი მხრივ, ანამნეზის ფორმას და, მეორე მხრივ, თანხმობის ფორმულას (მათ შორის დადასტურებას განმარტების ფურცლის შინაარსის ცნობად მიღებასთან დაკავშირებით). აქედან გამომდინარე, იკვეთება ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა მწარმოებლებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა, თუ ეს საინფორმაციო ფურცლები არასაკმარისად ჩაითვლება?

ასეთი მოსაზრება სავსებით საფუძვლიანია. ვაქცინაციის კამპანიის დასაწყისში, ორ გვერდიან განმარტების ფურცელში რუბრიკის ქვეშ - „აქვს თუ არა ვაქცინაციას გართულებები?“ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ნაკითხვა, რომ „გავრცელებული კლინიკური კვლევების დროს“ „განსახილველი mRNA ვაქცინის მიღების შემდეგ“ „არ არის შემჩნეული ისეთი გართულებები, როგორებიცაა მძიმე აუტოიმუნური რეაქციები ან მძიმე ნევროლოგიური გართულებები.“ ეს განცხადება სულ მცირე პრობლემურია. როგორც ამბობენ, Pfizer-ის 40,000-ზე მეტი მონაწილე ჯგუფის ვაქცინირებულ ნაწილში სიკვდილიანობის რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე არავაქცინირებულ ნაწილში, სანამ არავაქცინირებული ჯგუფი არ დაიშალა. ამჟამინდელი ფურცელი, რომელიც უკვე ხუთ-ნახევარი გვერდია, დაახლოებით ნახევარ გვერდზე განიხილავს თემას „ვაქცინაციის იშვიათი გვერდითი მოვლენები“ და აქვე იუწყება „ძალიან იშვიათ“ გულის დაავადებებზე. სხვადასხვა გვერდითი მოვლენების გრძელი სია (დამტკიცებულებით)

<sup>84</sup> იხ. მაგ., რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) ხუთგვერდიანი „განმარტებითი ფურცელი“ დათარიღებული 2020 წლის 9 დეკემბრით. („Zur Schutzimpfung gegen COVID-19 (Corona Virus Disease 2019) – mit mRNA-Impfstoff“), <https://fragdenstaat.de/anfrage/briefverkehr-mit-biontech/>; რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) განახლებული განმარტებითი ფურცელი დათარიღებული 2021 წლის 19 ოქტომბრით. „Zur Schutzimpfung gegen COVID-19 (Corona Virus Disease 2019) – mit mRNA-Impfstoffen – (Comirnaty® von BioNTech / Pfizer und Spikevax®, ehemals COVID-19 Vaccine Moderna® von Moderna)“, [https://www.pei.de/SharedDocs/Downloads/DE/arzneimittel/aufklaerungsbogen-mrna-](https://www.pei.de/SharedDocs/Downloads/DE/arzneimittel/aufklaerungsbogen-mrna-impfstoffe.pdf)

[impfstoffe.pdf](https://www.pei.de/SharedDocs/Downloads/DE/arzneimittel/aufklaerungsbogen-mrna-impfstoffe.pdf); რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) განმარტებითი ფურცელი დათარიღებული 30.1.2024, <https://www.rki.de/DE/Content/Infekt/Impfen/Materialien/Downloads-COVID-19/Aufklaerungsbogen-de.pdf>.

აღნიშნული განმარტებითი ფურცლები არსებობს რამდენიმე ენაზე, მათ შორის შედგენილია მარტივი ენით. ისინი გავრცელებულია ყველა შესაძლო საჯარო დაწესებულების მიერ, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტების, ასევე იმუნიზაციის ცენტრების, მაგალითად, გერმანიის წითელი ჯვრის ან კარიტასის მიერ.

<sup>85</sup> იხილეთ ინსტიტუტის თვითაღწერა ინტერნეტში, შემდეგ მისამართზე: [https://www.rki.de/DE/Content/Institut/institut\\_node.html](https://www.rki.de/DE/Content/Institut/institut_node.html), ბოლო ნახვა 27.5.2024.



რომ არ იყოს), რომლებიც ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMA) გვერდითი მოვლენების მონაცემთა ბაზაში იძენება, არ არის ნახსენები. სიკვდილიანობის რისკთან დაკავშირებით კი მხოლოდ ლაკონურად და მხოლოდ გულის დაავადებებთან დაკავშირებითაა აღნიშნული, რომ „ასევე არსებობს მძიმე შემთხვევები“, „ცალკეული ადამიანები გარდაიცვალნენ“ (გვერდი 5). სხვაგან არის მხოლოდ ზოგადი მითითება: „საერთოდ, როგორც ყველა ვაქცინების შემთხვევაში, ძალიან იშვიათ შემთხვევებში არ არის გამორიცხული აქამდე უცნობი გართულებები,“ რომელიც შეტანილი იყო 2021 წლით დათარიღებულ ფურცელში.

რა თქმა უნდა, მწარმოებლები არ ყოყმანობენ, რომ რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) შედარებით უმნიშვნელო განმარტებითი ფურცლებისთვის პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე აიღონ.<sup>86</sup> ჯერჯერობით არ არის ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა. ჩემი აზრით, შეუძლებელია, რომ მწარმოებლები სახელმწიფო ორგანოების უკან დაიმალონ, რომელთაც ინფორმაციის პასუხისმგებლობის ვალდებულება გააჩნიათ დაზარალებულების წინაშე. სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 IV პარაგრაფი მწარმოებლებს ათავისუფლებს მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფის მიხედვით ვაქცინისგან გამოწვეული დაზიანებების პასუხისმგებლობისგან, თუკი ზიანი შეეხება მწარმოებლების ისეთ ქმედებას, რომელიც სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 I პარაგრაფის მიხედვით საგამონაკლისოდ ნებადართულია (ზემოთ C.II.); აღნიშნულს მიეკუთვნება ასევე პროდუქტის სტანდარტული ინფორმა-

ციის გამოქვეყნებაზე უარი. თუმცა, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ ვრცელდება უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ გამოწვეულ დაზიანებებზე. აქვე იმის არგუმენტირება შეიძლება, რომ მწარმოებლებს, განსაკუთრებით გერმანულ მწარმოებელ Biontech-ს, უნდა სცოდნოდათ რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) პროდუქტის ინფორმაციის წუნის შესახებ და რომ მათ ვაქცინის მიმღებები, რისკებთან დაკავშირებით, განზრახ შეიყვანეს შეცდომაში, რაც გერმანული გაგებით განზრახვად (dolus directus 2. Grades) უნდა დაკვალიფიცირდეს.

რელევანტური შეიძლება იყოს გსკ-ის 823 I პარაგრაფის ზოგადი დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველზე არგუმენტირებაც, რომლის გამოყენებასაც სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 IV პარაგრაფი პირდაპირ არ კრძალავს. ცხადია, მწარმოებლებს ვერ დავადასაშაულებთ გსკ-ის გამოყენებით ისეთი ქცევისთვის, რომელიც სხვა სპეციალური ნორმით, მაგ. სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 I პარაგრაფით, ნებადართულია.<sup>87</sup> თუმცა, სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილების (MedBVS) 3 I ნორმა ნებას არ აძლევს მწარმოებლებს, რომ პროდუქტის (მთავრობის დახმარებით) ბაზარზე შემოტანის შემდეგ ხელები დაიბანონ და თვალები დახუჭონ. პირიქით, პროდუქტის მონიტორინგის ვალდებულების ძირითადი პრინციპები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში გსკ-ის 823 I პარაგრაფის ფარგლებშია განვითარებული, უნდა იყოს გამოყენებადი. ამის მიხედვით, მწარმოებელი ვალდებულია, რომ პროდუქტის ბაზარზე შემოტანის შემდეგაც გააგრძელოს მისი (აქტიური და პასიუ-

<sup>86</sup> ასეა მაგ. „Comirnaty“-ის მწარმოებელი მენხენგლადბახის საოლქო სასამართლოში, Urteil vom 28.9.2023, 1 O 25/23, juris, Rn. 50: როგორც სასამართლო იტყობინება, მწარმოებელი ამტკიცებდა, რომ („რობერტ-კოხის ინსტიტუტთან თანამშრომლობით“ შექმნილი) განმარტებითი ფურცელი არ წარმოადგენს სპეციალურ ინფორმაციას, გამოყენების ინსტრუქციას ან სხვა მარკირებას მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 2 პარაგრაფის მიხედვით.

<sup>87</sup> რადგან გსკ-ის 823 I პარაგრაფი ზოგადი „მართლწინააღმდეგობის“ მახასიათებლით მოიცავს მთელ სამართლებრივ სისტემას, ვერ მოხდება იმის არგუმენტირება, რომ გსკ, როგორც კანონი, პრიორიტეტული უნდა იყოს მთავრობის სამართლებრივ რეგულაციასთან, კერძოდ სამედიცინო მოთხოვნილების უზრუნველყოფის დადგენილებასთან (MedBVS) მიმართებით.

რი) ეფექტების მონიტორინგი მომხმარებლებს-სთვის, რაც მოიცავს ამ პროდუქტზე სამეცნიერო ცოდნის მოპოვებას. თუ პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშობა, მან ეს პრობლემები არამხოლოდ ახალი პროდუქტის ბაზარზე შემოტანისას უნდა გაითვალისწინოს, არამედ უკვე ბაზარზე არსებული პროდუქტის შესახებ საჯარო გაფრთხილებებიც უნდა გამოაქვეყნოს და, საჭიროების შემთხვევაში, პროდუქტის უკან განწვევაც უზრუნველყოს.<sup>88</sup> ლოგიკურია, რომ მოცემული მოსაზრება, რომელიც თავდაპირველად კონსტრუქციული და ფაბრიკაციის წუნისთვის იყო შემუშავებული, ინსტრუქციულ წუნზეც გავრცელდეს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ერთი ნაბიჯია დარჩენილი, მოცემულ ფარგლებში მოექცეს ისეთი წუნდებული ინფორმაცია, რომელიც მწარმოებლისგან არ მომდინარეობს, მაგრამ მესამე პირი, ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო, მის ნაცვლად ავრცელებს.

## ბ) არსებული გაურკვევლობების შესახებ ინფორმირების ვალდებულება

მეორე შენიშვნა, დაკავშირებული მწარმოებლების ინფორმაციულ პასუხისმგებლობასთან, შეეხება იმ ფაქტს, რომ ვაქცინების თანმდევი არაერთი ეფექტი, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ან მათი ბაზარზე შემოტანის მომენტში არ იყო შესასწავლი. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ ავტორიზაციის კვლევებში არ იყო ტესტირებული, ვაქცინირებული ადამიანი იყო თუ არა გადამდები ან ვაქცინა იყო თუ არა უსაფრთხო ორსულებისთვის. ვაქცინების ხანგრძლივი შედეგები, მათი სიახლის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ადამიანები ვაქცინის გაკეთებამდე უნდა იცნობდნენ ამ გაურკვევლობებს და ასევე იმ ფაქტს, რომ მათ არ შეუძლიათ ყოვლისმო-

მცველი სარგებლისა და რისკის შეპირისპირება. გასულ წელს, გერმანიის წამყვან იურიდიულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც დიდი ყურადღებით იქნა განხილული, მოხსენიებული იყო ვაქცინის შესახებ ექიმის ინფორმირების ვალდებულებები,<sup>89</sup> და შესაბამისად, არ არსებობს მიზეზი, რატომ არ უნდა გავრცელდეს ეს მოსაზრება მწარმოებლის ინფორმაციაზე, მით უმეტეს, რომ ექიმი ჩვეულებრივ (ასევე) მოქმედებს, როგორც მწარმოებლის ინფორმაციის გადამცემი. რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) განმარტებითი ფურცლები არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. აღნიშნული ეხება შემდეგ წინადადებას: "ზოგადად შეუძლებელია – როგორც ყველა ვაქცინის შემთხვევაში – ძალიან იშვიათი, აქამდე უცნობი გართულებების გამორიცხვაც", რომელიც რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) mRNA ვაქცინების განმარტებით ფურცელში 2023 წლის 5 ოქტომბერს იყო მითითებული. ყველა სხვა ვაქცინასთან გათანაბრება ამცირებს იმ საფრთხეს, რომელიც კონკრეტულად ამ ახალი ტიპის ვაქცინის ტექნოლოგიიდან გამომდინარეობს. ტერმინი "გართულება" ასევე სთავაზობს, რომ საკითხი არ ეხება სისტემატურ, ბევრი ვაქცინირებული პირისთვის დამახასიათებელ რისკებს. ფურცლის უფრო ადრეულ მაგ. 2022 წლის 29 სექტემბრის ან 2021 წლის 19 ოქტომბრის ვერსიებში, გამოიყენებოდა შემდეგი ფორმულირება: "ზოგადად შეუძლებელია, როგორც ყველა სხვა ვაქცინის შემთხვევაში, ძალიან იშვიათ შემთხვევებში მყისიერი ალერგიული რეაქციის, შოკის ან სხვა აქამდე უცნობი გართულებების გამორიცხვაც". ალერგიული შოკის რეაქციების გამოყოფა აქ უფრო მეტად უკანა პლანზე გადაწევს სხვა "უცნობ გართულებებს". საინტერესო იქნება, გაიზიარებენ თუ არა სასამართლოები ამ არგუმენტაციას.

## II. მიზეზობრივი კავშირის მტკიცება

vom 27.9.1994, VI ZR 150/93).

<sup>89</sup> Gebauer und Gierhake, Ärztliche Aufklärung bei Behandlungen mit bedingt zugelassenen mRNA-Impfparzneien, Neue Juristische Wochenschrift 2023, 2231, 2225.

<sup>88</sup> მაგ. Spindler, in: BeckOGK, BGB § 823 Rn. 670 (1.8.2023) მაგ., სუნთქვის მონიტორინგის აპარატის მწარმოებელს ვალდებულება აქვს მოახდინოს რეაგირება, თუ აღმოჩნდება, რომ პაციენტები განიცდიან ტვინის დაზიანებას არასწორი კაბელის შეერთების შედეგად ელექტრო შოკის გამო. (Bundesgerichtshof, Urteil

## 1. პროდუქტის ნუნი

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებს შეუძლიათ კორონა კრიზისის შესახებ მინიმუმ, უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე, სარგებლისა და რისკის შეპირისპირება შედარებით მარტივად საცილო გახადონ, მიზეზობრივი კავშირის მტკიცება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად რჩება ვაქცინით დაზარალებულებისთვის. მწარმოებლები დავის პროცესში რეგულარულად უარყოფენ მოპასუხეების მტკიცებას, რომ მათი (ხშირად მრავალფეროვანი და არასპეციფიკური) ჯანმრთელობის პრობლემები გამოწვეულია ვაქცინების ზემოქმედებით.

### ა) სტატუს კვო

სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე სადავო ფაქტები სასამართლოში საჭიროებს მტკიცებას, რაც უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) მიერ დაშვებული მტკიცებულებებით (ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცება (Anscheinsbeweis), მოწმეები, დოკუმენტები, ექსპერტის დასკვნა, მხარის დაკითხვა). აქ ორი სამართლებრივი კონცეფცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს: მტკიცების ტვირთი და მტკიცების სტანდარტი.<sup>90</sup> მტკიცების ტვირთის წესები ადგენენ, ვინ წააგებს საქმეს წარუმატებელი

მტკიცების შემთხვევაში.<sup>91</sup> ძირითადად, თითოეული მხარე ფლობს ობიექტური მტკიცების ტვირთს იმ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობის შესახებ, რომელთა სამართლებრივი შედეგები მათთვის ხელსაყრელია (მაგ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ან, მეორე მხარის გათავისუფლება ასეთი ვალდებულებისგან), და რომელსაც ისინი ეყრდნობიან. მოთხოვნის ავტორები ფლობენ მოთხოვნის ფაქტობრივი წინაპირობების მტკიცებულების ვალდებულების ტვირთს, ხოლო მოთხოვნის საპასუხოდ მოქმედმა პირებმა უნდა დაამტკიცონ ის წინაპირობები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოთხოვნას,<sup>92</sup> თუკი სურთ წარმატების მიღწევა (მტკიცებულების ტვირთის ძირითადი წესი). ამასთან, თითოეულმა მხარემ, რომელსაც მტკიცების ვალდებულება გააჩნია, საკუთარი სადავო ფაქტობრივი გარემოებები შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა გაამყაროს. შემდეგ სასამართლო გადაწყვეტს – ლოგიკური მოსაზრებებისა და ზოგადი გამოცდილების წესების ფარგლებში – „შინაგანი რწმენით“, მტკიცება არის თუ არა მტკიცებულებით გამყარებული, ანუ „ჭეშმარიტად“ აღიარებული (მტკიცებულების თავისუფალი შეფასება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286 I 1 პარაგრაფი). სასამართლო „შეიძლება და უნდა“ დაკმაყოფილდეს „იმგვარი დარწმუნების ხარისხით, რომელიც პრაქტიკული ცხოვრებისათვის საკმარისია, და რომელიც ეჭვებს აქარწყლებს, თუმცა მათ სრულად არ გამორიცხავს“.<sup>93</sup> აღნიშნული აღწერს რწმუნების

<sup>90</sup> გერმანიის სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველების შესახებ იხილეთ ასევე G. Reiner and A. Piplack, „Требования к доказыванию причинно-следственной связи в случаях причинения вреда вследствие вакцинации от COVID-19: замечания к немецкому праву“, in: Ассоциация юристов России, Тенденции развития законодательства о деликтных обязательствах (Медведевские чтения 2022), Волгоград, 2022, Seiten 105, 108, 109.

<sup>91</sup> ეს არის ე. წ. ობიექტური ან მატერიალური მტკიცების ტვირთი. ე. წ. სუბიექტური (ან ფორმალური) მტკიცების ტვირთი (ასევე: მტკიცების წარმართვის ტვირთი) განსხვავებით ამ უკანასკნელისგან, მიუთითებს, რომელმაც მხარემ (სამოქალაქო პროცესში) უნდა წარმოადგინოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს ფაქტები, რათა მათი შეტევის ან დაცვის საშუალებები

იყოს დამაჯერებელი. იგი მიჰყვება ობიექტური მტკიცების ტვირთის წესებს. (მაგ. Prütting, in Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 100-106).

<sup>92</sup> Prütting (in Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 114) შემდეგნაირად აფორმულირებს: „მოთხოვნის წარმდგენი მხარე ატარებს მტკიცების ტვირთს სამართლებრივი საფუძვლის მქონე ფაქტობრივი გარემოებების, ხოლო მოპასუხე მხარე ატარებს სამართლებრივად შემაფერხებელი, სამართლებრივად გამანადგურებელი და სამართლებრივად შემაკავებელი გარემოებების მტკიცების ტვირთს.“

<sup>93</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 17.2.1970, III ZR 139/67, BGHZ 53, 245, „Anastasia“, juris, Rn. 72, პირის წარმომავლობის დასამტკიცებლად; ასევე მაგ. Bundesgerichtshof, Urteil vom 19.7.2019, V ZR 255/17, juris, Rn.

საჭირო ხარისხს (**Regelbeweismaß**) სრულად მტკიცების დროს.<sup>94</sup> თუ მტკიცებულების განხილვის შემდეგ სასამართლოში დარჩება მნიშვნელოვანი ეჭვები, მტკიცებისთვის სავალდებულო ფაქტი არ ჩაითვლება დამტკიცებულად;<sup>95</sup> ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის მხარისთვის ხელსაყრელი ნორმა (მაგ. პასუხისმგებლობის მოთხოვნა) არ გამოიყენება.

მიზეზობრივი კავშირის მტკიცება (პოტენციურ) მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის სამართლებრივი სიკეთის ზიანს შორის, ზიანის ანაზღაურების ფარგლებში, ზოგადად, მონინააღმდეგე მხარეს ეკისრება. მტკიცების განსაკუთრებული სირთულეები უკავშირდება არა მხოლოდ მედიკამენტების ან ვაქცინების ზიანს, არამედ მიზეზობრივ კავშირსაც, მისი ბუნებიდან გამომდინარე. ფიზიკური კავშირის დადგენა პირის ქცევასა და გარკვეულ ფენომენს თუ მოვლენებს შორის (ან პირიქით) მოითხოვს ჰიპოთეტურ განხილვას, ანუ ვარაუდს, რომ ფენომენები ან მოვლენები (მაგ. დაზარალებულის მდგომარეობა) სხვანაირად იქნებოდა, თუ მოცემული პირი სხვანაირად (ანუ ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, კანონიერად) მოქცეოდა. ეს განხილვა სპეკულაციურია და, ზუსტად რომ ვთქვათ, შეუძლებელია ამის დარწმუნებით დამტკიცება, არამედ მხოლოდ გამოცდილების ანუ ტიპური, სავარაუდო მოვლენების საფუძველზეა დამტკიცებადი.<sup>96</sup> მედიკამენტებთან მიმართებით ამგვარი ჰიპოთეტური განხილვა განსაკუთრებით რთულია, რადგან საქმე ეხება ადამიანის ორგანიზმში არსებული ქმედითი კავშირების შეფასებას. ამ მიზეზით, 2002 წლის რეფორმის შემდეგ, მედიკამენტების შესახებ კანონის (**AMG**) 84-ე პარაგრაფის პასუხისმგებლობის ნორმა დაზარალებულს უზრუნველყოფს

მტკიცების შერბილებული ფორმით. ეს, ერთი შეხედვით, საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება და მოკლედ შემდეგნაირად ჟღერს:

"(2) თუ გამოყენებული მედიკამენტი, ინდივიდუალური შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაბამისია ზიანის გამონვევისთვის, ივარაუდება, რომ ზიანი ამ მედიკამენტმა გამოიწვია".

ინდივიდუალური შემთხვევის შესაბამისობა შეფასდება გამოყენებული მედიკამენტის შემადგენლობისა და დოზის, მისი მიზნობრივი გამოყენების ტიპისა და ხანგრძლივობის მიხედვით, ასევე ზიანის დადგომის დროითი კავშირის, ზიანის ზოგადი სურათისა და მედიკამენტის გამოყენების დროისთვის დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობით, აგრეთვე ყველა სხვა გარემოებით, რომელიც ინდივიდუალურ შემთხვევაში ზიანის გამონვევაზე ან არ გამოწვევაზე მეტყველებს.

პრეზუმცია არ მოქმედებს, თუ სხვა გარემოება ინდივიდუალური შემთხვევის მოცემულობისთვის შესაფერისია, რათა ზიანი გამოიწვიოს. [...]"

მსგავსი კანონისმიერი პრეზუმციები განიხილება, როგორც მტკიცების ტვირთის დანაწილების წესები;<sup>97</sup> ჩვეულებრივ, ისინი აბრუნებენ მტკიცების ტვირთის ძირითად წესს. ეს ასევე ვრცელდება მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II პარაგრაფზე. ნორმის სტრუქტურა, რათქმა უნდა, კომპლექსურია. პროდუქტის ზოგადი ზიანის შესაძლებლობა, რომელიც თითოეულ მომხმარებელს ემუქრება და რომელიც იყო ან უნდა ყოფილიყო განხილვის საგანი ავტორიზაციის პროცესში,<sup>98</sup> არ არის საკმარისი პრეზუმციის გამოსაყენებლად. საჭიროა გარემოებე-

27, მფლობელის არაკეთილსინდისიერების დასამტკიცებლად, რომელიც გამოირიცხავს შეძენის უფლებას.

<sup>94</sup> მაგ., *Prütting*, in *Münchener Kommentar zur ZPO*, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 35.

<sup>95</sup> ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია პირიქით სავალდებულოდ სამტკიცებელი მოსაზრების უსწორობის დასკვნა გამოიტანოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286 I 1 პარაგრაფის ტექსტი ამ მხრივ შეიძლება შეცდომაში შემყვანი იყოს („სასამართლომ, განხილვების მთელი შინაარსის და შესაძლო მტკიცებუ-

ლების განხილვის შედეგების გათვალისწინებით, თავისუფალი რწმენით უნდა გადაწყვიტოს, ფაქტობრივი მტკიცება ჭეშმარიტია თუ მცდარი“).

<sup>96</sup> მსგავსად *Wagner*, in: *Münchener Kommentar zum BGB*, 9. Auflage 2023, გსკ-ის 630h პარაგრაფი, Rn. 80: ქმედებითი კავშირის ობიექტურ გაურკვეველობას აქვს „ეპისტემოლოგიური მიზეზი“.

<sup>97</sup> *Prütting* in *Münchener Kommentar zur ZPO*, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 135, 136.

<sup>98</sup> პოლ ერლიხის ინსტიტუტს ამჟამად აქვს 50000-ზე მე-

ბის საკმარისი აღწერა, რომლებიც ზრდიან ზიანის მიყენების რისკს დაზარალებული პაციენტის კონკრეტულ შემთხვევაში. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, გადატანილი დაავადება, რომელიც ცნობილია, რომ ცუდად ჰარმონირებს ვაქცინასთან.

მწარმოებლების დაცვის მიზნით, კანონი დამატებით მოითხოვს, რომ დაზარალებულმა წარმოადგინოს ყველა გარემოება, მათ შორის ისინიც, რომლებიც ეწინააღმდეგება მედიკამენტის მიერ ზიანის მიყენების ფაქტს. ამიტომ, მას უნევს თავისი სამედიცინო დოკუმენტების ჩვენება. ეს კი ფარმაცევტულ კომპანიას უადვილებს დაზარალებულის პიროვნებაში ალტერნატიული მიზეზების ძებნას, რომლებიც პრეზუმციას გააბათილებენ. ფარმაცევტულ კომპანიას შეუძლია მიზეზობრივი კავშირის პრეზუმციის გაბათილება, თუ ის დაადასტურებს, რომ „სხვა გარემოებაც ინდივიდუალური შემთხვევის პირობებში შესაფერისია ზიანის გამონვევად“ (მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II 3 პარაგრაფი). პრაქტიკამ აჩვენა, რომ მტკიცების ტვირთის ასეთი შემსუბუქების შესაძლებლობა მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II 1 პარაგრაფით მონესრიგებული მიზეზობრივი კავშირის პრეზუმციის ეფექტს ძირითადად აბათილებს და ეს, მიუხედავად იმისა რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაა, როგორც უკვე ითქვა (ზემოთ B.II.) 2002 წლიდან ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოთხოვნის უფლებებითაა დაცული (მედიკამენტების შესახებ კანონის 84 ა პარაგრაფი).

ცხადია, არც ისე რთულია სხვა ფაქტორების პოვნა, რომლებსაც ასევე შეეძლოთ გამოენვიათ ჯანმრთელობის სადავო დაზიანება. მაგალი-

თად, ქალმა, რომელსაც მიღებული ჰქონდა კონტრაცეპტული აბი „Yasminelle“ და განიცადა ფილტვის ემბოლია, წააგო ზიანის ანაზღაურების პროცესი გერმანული მწარმოებელი კომპანია „Bayer AG“-ის წინააღმდეგ. ორი ინსტანციის სასამართლომ არ ჩათვალა მიზეზობრივი კავშირი დამტკიცებულად, რადგან სასამართლო ექსპერტმა ვერ შეძლო საჭირო სანდოობით ორი ალტერნატიული მიზეზის გამორიცხვა: ქალის მოგზაურობა ხანგრძლივი ფრენებით და ვენების თანდაყოლილი ანომალია.<sup>99</sup> ანალოგიურად, უშედეგო აღმოჩნდა მწარმოებელი „Merck Sharp & Dohme“-ის წინააღმდეგ მამაკაცის სარჩელი, რომელმაც რევმატული პრეპარატი VIOXX-ის მიღების შემდეგ მიიღო ინსულტი.<sup>100</sup> შედარებითვის: აშშ-ში VIOXX-ის მწარმოებელმა, დაზარალებულ მომხმარებლებს გადაუხადა 4.85 მილიარდი აშშ დოლარი. გერმანიაში, VIOXX-ით დაზარალებულები, 2013 წლის 26 მარტის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, ცარიელი ხელებით დარჩნენ. ამრიგად, მედიკამენტების მწარმოებელთა პასუხისმგებლობა, მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფის მიხედვით, დღემდე ცარიელი ფურცელია. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, 2002 წელს მედიკამენტების შესახებ კანონის 84-ე პარაგრაფში მოქცეული მტკიცების ტვირთის შებრუნების შემდეგ, ზიანის ანაზღაურების არც ერთი სარჩელი, ფარმაცევტული კომპანიის წინააღმდეგ, წარმატებული არ ყოფილა.

სასამართლომ, მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II პარაგრაფის („ივარაუდება“) სიტყვა სიტყვით განმარტების საფუძველზე, უარყო მტკიცების ტვირთის წესიდან მტკიცების სტა-

ტი შეტყობინება ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების შესახებ, რომლებშიც არსებობს ვაქცინაციის გამო გამონვეული ზიანის ეჭვები. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ არარეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა 90%-ს შეადგენს. მით უმეტეს, რომ ვაქცინირებული ადამიანები ხშირად ავადდებიან კორონათი და ზიანს ავტომატურად და სისტემატურად „Long Covid“-ს მიაწერენ. სულ ახლახან, 2024 წლის 23 აპრილს, ტელევიზიით ცნობილი კაბარე არტისტის შემთხვევა, რომლის ზიანიც გამონვეული ვაქცინაციით ოფიციალურად იქნა აღიარებული, კიდევ ერთხელ ადასტურებს

დაზარალებულების შეტყობინებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ექიმების უმეტესობას არ სურს რაიმე იცოდეს ვაქცინით გამონვეული ზიანის შესახებ (<https://www.swr.de/swr1/swr1leute/kabarettistin-christine-prayon-impfschaden-nach-corona-impfungpostvacsyndrom-100.html>; ბოლოს ნანახია 27.4.2024).

<sup>99</sup> Oberlandesgericht Karlsruhe, Urteil vom 25.6.2021, 4 U 19/19, juris, Rn. 30 ff. (უმაღლესი ფედერაციული სასამართლომ საქმე დაუშვებლად ცნო).

<sup>100</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 26.3.2013, VI ZR 109/12.

ნდარტის შემცირების, ანუ მტკიცებულების შეფასებისას მოსამართლეთა დარწმუნების საჭირო ხარისხის შემცირების, ინტერპრეტაცია.<sup>101</sup> აღნიშნული საკითხი რელევანტური იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II პარაგრაფით გათვალისწინებული პრეზუმცია ვერ იქნება გამოყენებული მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II 3 პარაგრაფის საფუძველზე. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საკმარისი არ იქნება, თუ მოსამართლეები ინდიკატორების, თუ რომელი გარემოებები მეტყველებენ მიზეზობრივი კავშირის არსებობის თუ არ არსებობის შესახებ, შეჯამების საფუძველზე დაასკვნიან, რომ მედიკამენტით ზიანის გამოწვევა „მეტად სავარაუდოა“.<sup>102</sup> შესაბამისად, როგორც კი სხვა მიზეზის კონკრეტული შესაძლებლობა გამოჩნდება, ანუ, თუკი ის გონივრულობის ფარგლებში არ გამოირიცხება, მოსამართლეები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესების შესაბამისად (286-ე პარაგრაფი) „სრულად“ უნდა იყვნენ დარწმუნებულები ვაქცინის მიერ გამოწვეული ზიანის მიზეზობრიობაში, რათა მისი

არსებობა დაადგინონ.<sup>103</sup> ამგვარად, მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II პარაგრაფის მტკიცების ტვირთის შემობრუნება არსებითად არ სცილდება იმას, რაც უკვე მიღწეულია ტიპური მოვლენებისათვის ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდევ მტკიცებასთან (*Anscheinsbeweis*) (*prima-facie-Beweis* ქვემოთ ბ.ბ.ააა).

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, (სავარაუდო) კოვიდ-ვაქცინებით გამოწვეული ზიანის მტკიცების შანსები სკეპტიკურად უნდა შეფასდეს. ვაქცინასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაზიანებები იშვიათად არის მონოკაუზალური და რეგულარულად მოითხოვენ პაციენტების გარკვეულ პრედისპოზიციას, რომელიც მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II 3 პარაგრაფის გათვალისწინებით გამორიცხვის საფუძველს ქმნის. განსხვავებულად შეიძლება იყოს საქმე, თუ დაზარალებულის აუტოფსიისას დადასტურდება პოტენციურად ლეტალურ ქსოვილოვანი ცვლილებები, რომლებიც კონკრეტული შემთხვევის სამედიცინო შეფასების მიხედვით მხოლოდ ვაქცინით შეიძლება იყოს გამოწვეული. ამ შემთხვევაში, დაზარალებულისთვის უკვე გვიანი იქნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საჭიროა ალტერნატიული კონცეფციები, რათა დაზარალებულებს მტკიცების სირთულეებში დაეხმაროს.

<sup>101</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 26.3.2013, VI ZR 109/12, juris, Rn. 13, zum Antirheumatikum VIOXX.

<sup>102</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 26.3.2013, VI ZR 109/12, juris, Rn. 12. განსხვავებული მოსაზრება მტკიცების სტანდარტის შემცირებასთან დაკავშირებით - *Wagner*, *Das Zweite Schadensersatzrechtsänderungsgesetz*, *Neue Juristische Wochenschrift* 2002, 2049, 2051: „მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II პარაგრაფი არ წარმოადგენს მიზეზობრიობის პრეზუმციას, არამედ მტკიცების სტანდარტის შემცირებას, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ინკრიმინირებული მედიკამენტის მიზეზობრიობა, რომლის გამოყენებაც ყველა გარემოების შეფასების მიხედვით, დიდი ალბათობით, სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას უკავშირდება“; იგივე *Versicherungsrecht* 2001, 1334, juris, unter II.2.c., „ცალსახად ღიად და ბუნდოვნად ჩამოყალიბებული პრეზუმციის საფუძველზე დაყრდნობით, რომელიც სინამდვილეში წინაპირობად განსაზღვრავს, რომ ნავარაუდევია გარემოება, ანუ მედიკამენტის მიზეზობრიობა

კონკრეტული ჯანმრთელობის დაზიანებასთან სავარაუდოდ არსებობს“.

<sup>103</sup> პირდაპირ აცხადებს *das Landgericht Rottweil, Urteil vom 6.12.2023, 2 O 325/22, juris, Rn. 46, in einem obiter dictum zu „Comirnaty“*: პროდუქტის წუნის არარსებობის გამო, მნიშვნელობა არ აქვს, მოსარჩელის მიერ გადატანილი თვალის ინფარქტი მოპასუხის ვაქცინას უკავშირდება თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელეს ექნებოდა ვალდებულება „მიზეზობრიობის სრული მტკიცების“, რადგან მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II 1 პარაგრაფის მტკიცების პრეზუმცია მედიკამენტების შესახებ კანონის 84 II 3 პარაგრაფით გამოირიცხებოდა. სასამართლო, სამწუხაროდ, რასაც არ ითვალისწინებს არის ის ფაქტი, რომ თვალის ინფარქტის მიზეზობრიობაზე ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა გავლენა მოეხდინა ხარჯების/სარგებლობის თანაფარდობაზე და განსაკუთრებით, მწარმოებლის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე.

## ბ) ალტერნატიული კონცეფციები

### აა) მტკიცების სტანდარტის შემცირება პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობის დროს?

(ზოგად სამოქალაქო საპროცესო) ლიტერატურაში დაფიქსირდა არაერთი მცდელობა, რათა მიზეზობრიობის მტკიცებისას, მოხერხებულყო მტკიცების სტანდარტის, ანუ სასამართლოს საჭირო რწმენის ხარისხის, ზოგადი შემცირება.<sup>104</sup> მეთოდურად ყველაზე დამაჯერებელი შეიძლება იყოს (საერთო) ანალოგია კანონისმიერ ნორმებთან, რომლებიც სპეციალურ შემთხვევებში მტკიცების სტანდარტის შემცირებას ითვალისწინებენ. ამ კონტექსტში დასახელებული მაგალითების<sup>105</sup> მხოლოდ ნაწილი ეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს და მათგან მხოლოდ რამდენიმე უკავშირდება პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ მიზეზობრიობას, ანუ მოპასუხის ქმედების მიზეზობრიობას, ინიცირებულ სამართალდარღვევასთან, რო-

მლის საფუძველზეც პასუხისმგებლობის საფუძველი წარმოიშობა. მტკიცების შერბილების შემთხვევაში ზიანის ზუსტი მოცულობის დადგენას (ე. წ. haftungsausfüllende Kausalität<sup>106</sup>) წინ უნდა უძღოდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობა (პასუხისმგებლობის საფუძველი), ანუ კაუზალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი სამართალდარღვევა უკვე წინასწარ არსებობს და არ შეიძლება მისი გადატანა პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ სხვა ელემენტებზე.<sup>107</sup>

კონკრეტული შემთხვევა, როდესაც პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობისთვის მტკიცების სტანდარტის შემცირება ხდება, არის სოციალური უზრუნველყოფის კანონით (SGB XIV) გათვალისწინებული სოციალური კომპენსაცია, რომელიც დაზარალებულ მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას, მოითხოვონ სახელმწიფო დახმარება (სამედიცინო დახმარებები, ზრუნვის სამედიცინო შემწეობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები, საბაზისო პენსიის გადახდები და დახმარებები მემკვიდრეებისთვის, სა-

<sup>104</sup> აქვე *Prütting* in: *Münchener Kommentar zur ZPO*, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 48: ავტორი იუწყება "დიდი რაოდენობით მცდელობების შესახებ", რომლებიც "პრინციპში შეთანხმებული" იყო.

<sup>105</sup> კონკრეტულად, bei *Prütting*, in: *Münchener Kommentar zur ZPO*, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 48.

<sup>106</sup> იხ. აქვე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფი. შემდგომში გადანყვეტს სასამართლო, ყველა გარემოების შეფასებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, ზიანი წარმოიშვა თუ არა და რამდენად დიდია იგი. ამ ნორმის გამოყენება, მიუხედავად მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისა („თუ“), მისი წარმოშობის ისტორიისა და მიზნის გათვალისწინებით შემოიფარგლება ე. წ. haftungsausfüllende Kausalität-ით (მაგ., *Bundesgerichtshof, Urteil vom 4.11.2003, VI ZR 28/03, juris, Rn. 14 f.*). ამ ფარგლებში იგი აღიქმება, როგორც მტკიცების სტანდარტის შემცირება. (მაგ., *Prütting*, in: *Münchener Kommentar zur ZPO*, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 3; იხ. ასევე *Reiner und Piplack (Fn. 89), 105, 115*). ე. წ. haftungsausfüllende Kausalität-ისთვის მტკიცების განსაკუთრებულ წესს მოიცავს გსკ-ის 252-ე პარაგრაფი ზოგადი ზიანის სამართლიდან. აღნიშნულის მიხედვით, უკვე დაფუძნებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებში არსებობს ასევე მიუღებელი შემოსავალიც (გსკ-ის 252 1 პარაგრაფი). მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება შემოსავალი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ან განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ კი ღონისძიებების გატარებისა და უსაფრთხოების ზომების მიღებისას, საგარაუდოდ, იქნებოდა მოსალოდნელი (გსკ-ის 252 2 პარაგრაფი; მონიშვნა დამატებულია).

<sup>107</sup> ასევე: *Walter*, „Freie Beweiswürdigung“, Tübingen 1979, Seiten 193-195. ავტორი ეწინააღმდეგება მიზეზობრიობის მტკიცებულების სტანდარტის ზოგად შემცირებას, რომელიც ეფუძნება გერმანიის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლს და ამის ნაცვლად ადვოკატებს მტკიცებულების გამარტივებას „საქმეების ცალკეული ჯგუფისთვის“ „ობიექტური მიზეზების გამო“ (გვ. 194). *Wagner* (in: *Münchener Kommentar zum BGB*, 9. Auflage 2023, BGB § 630h Rn. 133, m.w.N.) სპეციალურად მიუთითებს ექიმის პასუხისმგებლობის საკითხში და მხარს უჭერს „მტკიცების სტანდარტის ზოგად შემცირებას მაღალ ალბათობამდე, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობისთვის ნებისმიერი ხარისხის სამედიცინო შეცდომისას“. ამავე დროს ვაგნერი აკრიტიკებს (სასამართლო პრაქტიკის მიერ გაზიარებულ) კანონისმიერი მტკიცების ტვირთის შებრუნებას და მის ექიმებზე გადატანას გსკ-ის 630ჰ პარაგრაფის მიხედვით უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. ეს არის „შეუსაბამო“, რადგან „ნებისმიერი სამედიცინო შეცდომა, უხეში იქნება თუ მარტივი“ აფართოებს შესაძლო ზიანის გამოწვევის სპექტრს და „ექიმებს ისევე რთულად შეუძლიათ მიზეზობრიობის დასაბუთება და ახსნა, როგორც პაციენტებს“.

არსებო მინიმუმის ფარგლებში) ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის სახელმწიფოს მიერ რეკომენდებული ან განსაზღვრული დამცავი ვაქცინაციის დროს (24-ე პარაგრაფი SGB XIV). კანონის 4 IV პარაგრაფის მიხედვით საკმარისია „ჯანმრთელობის დარღვევის დადგენა, როგორც ზიანის შედეგი“, რომ „მიზეზობრივი კავშირის ალბათობა“ დადასტურდეს. ეს შესაძლებელია, „თუ, მედიცინის მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო მეტი გარემოება მეტყველებს მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე, ვიდრე მის არარსებობაზე.“<sup>108</sup> სოციალური უზრუნველყოფის კანონის (SGB) XIV თავში მოქცეული ციტირებული ნორმა ამოქმედდა 2024 წლის 1-ელ იანვარს, მაგრამ მისი წინამორბედი ნორმა, ინფექციური დაავადებების კანონის მე-60 და შემდეგი პარაგრაფები (ადრინდელ ფედერალური დახმარების კანონის ნორმებთან ერთად) უკვე შეიცავდა მტკიცების მსგავსი შერბილების დათქმას (61-ე პარაგრაფი ინფექციებისგან დაცვის შესახებ კანონი - IfSG).<sup>109</sup> პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობისთვის კანონისმიერი მტკიცების შერბილების მეორე მაგალითი დაკავშირებულია სახელმწიფო დახმარების მოთხოვნასთან და წარმოდგენილია ნაცისტური დევნის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ფედერალურ კანონში (Bundesentschädigungsgesetz - BEG). აქაც საკმარისია, „რომ მიზეზობრივი კავშირი სხეულისა ან ჯანმრთელობის ზიანსა და დევნას შორის იყოს სავარაუდო“ (BEG 28 I 2 პარაგრაფი). აღნიშნული მაგალითები არ არის საკმარისი საფუძველი საერთო ანალოგიისთვის, რომელიც, განსაკუთრებით, კერძო სამართლებრივ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რეგულაცია ხელგაშლილად მოსჩანს, უწყებების

მხრიდან კოვიდ-ვაქცინით გამოწვეული აღიარებული ზიანის შემთხვევები ძალიან ცოტაა.

### ბბ) ზოგადი მტკიცების ტვირთის შერბილებები

ვინაიდან ვაქცინით დაზარალებულებს პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობის მტკიცებისას მტკიცების სტანდარტის შემცირებით სარგებლობა არ შეუძლიათ, ჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია, რომ თუნდაც ზოგადი მტკიცების წესებით მიიღონ დახმარება. ძირითადად, ობიექტური მტკიცებულების ტვირთის მქონე პირის ვალდებულებაა მტკიცება ისე წარმართოს, რომ მტკიცებულების სტანდარტის მიხედვით, მოსამართლე სრულად დაარწმუნოს (იხ. ზემოთ ა.) (სუბიექტური მტკიცების ტვირთი). მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა მტკიცების ტვირთის მქონე პირისათვის გარკვეულ შერბილებებს აწესებს.

### ააა) ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცება (Anscheinsbeweis)

მტკიცების ზოგადი სამართლის მიხედვით, მტკიცების შერბილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენს ე. წ. ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცება („prima-facie Beweis“). აღნიშნული ეხება საერთო გამოცდილებით ტიპურ მოვლენათა მიმდინარეობას, რომლის ერთგვაროვნებაც, უპირველესად მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ის ზუსტად ასე მოხდა. ეს არის „არაპირდაპირი მტკიცების ტიპიზირებული ფორმა“.<sup>110</sup> მოსამართლე დავის შემთხვევაში ცხოვრებისეულ გამოცდილებას ითვალისწინებს, მაგრამ თავისუფალი მტკიცების შეფასების ფა-

<sup>108</sup> ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევებისთვის, მტკიცების ბარიერი კიდევ უფრო დაბალია. სოციალური კანონის 4 V პარაგრაფის მიხედვით მიზეზობრივი კავშირის შესაძლებლობა ივარაუდება, „თუ ისეთი სამედიცინო ფაქტები არსებობს, რომლებიც სამედიცინო მეცნიერების გამოცდილების მიხედვით შესაბამისია, რომ დააფუძნოს მიზეზობრივი კავშირი შესაფერისი ტიპისა და სიმძიმის საზიანო მოვლენასა და ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანსა და ზიანის შედეგებს შორის, და აღნიშნულ ვარაუდს არ აბათილებს სხვა მიზეზობრივი

კავშირები“.

<sup>109</sup> ინფექციებისგან დაცვის შესახებ კანონის (IfSG) 61-ე პარაგრაფი უღერს შემდეგნაირად: „იმისთვის, რომ მოხდეს ჯანმრთელობის ზიანის, როგორც ზიანის მიყენების შედეგის აღიარება 60 I 1 პარაგრაფის გაგებით, საკმარისია მიზეზობრივი კავშირის ვარაუდი. [...]“. Hierzu Reiner und Piplack (Fn. 89), გვერდები 105, 113, 114.

<sup>110</sup> Prütting in Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 50.



რგლებში, მტკიცებულების სტანდარტის შემცირების გარეშე.<sup>111</sup> მტკიცების ტვირთი უცვლელი რჩება, თუმცა პროცესის მეორე მხარეს ვგალებათ ტიპურობის ინდიკაციის დამაჯერებლად გაბათილება შესაბამისი მტკიცებულებებით, მაგ. სხვა ინდიკაციებით.<sup>112</sup> რაც უფრო აშკარაა ტიპურობა, მით უფრო მაღალია მოთხოვნები მტკიცებულების გაბათილებისთვის. ამ კონტექსტში, ნაწილობრივ ასევე საუბრობენ „ფაქტობრივ“ ვარაუდზე (სამართლებრივი ვარაუდის სანინაალმდეგოდ).<sup>113</sup>

ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცების (*Anscheinsbeweis*) მიზეზობრიობა შესაძლებელია გამოყენებული იყოს ტიპურ მიზეზობრივ შემთხვევებში, მაგ., როდესაც ვინმე ზიანის ანაზღაურების სარჩელში მოითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც თავისი ტიპის მიხედვით, ზუსტად იმ ტიპურ ზიანს შეესაბამება, რომლის ანაზღაურებასაც ითვალისწინებს კანონი.<sup>114</sup> ამჟამად, კოვიდ-ვაქცინებს რა ზიანის სიმპტომებიც მიენერებათ, არის ძალიან მრავალფეროვანი და არასპეციფიკური (მაგ. ინსულტი, მიოკარდიტი, მხედველობის დაკარგვა, დაღლილობის სინდრომი<sup>115</sup>), რაც შეუძლებელს ხდის კონკრეტულ შემთხვევაში, ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცების (*Anscheinsbeweis*) ფარგლებში, სიმპტომიდან გამომდინარე მისი გამოწვევის ვაქცინასთან დაკავშირების შესაძლებლობას. სხვაგვარად იქნებოდა, თუ სწორედ მრავალფეროვანი დაავადების სიმპტომების ერთდროულად წარმოშობა, ერთსა და იმავე პაციენტში,

კოვიდ-ვაქცინაციის ტიპურ შედეგად შეიძლება ინტერპრეტირებულიყო. ამისათვის კი შესაბამისი კვლევები ნაკლებადაა.

**ბბ) მეორადი მტკიცების ტვირთი**

მტკიცების შერბილების მეორე მაგალითია ე.წ. მეორადი მტკიცების ტვირთი პროცესის მეორე მხარისთვის. თუ მტკიცების ტვირთის მქონე და შესაბამისად, პირველადი მტკიცების ვალდებულების მქონე მხარეს „არ აქვს უფრო სიღრმისეული ცოდნა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ და არც საქმის განმარტების შესაძლებლობა,“ ხოლო ამ პირველადი მტკიცების უარყოფელი მეორე მხარე „ყველა არსებით ფაქტს იცნობს და მას ადვილად და დასაშვებად შეუძლია უფრო დეტალური ინფორმაციის მინოდება,“<sup>116</sup> ამ უკანასკნელს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ მტკიცების უარყოფით, არამედ მან უნდა შეძლოს თავისი უარყოფის, კონკრეტული (დამაჯერებელი) საპირისპირო მტკიცებით, „დასაბუთება“ საკუთარი აღქმის სფეროდან. თუ მოპასუხე ამას ვერ მოახერხებს, მისი უარყოფა უგულვებლყოფილი იქნება, რის შედეგადაც მოსარჩელის განცხადება დასაბუთებულად და შესაბამისად ჭეშმარიტად ჩაითვლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 138 III, 288 I პარაგრაფები).

მაგალითად, თუ მოსარჩელეს, რომელსაც კორონა ვაქცინაციის შემდეგ ექვსი თვე მიოკარდიტი აქვს და რომელიც თავის დაავადებას ვაქცინაციას მიაწერს და წარმოაჩენს დამაჯერებელ ახსნას მიზეზობრივი კავშირის შესახებ

<sup>111</sup> *Prütting* in Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 50 ასევე Rn. 54-57.

<sup>112</sup> არახარისხობრივი გამიჯვნის საჭიროებას მხარს უჭერს *პრუტინგის* მოსაზრება (in: Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 286, Rn. 55), რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცების (*Anscheinsbeweis*) მტკიცებულების შეფასების პროცესში ათავსებს და ეწინააღმდეგება ზოგად მოსაზრებას, საქმე ეხება მტკიცების სტანდარტის წესების შემცირებას (auf ein „Wahrscheinlichkeitsübergewicht“, so z.B. *Walter*, 1979, S. 206, unter Berufung auf Musielak, „Die Grundlagen der Beweislast im Zivilprozeß“, Berlin/New York 1975, S. 120 ff.).

<sup>113</sup> იხ. *Prütting* in: Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 292, Rn. 30: ავტორი მიუთითებს იმაზე,

რომ „ე. წ. ფაქტობრივი ვარაუდის გამოყენებით ძალიან განსხვავებული მტკიცების შერბილებების მთელი წყებაა ლეგიტიმირებული“.

<sup>114</sup> მსგავსად *Foerste* in: *Musielak und Voit*, ZPO, 19. Auflage 2022, § 286, Rn. 27, დაცვით კანონებთან და მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებებთან (*Schutzgesetzen und Verkehrssicherungspflichten*) მიმართებით.

<sup>115</sup> აქვე მაგ., *National Academies (Hrsg.)*, *Evidence Review of the Adverse Effects of COVID-19 Vaccination and Intramuscular Vaccine Administration*, Washington, DC, 2024, <https://nap.nationalacademies.org/download/27746>.

<sup>116</sup> So Bundesgerichtshof, Urteil vom 25.5.2020, VI ZR 252/19, BGHZ 225, 316, juris, Rn. 37.

(მაგ. აუტოიმუნური რეაქცია ავტოფსიის გამოქვეყნებული შედეგების გათვალისწინებით), მწარმოებელი არ უნდა დასჯერდეს მხოლოდ ამ მტკიცების უარყოფას. ნაცვლად ამისა, აუცილებელია წარმოადგინოს კონკრეტული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენ ხანს არის აქტიური ვაქცინა სხეულში და როგორ რეაგირებს სხეული მასზე. მხოლოდ მტკიცება, რომ მისი პროდუქტი უსაფრთხოდ ქრება ადამიანის ორგანიზმიდან რამდენიმე დღეში, არ უნდა იყოს საკმარისი, არამედ მეორადი მტკიცების ტვირთის პრინციპი სერიოზულად უნდა იქნას გათვალისწინებული. და რა მოხდება, თუ მწარმოებელი აცხადებს, რომ იგი თავად არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას ამ ვაქცინის სხეულში მოქმედების შესახებ და, მაგალითად, ვერ იტყვის, როგორ მოქმედებს mRNA ვაქცინის მიერ გამოწვეული Spike-პროტეინები?<sup>117</sup> არღვევს კი ეს მტკიცების სავალდებულო შერბილების ზღვარს? ეს ცალსახა არაა. მეორადი მტკიცების ტვირთის კონცეფცია შეიცავს ნორმატიულ ელემენტს. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH) აცხადებს, რომ მონინალმდეგე მხარეს, ევალება „კვლევების ჩატარება, თუ ეს მისთვის სავარაუდოა“.<sup>118</sup> გადამწყვეტი საკითხია, თუ რა არის „სავარაუდო“. ნებისმიერ შემთხვევაში, სავარაუდოა ის კვლევები, რომელზეც მწარმოებელი ვალდებულია მატერიალურ-სამართლებრივად, განსაკუთრებით მისი ზოგადი სიფრთხილის ვალდებულების ფარგლებში, რათა უსაფრთხო პროდუქტები (მედიკამენტები) აწარმოოს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარებული ე. წ. პროდუქტზე დაკვირვების ვალდებულება ყველა მწარმოებლისთვის, 823 I პარაგრაფით გათვალისწინებული ზოგადი დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში (ზემოთ D.I.2.ა.), არამედ ფარმაცევტული მწარმოებლის კანონმდებლობით დადგენილი ფარმაცევი-

ლაციის ვალდებულება. ფარმაცევტულ კომპანიას, პირდაპირი ვალდებულება გააჩნია (მედიკამენტების შესახებ კანონის 63b პარაგრაფი, „ზოგადი ფარმაცევიგიაციის ვალდებულებები ავტორიზაციის მფლობელისთვის“),

- „ფარმაცევიგიაციის სისტემის შექმნისა და მართვის“ (I),
- ამ ფარგლებში, „თავისი ფარმაცევიგიაციის სისტემის საფუძველზე ყველა ინფორმაციის სამეცნიერო შეფასება, რისკის მინიმიზაციისა და თავიდან აცილების შესაძლებლობების შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივი ზომების მიღება რისკის მინიმიზაციისა და თავიდან აცილების მიზნით“ (II Nr. 1), ასევე
- „რისკის მართვის სისტემის განახლება და ფარმაცევიგიაციის მონაცემების მონიტორინგი, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ახალი რისკები, შეიცვალა თუ არა არსებული რისკები ან შეიცვალა თუ არა მედიკამენტების სარგებლობისა და რისკის თანაფარდობა“ (II Nr. 6).

დანარჩენ ვაქცინებთან შედარებით (პროცენტულად ვაქცინაციის რაოდენობასთან მიმართებით) მძიმე გვერდითი მოვლენების, განსაკუთრებით სისხლძარღვთა ფუნქციის დარღვევასთან დაკავშირებული, ძალიან მაღალი რაოდენობის საექვო შეტყობინებების გამო, ასევე ზოგიერთი პათოლოგიის დაკვირვებების (ზემოთ D.I.1.დ.ბბ.) გათვალისწინებით, მწარმოებლისთვის ინდიკატორი უნდა ყოფილიყო, რომ ვაქცინის მოქმედება და მისი დარჩენა სხეულში, განსაკუთრებით თუ ის შემთხვევით სისხლის მიმოქცევის სისტემაში იყო შეყვანილი, უფრო დეტალურად გამოეკვლია.

მწარმოებელმა დასახელებულ მაგალითში უნდა აღიაროს, რომ მას არ გააჩნია ვაქცინის მოქმედებისა და სხეულში დარჩენის შესახებ კვლევის შედეგები – რაც არარეალისტური სცენარი ნამდვილად არ არის – რაც აუცილებლად

<sup>117</sup> პროტეინების შეკუმშვას შეუძლია გამოიწვიოს მძიმე დაავადებები, როგორებიცაა პარკინსონი, ალცჰეიმერი, სპონგიოფორმული ენცეფალიტი (მაგალითად, კროიცფელდტ-იაკობის დაავადება), მეორე ტიპის დია-

ბეტი, აქვე Dobson, Protein folding and misfolding, Nature, Nature vol. 426, 884–890 (2003), DOI: <https://doi.org/10.1038/nature02261>.

<sup>118</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 25.5.2020, VI ZR 252/19, BGHZ 225, 316, juris, Rn. 37.

უნდა ინვესტირებდეს იმას, რომ მიზეზობრივი კავშირის შესახებ მისი დავა არარელევანტურად ჩაითვალოს. ვაქცინის მწარმოებლების პასუხისმგებლობის დასადგენად მიზეზობრივი კავშირის მტკიცების შესახებ ასეთი არგუმენტაცია, უდავოდ ინოვაციურია, და უნდა დაველოდოთ, სასამართლოები გაიზიარებენ თუ არა მას, თუკი იგი სასამართლოში წარდგენილი იქნება.

## 2. ინფორმაციის წუნი

მიზეზობრივი კავშირის მტკიცება ინფორმაციის წუნის შემთხვევაში დამატებით სირთულეს მოიცავს, რადგან მედიკამენტების მწარმოებლის პასუხისმგებლობა (მხოლოდ) ინფორმაციის შეცდომების გამო მედიკამენტების შესახებ კანონის 84 I 2 Nr. 2 პარაგრაფის მიხედვით მოითხოვს ორმაგი მიზეზობრიობის დადგენას. სხეულის ან ჯანმრთელობის ზიანი უნდა იყოს გამონვეული (თუნდაც ტექნიკურად უნაკლო) მედიკამენტით (იხ. ზემოთ), და დამატებით, ზიანი უნდა იყოს გამონვეული კონკრეტულად მედიკამენტის შესახებ არასწორი ინფორმაციით.<sup>119</sup> ამისათვის ორი სცენარის წარმოდგენა შეიძლება: *პირველ რიგში*, ზიანი შეიძლება გამონვეული იყოს მედიკამენტის არასწორი გამოყენებით (პაციენტის ან სამედიცინო პერსონალის მიერ), რომელიც „მედიცინის მეცნიერების ცოდნის შესაბამისი აღნიშვნისას, სამედიცინო ინფორმაციის ან გამოყენების ინსტრუქციის შემთხვევაში“ არ მოხდებოდა (წუნდებული გამოყენების ინსტრუქცია). კოვიდ-ვაქცინების გამოყენებისას, საფიქრებელია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პროდუქტები შეყვანილი იყო არა კუნთში, არამედ სისხლძარღვებში, რის შედეგადაც ისინი მთელ სხეულში გავრცელდა. რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) განმარტებით ფურცლებში მითითებულია, რომ „ვაქცინა შეჰყავთ მკლავის ზედა კუნთში“ (მაგ. 2021 წლის 19 ოქტომბრის ვერსია) ან „ვაქცინა შეჰყავთ კუნთში, ძირითადად მკლავის ზედა კუნთში“ (2024

წლის 30 იანვრის ვერსია); თუმცა, არ არის მითითებული იმ საფრთხეებზე, რომლებიც წარმოიშობა, თუ ვაქცინას ვენაში შეიყვანენ. *უფლებამოსილი ვაქცინაციის კომისიის (STIKO) ეპიდემიოლოგიურ ბიულეტენში* რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) 2022 წლის 17 თებერვლის,<sup>120</sup> ისევე როგორც რობერტ კოხის ინსტიტუტის (RKI) ინტერნეტპრესენსში დამატებით მითითებულია, რომ „COVID-19 ვაქცინაციისას ინტრამუსკულარული აპლიკაციის დროს ვაქცინის უსაფრთხოების გასაზრდელად ასპირაცი სასარგებლოა“.<sup>121</sup> გონივრული მიზეზებით შეიძლება განიხილებოდეს ის მოსაზრებაც, რომ განმარტებითი ფურცლები არასწორი ინექციის საფრთხეებისგან საკმარისად არ იცავენ. *მეორე მხრივ*, ზიანი შეიძლება გამონვეული იყოს ვაქცინაციის რისკების შესახებ წუნდებული, არასაკმარისი ინფორმაციის გამო, რომელიც „მედიცინის მეცნიერების ცოდნას“ არ შეესაბამება.

კოვიდ-ვაქცინაციის პირველ სცენარში ჩნდება კითხვა, ინექციის სისხლძარღვებში შეყვანის საფრთხეების შესახებ სამედიცინო პერსონალის შესაბამისი ინფორმირების შემთხვევაში, მოხდებოდა თუ არა ასპირაცია. პასუხი გადაწყვეტილებისთვის განმსაზღვრელია თუ დადგინდება, რომ ჯანმრთელობის პრობლემები (მაგ. სხეულის ორგანოების დაზიანება, როგორც მიოკარდიტის შემთხვევაში) კოვიდ-ვაქცინით არის გამონვეული (მაგ. ორგანიზმში Spike-პროტეინების აღმოჩენით). მეორე სცენარში საკითხავია, პაციენტი, მისი შესაბამისი რისკების სრულყოფილად ინფორმირების შემთხვევაში, უარს იტყოდა თუ არა ვაქცინის გაკეთებაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ინფორმაციის წუნი მიზეზობრივი ჯანმრთელობის ზიანისთვის, „condicio sine qua non“ ფორმულის გაგებით, რომელიც გერმანულ სამართალში ძირითადი მიზეზობრივი კავშირის ამოსავალი წერტილია.

<sup>119</sup> მაგ. *Franzki* in: BeckOGK, 1.2.2024, AMG § 84 Rn. 56.

<sup>120</sup> 17.2.2022 ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი ([https://www.rki.de/DE/Content/Infekt/EpidBull/Archiv/2022/Ausgaben/07\\_22.pdf](https://www.rki.de/DE/Content/Infekt/EpidBull/Archiv/2022/Ausgaben/07_22.pdf), Seite 14).

<sup>121</sup> 2024 წლის 26 იანვრის რობერტ კოხის ინსტიტუტის

(RKI) რეკომენდაციები

([https://www.rki.de/Shared-Docs/FAQ/COVIDImpfen/FAQ\\_Liste\\_Durchfuehrung\\_Impfung.html?nn=2391120FAQId16726212](https://www.rki.de/Shared-Docs/FAQ/COVIDImpfen/FAQ_Liste_Durchfuehrung_Impfung.html?nn=2391120FAQId16726212), letzter Abruf vom 27.5.2024).

ორივე სცენარში საფიქრებელია ისეთი მტკიცების პრინციპების გადმოღება, რომლებიც სასამართლო პრაქტიკამ საინფორმაციო ვალდებულებების დარღვევის გამო, საინვესტიციო კონსულტაციასა და საინვესტიციო შუამდგომლობებში შეიმუშავა. თუ ბანკი ვერ ახერხებს კლიენტის საკმარისად ინფორმირებას საინვესტიციო რისკების შესახებ გაყიდვის ან საინვესტიციო შუამდგომლობის დროს და ამის შედეგად ზარალი წარმოიშობა, ივარაუდება, რომ კლიენტი შესაბამისი რისკების სრულყოფილი ინფორმირების შემთხვევაში ამ ინვესტიციის განხორციელებისგან თავს შეიკავებდა (ე. წ. ინფორმირებისას სწორად მოქმედების ვარაუდი). ნორმის დაცვის მიზანი ასეთ შემთხვევებში მოითხოვს, რომ „გაურკვევლობები, რომლებიც ინფორმაციის ვალდებულების დარღვევით არის გამოწვეული, უნდა მოქმედებდეს ინფორმირების ვალდებულების მქონე პირის საზიანოდ, ხოლო მან თავად უნდა დაამტკიცოს თავისი ვალდებულების დარღვევის არამიზეზობრივი კავშირი.“<sup>122</sup>

ექიმის პასუხისმგებლობა შესაძლებელია მტკიცების ტვირთის შებრუნების შედეგად, რაც სასამართლოს მიერ ათწლეულების განმავლობაში განვითარდა და 2013 წელს შეტანილი იქნა სამედიცინო მკურნალობის ხელშეკრულების შესახებ გსკ-ის პარაგრაფებში (630ა-630ჰ). გერმანული სამართლის კონცეფციით, სამედიცინო ჩარევა თავისთავად ითვლება სხეულის დაზიანებად, რომელიც ძირითადად მხოლოდ მაშინ არის კანონიერად მიჩნეული, თუ პაციენტმა ჩარევაზე თანხმობა განაცხადა. თანხმობის ნამდვილობა მოითხოვს, რომ პაციენტმა იცოდეს, რას უკეთებენ. ამისთვის, ის წინასწარ საკმარისად უნდა იყოს ინფორმირებული ჩარევის რისკების შესახებ (იხ. გსკ-ის 630დ II, 630ე

პარაგრაფები, ე. წ. ინფორმირებული თანხმობა). თუ ეს რისკები მოგვიანებით რეალიზდება, ექიმი პაციენტის წინაშე პასუხისმგებელია არასწორი ინფორმირების გამო და ვალდებულია ზიანის ანაზღაურებაზე, მაშინაც კი, თუ ჩარევაში შეცდომა არ დაუშვია. მას რჩება მხოლოდ იმის მტკიცების შესაძლებლობა, რომ პაციენტი ასევე თანხმობას განაცხადებდა, მისი სწორად ინფორმირების შემთხვევაშიც (გსკ-ის 630ჰ II 2 პარაგრაფი). საბოლოო ჯამში, ეს კონცეფცია შეესაბამება საინვესტიციო პასუხისმგებლობისთვის ცნობილ, ინფორმირებისას სწორად მოქმედების ვარაუდს.

მრავალი მიზეზის გამო შეგვიძლია ვიფიქროთ, ფარმაცევტული მწარმოებლების ინფორმაციული ვალდებულებების მიმართ მსგავსი მიდგომის გამოყენებაზე. ამავდროულად, აღნიშნული საშუალებით შეიძლება განეიტრალებდეს, ვაქცინის გვერდითი მოვლენების გამო, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ძირითადი პრობლემა - ვაქცინის მავნე ზემოქმედების დადასტურება. ამასთან დაკავშირებით ასევე შეიძლება ექიმის პასუხისმგებლობის სამართლის პრინციპებზე დაყრდნობაც. როგორც ზემოთ (II.1.ბ.ა.ა.) უკვე აღვნიშნე, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში ზიანის მოცულობის განსაზღვრისთვის (*haftungsausfüllende Kausalität*) არსებული დაბალი მტკიცების სტანდარტი მოქმედებს, თუ პასუხისმგებლობის პირობები, მათ შორის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობა, დადგენილია.

როდესაც საქმე ეხება რისკების შესახებ არასწორ ინფორმირებას, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ზიანი (ე. წ. პირველადი ზიანი) სახეზეა პაციენტის ბათილი თანხმობის გამო, რომელიც არაკანონიერ სამედიცინო ჩარევას წარმოადგენს.<sup>123</sup> ფედერალურმა სასამართლომ

<sup>122</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 16.11.1993, XI ZR 214/92, BGHZ 124, 151, ქვევით II.2.ა., ბანკების პასუხისმგებლობასთან მიმართებით. კრიტიკა მაგ. *Seichter* in: *JurisPK-BGB*, 10. Auflage, § 280 BGB (Stand: 9.4.2024), Rn. 152: ავტორი (ამ მხრივ გასაგებად) აღნიშნავს, რომ სასამართლო პრაქტიკა მიზეზობრივი კავშირის მტკიცებულების ტვირთს ინვესტიციებთან დაკავშირებულ საქმეებში სხვაგვარად განიხილავს, ვიდრე ადვოკატებისა და საგადასახადო კონსულტანტების პასუხისმგებლობის შემთხვევაში, რომელიც განიხილება ზოგადი

კრიტერიუმების მიხედვით.  
<sup>123</sup> მაგ. Bundesgerichtshof, Urteil vom 19.10.2010, VI ZR 241/09, juris, Rn. 18, მიზეზობრიობის დასამტკიცებლად სპინალურ ანესთეზიასა და სუბდურული ჰიგრომების გაჩენას შორის; Bundesgerichtshof, Urteil vom 29.9.2009, VI ZR 251/08, juris, Rn. 13, შემოვლითი ქირურგიისა და პაციენტის სიბრმავეს შორის მიზეზობრიობის შესახებ.

კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაინია და ექიმს, რომელმაც მხოლოდ პაციენტის მომავალი ოპერაციის შესახებ ინფორმირება ითავა და არასათანადოდ განახორციელა, მაგრამ თვითონ არ ჩაატარა ოპერაცია, კოლეგის (ბათილი თანხმობის გამო) არაკანონიერად განხორციელებული ოპერაციის შედეგად მომხდარი სხეულის დაზიანება ბრალად შეერაცხა.<sup>124</sup> აქედან მცირე ნაბიჯია იმის დასამტკიცებლად, რომ ვაქცინის მწარმოებლის ინფორმაციული ნუნი უკვე იმ მომენტში ინვეს ვაქცინირებულის უფლებების დარღვევას, როცა ვაქცინის ნემსი პაციენტის ზედა მკლავში შეიჭრება და სხეულში უცხო ნივთიერებას შეიყვანს. მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც mRNA ვაქცინა სხეულს უბიძგებს Spike-პროტეინების წარმოქმნას, რომლებიც ექსპერტების მიერ კლასიფიცირებულია, როგორც ტოქსიკური. საკითხი, არის თუ არა ვაქცინირებული მოსარჩელის სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები დაკავშირებული შეყვანილ ნივთიერებასთან, წარმოადგენს ე. წ. *haftungsausfüllende Kausalität*-ს, რის შედეგადაც მტკიცების სტანდარტი დაიყვანება მეტად სავარაუდოობის (*überwiegende Wahrscheinlichkeit*) კრიტერიუმამდე<sup>125</sup>, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის მიხედვით.<sup>126</sup> ეს სერიოზულად აღსაქმელი მიდგომაა, რომელიც ვაქცინით დაზარალებულებსთვის იმედის მომცემი უნდა იყოს.<sup>127</sup>

პრობლემა არის ის, რომ ვაქცინაციით გამოწვეული ზიანის რიცხვითი ალბათობების დადგენა შეუძლებელია. შეფასება, ვაქცინით გამონეული ზიანის „სავარაუდოობა“ ჭარბობს თუ არა, სასამართლოების შეფასებასა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. საჯარო-სამართლებრივი კომპენსაციის მოთხოვნების გამოცდილება, რომლისთვისაც კანონით საკმა-

რისია უბრალო „ვარაუდი“ ვაქცინაციასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირის (ზემოთ D.II.1.ბ.ა.ა.), სკეპტიციზმს ინვეს. დისკუსია კორონა-ვაქცინის სარგებლიანობასა და საფრთხეების შესახებ ძალიან პოლიტიზირებული და პოლარიზებულია. ის მოიცავს მთელ საზოგადოებას და მოსამართლეებს, რომლებიც სავარაუდოდ ასევე ვაქცინირებულნი არიან, ამ გავლენებისგან არ არიან თავისუფალნი.

### E. შეჯამება

1. ახალი ტიპის კორონა-ვაქცინებმა შეიძლება, გამოიწვიონ ვაქცინასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზიანი და, სიკვდილიც. ოფიციალური განცხადებით, ეს მხოლოდ ერთეული სამსახურო შემთხვევებია. ვაქცინაციით გამონეული ზიანის ან თუნდაც სიკვდილიანობის ეჭვის შესახებ შეტყობინებების რაოდენობა მაინც საყურადღებოა, და სავარაუდოა, რომ დაუფიქსირებელი შემთხვევების რაოდენობაც მაღალია. მიუხედავად ამისა, დაზარალებულთა შანსები მწარმოებლებისგან ზიანის ანაზღაურების მიღებაზე, ყოველ შემთხვევაში გერმანიის სამართლის მიხედვით, მცირეა. ასობით სასამართლო საქმიდან, რომლებიც ცნობილია, არცერთი იყო წარმატებული.

2. დაზარალებულებს დიდი დაბრკოლებები აქვთ გადასალახი. გერმანული მედიკამენტების პასუხისმგებლობის სამართლის მიხედვით, ვაქცინასთან დაკავშირებული ყველა დადასტურებული ზიანი არ ინვეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას. უფრო კონკრეტულად, პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ (1) ვაქცინის მავნე მოქმედებები „მედიცინის მეცნიერების ცოდნით მისაღებ“ ზღვარს აჭარბებდეს

<sup>124</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 29.9.2009 – VI ZR 251/08, juris, Rn. 14.

<sup>125</sup> იხ. Bundesgerichtshof, Beschluss vom 14.1.2014, VI ZR 340/13, juris, Rn. 5, ექიმის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით; Prütting in: Münchener Kommentar zur ZPO, 6. Auflage 2020, § 287, Rn. 17.

<sup>126</sup> ფართოდ G. Reiner and A. Piplack (Fn. 89), გვერდები 105, 115.

<sup>127</sup> უცნაურად ჩანს ის რომ, მოსამართლეს შეუძლია შეაფასოს ის, რაც ექიმებში საკამათო საკითხია. (G. Reiner and A. Piplack (Fn. 89), გვერდები 105, 115. ავტორი აღნიშნულს არ იზიარებს. მიუხედავად მტკიცების შემცირებული სტანდარტისა, სასამართლოს აქვს მოქმედების თავისუფალი არეალი, მიიღებს თუ არა ექსპერტის დასკვნას.

ან (2) ზიანი გამოწვეული იყოს პროდუქტის წუნდებული ინფორმირების გამო.

მწარმოებლების პასუხისმგებლობა პროდუქტის თვისებების მიმართ რთულდება იმით, რომ მავნე შედეგების „მისაღებად“ შეფასება ხდება ვაქცინის სარგებლობისა და რისკების საერთო გადმოსახედით მთლიანი მოსახლეობისთვის. ეს ნიშნავს, რომ პროდუქტის სარგებელი, რომელსაც შესაძლოა უფროსი თაობა უფრო იღებდეს, ითვლება უფრო მაღალ სიკეთედ, ვიდრე რისკები, რომლებიც უფრო ახალგაზრდა თაობასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, სასამართლოები არ ახორციელებენ დამოუკიდებელ შეფასებას ექსპერტიზაზე დაყრდნობით და ნაცვლად ამისა, მიმართავენ ევროკომისიის ადმინისტრაციული ავტორიზაციის პროცესში მიღებულ სარგებლობისა და რისკის შეპირისპირებას, რომლის გადანყვეტილებები არ არის კონტროლირებადი დაზარალებულების მიერ.

პროდუქტის ინფორმაციისთვის მწარმოებლების პასუხისმგებლობასაც აქვს დაბრკოლებები. ერთი მხრივ, მთავრობამ კოვიდ-19 ვაქცინის მწარმოებლები ნაწილობრივ გაათავისუფლა ზოგადი ფარმაცევტული საინფორმაციო ვალდებულებებისგან; მეორე მხრივ, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ეროვნული ცენტრის, რობერტ კოხის ინსტიტუტის მეშვეობით, თავად აიღო ვალდებულება პროდუქტის შესახებ, ინფორმირების მიზნით, მოემზადებინა საინფორმაციო ფურცლები და შედეგად ნამოიჭრა საკითხი, შესაძლებელია თუ არა, მწარმოებლებს შეერაცხოთ ამ ფურცლების ნაკლოვანებები. პროდუქტზე დაკვირვების პასუხისმგებლობის ასპექტის გათვალისწინებით ამის სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი.

3. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობს ვაქცინაციის გამო მოთხოვნილი ზიანის მიზეზობრივი კავშირის მტკიცებაში. მედიკამენტების შესახებ კანონით დადგენილი მტკიცებულების ტვირთის შებრუნება უმოქმედო ინსტრუმენტი აღმოჩნდა, რის გამოც ვაქცინაციის მსხვერპლებს უწევთ მოიხმონ მტკიცების ტვირთის შემსუბუქება ზოგადი პრინციპების მიხედვით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ვაქცინების ზემოქმედება, განსაკუთრებით საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ადამიანის ორგანიზმში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი და რომ მწარმოებლებს აკისრიათ ამ ნაკლოვანებების გამოვლენაზე პასუხისმგებლობა, მეორადი მტკიცების ტვირთის ვალდებულების კონცეფციაზე დაყრდნობით, მწარმოებლებს არ შეუძლიათ უბრალოდ უარყონ მოსარჩევეების მიერ დასახელებული ზემოქმედების კავშირები, ვაქცინაციის მსხვერპლთათვის, რაც საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება. მეორე დამამიჯნებელი გზა მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ნაწილში არის ინფორმაციული წუნი. თუ შესაძლებელი იქნება იმის მტკიცება, რომ მწარმოებლის მხრიდან რისკის შესახებ ინფორმირება არასაკმარისი ან მცდარი იყო, ან რომ რობერტ კოხის ინსტიტუტის მხრიდან არასაკმარისი ან მცდარი რისკების შესახებ ინფორმირება მწარმოებლებს შეერაცხებათ, შესაძლებელია საკითხის არგუმენტირება მოხდეს ექიმის პასუხისმგებლობის პრინციპების ანალოგიურად. უკვე თავად ვაქცინაციის პროცესი წარმოადგენდა პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ სხეულის დაზიანებას, რასაც მოჰყვებოდა ის, რომ ვაქცინაციით გამოწვეული ზიანის საკითხი მიეკუთვნებოდა (მხოლოდ) ზიანის დადგენის სფეროს. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს ანიჭებს ზიანის შეფასების უფლებას; სრული მტკიცება არ არის აუცილებელი.

4. მოსამართლეების მიერ ამ არგუმენტაციების გაზიარება დამოკიდებული იქნება მათ კეთილ ნებაზე. კორონავირუსის კრიზისით გამოწვეული საზოგადოების სრული პოლარიზაცია სასამართლოებსაც არ ასცდა და ის კვლავ გრძელდება. და ვინ იცის, იქნებ ისინი ფიქრობენ სახელმწიფოს ფინანსებზე, ვინაიდან უკვე საკმარისად დაზარალდა დიდი რაოდენობით შეკვეთილი ვაქცინის დოზების უზარმაზარი ხარჯებით. ევროკომისიის მიერ გაფორმებული ვაქცინის შექმნის ხელშეკრულებების გამო, რომლებიც მწარმოებლების სასარგებლოდ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს მუხლებს

შეიცავს, საბოლოოდ ნებისმიერი დაკმაყოფილებული მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე მწარმოებლის მიმართ გადაიხდება გადასახადების გადამხდელების მიერ.

## ადამიანის ციფრული ანაბეჭდი ინტერნეტში

2009 წელს აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ესტუმრა ერთ-ერთ სკოლას ვირჯინიის შტატში. სკოლის მოსწავლემ ჰკითხა მას, თუ რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მომავალში გახდეს აშშ-ს პრეზიდენტი. ობამამ ურჩია მოსწავლეს, რომ ყოფილიყო ფრთხილად, თუ რას გამოაქვეყნებდა სოციალურ ქსელში. იმიტომ, რომ YouTube-ის ეპოქაში, რაც არ უნდა გაავრცელო, ის მოგვიანებით ისევ ამოტივტივდება ადამიანის ცხოვრებაში.

ინტერნეტი აღრიცხავს, ამუშავებს და ინახავს ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაქვეყნებთ სოციალურ ქსელში ან სხვა საიტზე. ამ მონაცემების ერთობლიობა ქმნის ჩვენს ციფრულ ანაბეჭდს, რომელიც მუდმივად თან გვდევს. ჩვენი ციფრული ანაბეჭდი ისეთივე უნიკალურია, როგორც თითის ანაბეჭდი. ზოგჯერ ციფრულ ანაბეჭდს უწოდებენ ციფრულ ჩრდილს.

ციფრული ანაბეჭდი შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური. აქტიური მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ადამიანმა თავად გაავრცელა სოციალურ ქსელში, ბლოგზე ან ნებისმიერ სხვა საიტზე. მაგალითად, ფოტო, ვიდეო, ინტერნეტში შევსებული ფორმა, და ა.შ. აქტიური ანაბეჭდის ნაწილია ინფორმაცია ინტერნეტში განხორციელებული გარიგებისა და გაგზავნილი ან მიღებული ელექტრონული წერილების შესახებ.

პასიური ციფრული ანაბეჭდი მოიცავს ინფორმაციას, რომელიც გროვდება ჩვენი ნების მი-

უხედავად, ავტომატურად. მაგალითად, ელექტრონული მონყობილობის მდებარეობის კოორდინატები (ე. წ. "გეოლოკაცია") და ინფორმაცია ინტერნეტთან მიერთებული მონყობილობის IP მისამართის შესახებ. ინტერნეტმა შეიძლება ავტომატურად დაიმახსოვროს თითოეული "დანკაპუნება", საიტზე გატარებული დრო და უამრავი სხვა ინფორმაცია.

ციფრული ანაბეჭდი აქვს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც სარგებლობს ინტერნეტით. თუმცა, ციფრული ანაბეჭდი შეიძლება ჰქონდეს ახალდაბადებულ ბავშვსაც, რომლის ფოტოები და ვიდეოები გაავრცელეს ინტერნეტით მისმა მშობლებმა.

2015 წელს ინგლისში ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვით ბავშვის მიერ ხუთი წლის ასაკის მიღწევამდე მშობლები საშუალოდ ავრცელებენ ბავშვის 1000-მდე ფოტოს, ანუ 200-მდე ფოტოს წელიწადში. ამ კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ხშირად მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია, რომ შვილის ფოტოების ატვირთვის შემდეგ, ფეისბუქს წარმოეშვება უფლებები ამ ფოტოებზე და შეუძლია მათი გამოყენება (იხ. ფეისბუქის მომსახურების წესების მუხლი 3.3.1, <https://www.facebook.com/terms>).

2016 წელს მთელს მსოფლიოში გავრცელდა ინფორმაცია ავსტრიაში მცხოვრები ქალბატონის შესახებ, რომელმაც სრულწლოვანების მიღწევისთანავე სასამართლოში უჩივლა საკუთარ მშობლებს. დავის საგანი იყო ამ ქალბატონის



500-მდე ფოტო, რომელიც მისმა მშობლებმა გავრცელეს სოციალური ქსელით და არ წაშალეს, შვილის მოთხოვნის მიუხედავად. ზოგიერთმა მედია საშუალებამ სცადა ინფორმაციის გადამონმება. თუმცა, მათ ვერ დაადგინეს ვერც მოსარჩელე და ვერც სასამართლო, რომელიც იხილავდა დავას. ამიტომ, ეს ამბავი შეფასდა ცრუ ინფორმაციად. ამის მიუხედავად, მომავალში ძალიან რეალურია მსგავსი სასამართლო დავის წარმოშობა.

როგორც წესი, მშობლებს არ უცხოვრიათ ისეთ დროს, როდესაც მათი ბავშვობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა საჯაროდ იქნებოდა ხელმისაწვდომი. ამიტომ, მშობლებს ხშირად არ აქვთ ინფორმაცია ამგვარი ქმედების უარყოფითი შედეგების შესახებ. ასევე, მშობლებს ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ ბავშვს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. მშობლის თვალთ დახარული ბავშვის საუკეთესო ინტერესი კი ყოველთვის არ არის თანმხვედრი ბავშვის რეალურ საუკეთესო ინტერესთან.

ზოგიერთი მშობელი აზიარებს ინტერნეტით ინფორმაციის შვილის შესახებ შემოსავლის მიღების მიზნით. ბოლო პერიოდში გახშირდა მოთხოვნა, რომ მსგავსი ქმედება უნდა შეიზღუდოს საკანონმდებლო დონეზე. ამ მოთხოვნის ინიციატორები კი ხშირად არიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც თავის თავზე გადაიტანეს მშობლების მიერ მათ შესახებ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. 2024 წელს საფრანგეთმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით არასრულწლოვანის გამოსახულების საჯაროდ გამოქვეყნებისთვის აუცილებელია ორივე მშობლის თანხმობა. თუმცა, თანხმობის მიუხედავად, სასამართლომ შეიძლება შეზღუდოს გამოქვეყნების უფლება, არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე.

ადამიანს არასდროს აქვს სრული ინფორმაცია მისი ციფრული ანაბეჭდის შესახებ. ჩვენ შეიძლება ვნახოთ მხოლოდ აქტიური ანაბეჭდის გარკვეული ნაწილი, ჩვენი სახელისა და გვარის ინტერნეტში მოძებნის შედეგად.

ციფრული ანაბეჭდის სრულად წაშლა თითქმის შეუძლებელია. ერთი საიტიდან წაშლილი ინფორმაცია შეიძლება მაინც დარჩეს სხვა

საიტზე ან ინტერნეტის არქივში (იხ. [web.archive.org](http://web.archive.org)). თუმცა, ჩვენ შეგვიძლია გარკვეულ ფარგლებში მაინც მოვახდინოთ გავლენა ციფრულ ანაბეჭდზე. მაგალითად, ინტერნეტში არსებობს ე.წ. “დავინწყების უფლება” (“the right to be forgotten”). იგი გულისხმობს ადამიანის უფლებას გარკვეულ შემთხვევებში მოითხოვოს მის შესახებ ინფორმაციის წაშლა საიტიდან ან საძიებო სისტემიდან. აღნიშნული უფლება შექმნა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეში *Google Spain SL and Google Inc. v Agencia Española de Protección de Datos (AEPD) and Mario Costeja González*, 2014 წლის 13 მაისს (საქმის ნომერი C-131/12). მოგვიანებით ეს უფლება “წაშლის უფლების” (“the right to erasure”) სახელით აისახა ევროკავშირის “მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციის” (“General Data Protection Regulation”), რომელიც ამოქმედდა 2018 წელს (იხ. რეგულაციის მე-17-19 მუხლები). “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს 2023 წლის კანონი აგრეთვე ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლებას (იხ. კანონის მე-16 მუხლი).

სარჩელის აღძვრა ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის წაშლის მოთხოვნით არ არის საუკეთესო გამოსავალი. სარჩელმა შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი ინტერესი ინფორმაციის მიმართ. ამ შედეგს უწოდებენ “სტრეიზანდის ეფექტს”, ამერიკელი მსახიობისა და მომღერლის, ბარბრა სტრეიზანდის გამო. მან სასამართლოში უჩივლა ფოტოგრაფს, რომელმაც ინტერნეტში განათავსა სტრეიზანდის სახლის ფოტოები (იხ. *Barbara Streisand v. Kenneth Adelman Et. Al.*, Cal.Super. Superior Court of California, County of Los Angeles, 20.05.2003, No. SC077257). სტრეიზანდმა წააგო დავა. სარჩელის აღძვრის შემდეგ კი ათასობით ადამიანმა ნახა ინტერნეტში მისი სახლის ფოტო. საინტერესოა, რომ “სტრეიზანდის ეფექტი” შეიძლება გავრცელდეს როგორც ძალიან ცნობილ ადამიანზე, ისე ნებისმიერ სხვა პირზე.

ციფრული ანაბეჭდის გამოყენება შეიძლება უამრავი მიზნით. მაგალითად, მომავალმა დამსაქმებელმა შეიძლება მოიძიოს ინფორმაცია კანდიდატის შესახებ (ე.წ. “ინტერნეტ-ვეტინგი”).

ამ გზით დამსაქმებელმა შეიძლება მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რომლის შესახებ შეუძლებელია შეკითხვის დასმა გასაუბრების დროს. ციფრული ანაბეჭდის გამოყენებით შეიძლება დანაშაულის გამოძიება. ზოგიერთი ბანკი ამონებს სესხის მიღების მსურველის ციფრულ ანაბეჭდს. ინტერნეტში არსებული ინფორმაცია აგრეთვე გამოიყენება ე. წ. “პერსონალიზებული” სარეკლამო შეთავაზებისთვის და უამრავი სხვა მიზნით.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სკანდალი, რომელიც ეხება ციფრული ანაბეჭდის არასწორ გამოყენებას, იყო “კემბრიჯ ანალიტიკას” საქმე. ამ კომპანიამ შეაგროვა ინტერნეტის მილიონობით მომხმარებლის მონაცემები მათი ნებართვის გარეშე და გამოიყენა პოლიტიკური მიზნით. შედეგად, ინტერნეტით გავრცელებულმა ვიდეო, ფოტო და სხვა მასალამ მოახდინა გავლენა 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგზე.

ციფრული ანაბეჭდი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით. პერსონალური მონაცემების დამუშავება წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით. თუმცა, ხშირად ციფრული ანაბეჭდის შემ-

ცველი ინფორმაცია ინახება სხვადასხვა სახელმწიფოში, სადაც შეიძლება მოქმედებდეს ევროკავშირის ან საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული ნორმები. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს საერთოდ არ ჰქონდეს პერსონალური მონაცემების დამუშავების მომწესრიგებელი კანონმდებლობა.

ინტერნეტის მომხმარებლები ხშირად ითხოვენ მათი ინფორმაციის დაცულობას ინტერნეტში. თუმცა, ხშირად ისინი თავად საჯაროდ აზიარებენ ინფორმაციას. ასევე, ადამიანებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ინტერნეტით კომუნიკაცია იგივეა, რაც სხვა ადამიანთან პირისპირ საუბარი. თუმცა, ინტერნეტი სრულიად განსხვავებული გარემოა. ინტერნეტი საჯარო სივრცეა, რომელიც ინერს და სამუდამოდ იმახსოვრებს ყველაფერს.

მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტის ყველა მომხმარებელმა გააცნობიეროს ციფრული ანაბეჭდის გრძელვადიანი შედეგები და დაიცვას თავისი და ოჯახის წევრების მონაცემები. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გავავრცელებთ ინტერნეტში, შეიძლება იყოს გამოყენებული ჩვენს წინააღმდეგ. ან ჩვენს სასარგებლოდ. ხშირად არჩევანი მხოლოდ ჩვენზეა.

ლევან ნანობაშვილი

► **პატიმრობაში ყოფნის მიუხედავად ალიმენტის გადახდის ვალდებულების დაკისრება**

**მშობელი, პატიმრობაში ყოფნის საბაბით, ვერ გათავისუფლდება არასრულწლოვანი შვილის მიმართ არსებული საალიმენტო ვალდებულებისაგან, რადგან იგი კვლავ შრომისუნარიანი და ქმედუნარიანი პირია.**

*ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 17 მარტის განჩინება №2/2073-2019*

*სკ-ის 1128, 1215, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 27-ე მუხლი*

**ფაქტობრივი გარემოებები:** მოსარჩელემ აღძრა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ მისთვის ალიმენტისა და დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნით. მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, თუმცა, ოჯახური კონფლიქტების გამო, მათი ქორწინება შეწყდა. მოსარჩელე ცხოვრობს შვილებთან ერთად, არის უმუშევარი და არ გააჩნდა შემოსავალი, ხოლო მოპასუხე იმყოფებოდა პატიმრობაში. შვილებიდან ერთ-ერთს აქვს გლუტენის ავადმყოფობა (ცელიაკია), რომელიც არის სისტემური აუტოიმუნური დაავადება და პროვოცირდება გლუტენის პეპტიდებით. ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატი არ არსებობს, თუმცა დიეტის მეშვეობით შესაძლებელია მისი ეფექტური კონტროლი, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. წარდგენილი მტკიცებულების თანახმად,

აღნიშნული მკურნალობისათვის მხოლოდ საკვების ღირებულება 2295 ლარს შეადგენს. აგრეთვე საჭიროა წელიწადში 4-ჯერ შესაბამისი სამედიცინო პროცედურების ჩატარება, მოსარჩელე შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მანამდე სამუშაოდ იმყოფებოდა იტალიაში, სადაც მისი ანაზღაურება შეადგენდა 700 ევროს. ამასთანავე, არასრულწლოვანს ლენტეხის გამგეობა ერთჯერადად დაეხმარა და უყიდა მას 2295 ლარის ღირებულების უგლუტენო ფქვილი, უგლუტენო მაკარონი და უგლუტენო მოსახარში ფქვილი. მოსარჩელე მოპასუხისაგან არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ ითხოვს ალიმენტის გადახდას ყოველთვიურად 150-150 ლარის ოდენობით და აგრეთვე ზემოაღნიშნული დაავადების მქონე ბავშვის სასარგებლოდ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღებას, 3000 ლარის ოდენობით. მოპასუხემ შესაგებლად სარჩელი არ ცნო და განმარტა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი აქვს სადავო და იგი თანახმაა საალიმენტო ვალდებულება შეასრულოს თითოეული შვილისათვის, ის ამას ამჟამად ვერ ახერხებს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერც მოახერხებს, რადგან იგი პატიმრობაში იმყოფება.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა:** სასამართლომ წარდგენილი სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოპასუხეს ორივე არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად – 100-100 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2019 წლის 14 აგვისტოდან მათ

სრულწლოვანებამდე, ხოლო გლუტენის ავადმყოფობის მქონე არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის სახით, ყოველწლიურად, 1500 ლარის გადახდა, სარჩელის აღძვრის მომენტიდან მის სრულწლოვანებამდე. სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 1128-ე მუხლით და განმარტა, რომ, ვინაიდან მხარეები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას მოქმედებს გონივრული და სამართლიანი შეფასების სტანდარტი, რა დროსაც არასრულწლოვანი შვილების აღზრდასა და განვითარებაზე ვალდებულება თანაბარწილად ეკისრებათ მშობლებს; მიუხედავად მატერიალური და სოციალური მდგომარეობისა, ეს მათი კანონისმიერი ვალდებულებაა. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს ჰყავდა მეორე ოჯახი, იგი არ თავისუფლდებოდა მშობლის ვალდებულებისაგან და სასამართლომ ალიმენტის ოდენობა – 100-100 ლარის – მიიჩნია გონივრულ და სამართლიან ოდენობად არასრულწლოვანი ბავშვების რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რათა არ დაირღვეს საალიმენტო ვალდებულების ამოსავალი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როგორც ალიმენტის გადამხდელის, ისე მისი მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ ალიმენტის გადახდა მძიმე ტვირთად არ დაანვეს ალიმენტის გადამხდელსა და მისი ოჯახის სხვა წევრებს, თუმცა არც აღზრდასა და რჩენას მოკლებული პირი არ დარჩეს სამართლებრივი დახმარების გარეშე, სასამართლო ამ დროს აფასებს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას, მოპასუხის დამატებით ხარჯებში მონაწილეობაზე, ყოველწლიურად 3000 ლარის ოდენობით, ამასთან დაკავშირებით სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 1215-ე მუხლით და ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ბავშვის დაავადება ობიექტურ და გა-

ნსაკუთრებულ გარემოებას განეკუთვნება, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს დაავადებული ბავშვის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის სახით, ყოველწლიურად 1500 ლარის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ოდენობა სასამართლომ დაადგინა, აგრეთვე, ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე.

*სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:* აპელანტმა მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, იმავ საფუძველით, რომლითაც არ ცნო სარჩელი. სასამართლო უთითებდა, რომ მიუხედავად მისი პატიმრობაში ყოფნისა იგი შრომისუნარიანი და ქმედუნარიანია და, ამასთან, არც უარს არ აცხადებდა დაკისრებული ალიმენტის გადახდაზე. სასამართლო ასევე მიუთითებდა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 27-ე მუხლზე, რომელიც არასრულწლოვან შვილზე ზრუნვისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის ვალდებულებას უპირატესად და თანაბარწილად მშობლებს აკისრებს. შესაბამისად, არასრულწლოვანი ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში ალიმენტი, რომელიც მოპასუხეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ თვეში 100-100 ლარის (მინიმალური) ოდენობით, გონივრული, სამართლიანი და გამართლებულია. რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მოპასუხისთვის ყოველწლიურად დამატებითი ხარჯების დაკისრების ნაწილში, სასამართლომ გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც კანონიერად ცნო და მიიჩნია, რომ იგი უცვლელად უნდა ყოფილიყო დატოვებული – მოპასუხის პრეტენზია შეეხებოდა იმას, რომ დამატებითი ხარჯი დაავადების მქონე ბავშვზე გასწია არა მოსარჩელემ, არამედ ლენტეხის გამგეობამ, რის გამოც იგი აღარაა ვალდებული მიიღოს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში. სასამართლო მიუთითებს აღნიშნული დაავადების ქრონიკულ მიმდინარეობაზე და იმ ფაქტზე, რომ ლენტეხის გამგეობის მიერ განეული ერთჯერადი დახმარება ვერ გაათავისუფლებდა მას მშობლის ვალდებულებისგან. მაშასადამე მისი, როგორც მამის, ყო-

ველწლიური მონაწილეობა დამატებით ხარჯებში დასაბუთებული და საფუძვლიანი იყო. სასამართლო მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ბავშვის ჯანმრთელობისათვის დამატებითი ხარჯების გაღება, რაც მას ესაჭიროებოდა შესაბამისი კვების სახით, მისი დაავადებიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამიტომაც, აპელანტისთვის 1500 ლარის დაკისრებაც საფუძვლიანია, ხოლო აპელანტის საჩივარი – დაუსაბუთებელი. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

სოფიკო ზარანდია

### ► სასარჩელო მოთხოვნაში ზიანის ზუსტი ოდენობის მითითების აუცილებლობა

**სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანის აღმოსაფხვრელი ხარჯები სასარჩელო მოთხოვნაში ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს დადგენილი ან ფაქტობრივად განერილი, ოდენობა კი დაკონკრეტებული.**

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის განჩინება - საქმე №ას-1919-2018*

*შრომის კოდექსის 35, 44, სკ-ის 408, 412-ე მუხლები*

**ფაქტობრივი გარემოებები:** მოსარჩელე მუშაობდა მოპასუხე საზოგადოების ქარხნის საამქროში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო ტრამვა და დაკარგა მარჯვენა ქვედა კიდური. მოსარჩელე მოპასუხისაგან ითხოვს მენჯ-ბარძაყის ამოსახსვრის პროთეზის განახლების ღირებულებას – 44 590 ლარს და, ასევე, პროთეზის საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ, საქართველოში ლიცენზირებულ საპროთეზო-ორთოპედიულ დარგში მომუშავე კლინიკის მიერ, მომავალში გაცემული შესაბამისი

დოკუმენტაციის საფუძველზე, აღნიშნული პროთეზის სამომავლო მრავალჯერადად განახლების ღირებულების ანაზღაურებას. მოსარჩელემ ამავე საფუძველით უკვე შეიტანა სარჩელი სასამართლოში, რომლის ფარგლებშიც ითხოვდა 166 941 ლარს. ეს თანხა უშუალოდ სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, მოიცავდა ყველა სხვა თანხმს ხარჯს. აღნიშნული სარჩელი დაკმაყოფილდა და მას მოპასუხემ სრულად აუნაზღაურა დაკისრებული თანხა. მოსარჩელეს ამ თანხის ნაწილი უნდა გადაერიცხა გერმანულ კლინიკაში „ოტტო ბოკო“, თუმცა, პროცესების მიმდინარეობისას, ლარის კურსი დავარდა, რის გამოც, აღნიშნული თანხა, საკმარისი აღარ აღმოჩნდა. თანხის დასამატებლად მიმართა მოპასუხეს, რომელმაც მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. ამ მიზეზით, მოსარჩელეს საჭირო მკურნალობის კურსის გავლა მოუწია თურქეთში „ოტტო - ბოკოს“ კლინიკაში, სადაც გაიკეთა გერმანული „ოტტო ბოკოს“ ორთოპედიკული პროთეზი, 2-წლიანი ორთოპედიური საგარანტიო ვადით, ნაცვლად 5-წლიანისა. პროთეზის გარანტია გულისხმობს იმას, რომ იგი არ არის მუდმივი, ცვდება და იცვლება მისი ფიზიოლოგიური მდგომარეობაც, რაც იწვევს პროთეზის განახლების საჭიროებას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, მოხმარების წესების დარღვევის გარეშე, მოსარჩელე პროთეზს ველარ იყენებდა, რადგან დისკომფორტს უქმნიდა. მან ჩივილების შესახებ მიმართა ექიმს, რომელმაც მიუთითა, რომ საჭიროა გერმანული პროთეზის დეტალების განახლება, რაც საქართველოში უკვე შესაძლებელია, თუმცა რეაბილიტაციის ცენტრში „ოტტო ბოკოს“ სერთიფიცირებული სპეციალისტების მიერ პროთეზის განახლება 44 590 ლარი ღირს; თავდაპირველი პროთეზის 2-წლიანი საგარანტიო ვადა გასულია და პროთეზი მის ფარგლებში შეცვლას აღარ ექვემდებარება. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მან უკვე გადაიხადა მოსარჩელის კლინიკური მკურნალობისათვის საჭირო ხარჯები. მას ეს ხარჯები დაეკისრა მოსარჩელის გერმანიაში მკურნალობისათვის, თუმცა მოსარჩელემ, ამის მაგივრად, მკურნალობა ჩაიტარა თურქეთში. მან ასევე სრულად აუნაზღაურა მოსარჩელეს მორალური ზიანი, 50 000 ლარის ოდენობით, სხვა

თანხის ანაზღაურების ვალდებულება მას მოსარჩელის მიმართ აღარ ჰქონია და არც პროთეზის დაზიანებაში მიუძღოდა ბრალი.

*პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა:* სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან სახეზე არ იყო სკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობები, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირი დამსაქმებლის ქმედებასა და პროთეზის განახლებას შორის, ხოლო მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, იმ ვალდებულების დაკისრებაზე რომელიც ჯერ „არ წარმოშობილა და არ დამდგარა“ არის უსაფუძვლო. ამასთან, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს პროთეზის განახლების კონკრეტული საკითხები და თანხა, რომელიც მომავალში შესაძლოა დასჭირდეს მის განახლებას.

*სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:* სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 19 444 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის დახმარებით დაადგინა, რომ მოსარჩელისთვის პროთეზის შეცვლის საჭიროება გამოწვეულია პაციენტის სხეულის ბუნებრივი ფიზიოლოგიური ცვლილებებით (ბუნებრივ ფიზიოლოგიურ ცვლილებებში იგულისხმება წონის მატება, რაც ზოგადად ვითარდება ქვედა კიდურის/კიდურების ამ პუტაციის დროს და დაკავშირებულია, კონკრეტულ შემთხვევაში, მენჯ-ბარძაყის სახსრის პროთეზირების გამო, აქტიური ფიზიკური დატვირთვის შეუძლებლობასთან), რაც მოითხოვს შესაბამისი სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებას. აგრეთვე, მართალია, მოსარჩელეს პროთეზირება ჩატარებული აქვს ქ. ანკარაში, „ოტტო - ბოკოს“ ცენტრში, თუმცა გერმანულ

ფირმა „ოტტო ბოკოს“ აქვს სრულყოფილი წარმომადგენლობები მსოფლიოს 56 ქვეყანაში, მათ შორის, ანკარაში და თითოეული წარმომადგენლობა უფლებამოსილია, „ოტტო - ბოკოს“ ბრენდის ქვეშ საპროთეზო ნაწარმის წარმოებაზე. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, „ოტტო - ბოკოს“ რომელ ფილიალში დამზადდება საპროთეზო დამხმარე საშუალება. ამით გაბათილდა მოპასუხის პრეტენზია, რომ მან გერმანიის კლინიკაში ჩასატარებელი მკურნალობა ანაზღაურა, მოსარჩელემ კი – თურქეთის კლინიკაში ჩაიტარა მკურნალობა. შრომის კოდექსის 35-ე, 44-ე, სკ-ის 316 I და 317 I მუხლების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება დელიქტური პასუხისმგებლობის ფორმით. სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, და, ამავედროულად, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა, მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ, მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც. შესაბამისად, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს თავის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სკ-ის 408-ე და 412-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდოა ის გარემოება, რომ პროთეზი გარკვეული პერიოდის შემდეგ საჭიროებს შეკეთებასა და შეცვლას, რისი ღირებულებაც (პროთეზის შეკეთება) შეადგენს 19 444 ლარს. შესაბამისად, საფუძვლიანია მოსარჩელის მოთხოვნა აღნიშნული ოდენობის თანხის ანაზღაურების თაობაზე. რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას – პროთეზის საგარანტიო ვადის გასვლის შემდგომ საქართველოში ლიცენზირებულ საპროთეზოორთოპედიულ დარგში მომუშავე კლინიკის მიერ, მომავალში გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციების (ექიმის ცნობა, ხარჯთაღრიცხვა) საფუძველზე, აღნიშნული პროთეზის სამომავლო მრავალჯერადი განახლების ღირებულების დაკისრებას თაობაზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს იმდენჯერ ეკუთვნის პროთე-

ზის განახლებისათვის საჭირო თანხის ანაზღაურება მოპასუხე ორგანიზაციისგან, რამდენჯერაც ამის საჭიროება დადგება, თუმცა იმ სახით დაყენებულ სასარჩელო მოთხოვნას, როგორც მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა, წარმატების პერსპექტივა არ გააჩნია. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მეორე სასარჩელო მოთხოვნით მხარე უტყუარად დადგენილი ხარჯის ან ფაქტობრივად განერილი ხარჯის ანაზღაურებას კი არ ითხოვდა, არამედ ვალდებულების შესრულების პირობების განსაზღვრას მესამე პირის მიერ, ანუ საქართველოში ლიცენზირებული საპროთეზო ორთოპედიულ დარგში მომუშავე კლინიკის მიერ გაცემული შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე სამომავლო მრავალჯერადი ვალდებულების შესრულებას. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 325-ე მუხლით, და დაადგინა, რომ მოსარჩელეს არ მოუთხოვია (სამომავლოდ) კონკრეტული თანხის ანაზღაურება, რომელიც ასევე კონკრეტულ მტკიცებულებებს დაემყარებოდა. მაშასადამე, სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს წარმოდგენილი სახით დაყენებულ მეორე სასარჩელო მოთხოვნას, რადგან არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ მოთხოვნა, რომელიც კონკრეტულ მტკიცებულებას დაემყარება (მაგ.: ხარჯთაღრიცხვას, რომელსაც, თავის მხრივ, საპროთეზო დარგში მომუშავე რომელიმე კლინიკა გასცემს) არ იქნება სამართლიანად მიჩნეული მოპასუხის მიერ, რის გამოც იგი მას სადავოდ გახდის.

*უზენაესი სასამართლოს მსჯელობა:* მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რადგან სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საქმე გადაწყვიტა კანონის კონკრეტული მუხლების არასწორი ინტერპრეტირებისა და ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების შედეგად. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა გარემოებები და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იგი იმავე საფუძველით ასაჩივრებდა, რომლითაც არ ცნო სარჩელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საჩივარი დაუშვებლად ცნო სსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს – კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სააპელაციო პალატის იმ მსჯელობის საწინააღმდეგოდ, რომ მოსარჩელემ სრულად განახორციელა მის მიერ სარჩელში (სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში) მითითებული სადავო გარემოებების მტკიცების ვალდებულება და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურა მისთვის მიყენებული ზიანის არსებობა, აღნიშნული ზიანის გამომწვევი მიზეზი და მისი ოდენობა, ხოლო მოპასუხემ წონადი არგუმენტებით ვერ გააქარწყლა მოსარჩელის პოზიცია.

სოფიკო ზარანდია